



ქართული საეკლესიო ბიბლიოთეკა

რამაზ სურმანიძე

საეკლესიო მოთხრობები

ბათუმი
2016



რედაქტორი **აკაკი ზოიძე**, პროფესორი

რელიგიური

რამაზ სურმანიძეს, ხელხვავიან მწერალს, განგებამ მრავალმხრივი მოღვაწის, შემოქმედის ნიჭი უხვად დაანათლა. იგი თანაბარი ძალით, ნაყოფიერად იღწვის, როგორც მედიკოსი და მეცნიერი, ისტორიკოსი და მწერალი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მკვლევარ-მემატიანე და მთარგმნელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. მან არაერთი თვალმარგალიტით გაამდიდრა ქართული მწერლობის საგანძური. არის ოთხი რომანის და მრავალი მოთხრობათა კრებულის ავტორი. ორიოდე წლის წინ მან ახალგაზრდა მკითხველებს მცირე მოცულობის ისტორიული რომანი „ზეცასთან მოუბარი“ მიაწოდა. იგი ქართული „საყმაწვილო ბიბლიოთეკის“ რუბრიკით გამოვიდა.

ამჯერად მწერალმა თავი მოუყარა საყმაწვილო მოთხრობებს, რომელთა ნაწილი ავტობიოგრაფიულია და ავტორის რთულ ცხოვრებაზე გვიამბობს. ამ ჟანრის მხატვრული ლიტერატურით განებივრებულნი არ ვართ, ამიტომ წიგნის გამოსვლა, ვფიქრობთ, დროული და მისასალმებელია. მით უფრო, რომ დღეს ახალგაზრდობას ყველაზე მეტად სჭირდება ლიტერატურასთან, მხატვრულ ქმნილებებთან ზიარება, რამეთუ მათ გარეშე სულის წვრთნა, მისი ჩამოქნა შეუძლებელია.

მწერალმა თავის მოთხრობებს დაურთო ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა, აგრეთვე არანაკლებ ცნობილ ოჯახის წევრთა ფოტოები, რაც მხატვრულ ნაწარმოებებს ორიგინალურობას მატებს და ნორჩ მკითხველებს კარნახობს, არ მიაკლონ

პატივი და დაფასება ღირსეულ ადამიანებს, ახლობლებსა და აღმზრდელებს.

კრებულში წარმოდგენილი მთხრობები დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა. ისინი გამოირჩევიან უბრალოებით, სიწრფელით, აზრის სინათლით, სიცხადითა და ხატოვნებით. ამიტომაც ადვილად იპყრობს მკითხველის გულსა და გონებას. ყოველი მათგანი უცილობლად დააფიქრებს მოზარდს, გულით განაცდევინებს მშობელი მიწისა და ადამიანების სიყვარულს, გააფაქიზებს, გააკეთილშობილებს და გაასპეტაკებს მის სულს, სიკეთის ქმედებისათვის განაწყობს მას.

აკითხველო!

ამ წიგნს „საყმაწვილო მოთხრობები“ დავარქვი და გულით მინდა, თქვენ სიტყვა „ყმაწვილი“ არ გეხამუშოთ. იგი ორი უძველესი ქართული სიტყვისგან წარმოსდგება – ყმა და წული. ყმა სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ჭაბუკს, „ექვს წელს ზეით 10 წლამდე ყმაწულსა“ ნიშნავს. მასთან გაიგივებულია ყრმა, მოყმე. საბასავე სიტყვებით, „ყრმაი ქალწულას უწოდენ“. ამგვარად, ყმაწვილი ძველთაგანვე, როგორც ქალის, ასევე ვაჟის სინონიმია. სიტყვებს, მოყმე-ს, ყრმა-ს ხშირად და განსაკუთრებულად იყენებს დიდი შოთა რუსთაველი. იგივე სიტყვა სათაურად გამოტანილია გენიალურ ქართულ ბალადაში „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“. ქართული სიტყვის დიდოსტატმა იაკობ გოგებაშვილმა ერთ მოთხრობას „ყმაწვილები ჭალაში“ დაარქვა.

რისთვის დამჭირდა ასეთი ვრცელი შესავალი? მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთად-ერთ სიტყვაზე, რომელიც მიწყივ-დაბადებიდან იხმარება ჩვენს მწერლობაში და ხალხურ სიტყვიერებაში. სამწუხაროდ ახლა მას გამოუჩნდა მეტოქე „თინეიჯერი“, რომელსაც ხშირად ხმარობენ ყოველივე უცხოურზე თავგადაკლული ადამიანები.

უცხო ენის ცოდნის წინააღმდეგი როდი ვარ. ამ ერთი მაგალითით მე მხოლოდ ქართული ენის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მეტყველების სიწმინდისკენ მოვუწოდებ ჩემს ძვირფას მკითხველს. ვიცოდეთ უცხო სიტყვა, მაგრამ იგი მხოლოდ იმ ენაზე საუბრისას გამოვიყენოთ, რომელსაც მიეკუთვნება.

ასე, ჩემო ძვირფასო ყმაწვილებო! ვისაუბროთ ჩვენს მშობლიურ, უმდიდრეს და უძველეს ქართულ ენაზე, სუფთად, მინარევების გარეშე. ეს ძალზე საამაყო და სასახელოა.

* * *

1933 წლის 10 მაისს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ავგუსტ ბებელის მოედანზე ფაშისტებმა დაწვეს ჰაინრიხ ჰაინეს, ანა ზეგერსის, იოჰან ბეხერის წიგნები მხოლოდ იმიტომ, ისინი ებრაელები იყვნენ. ყველაფერი ღვთის ნებაა და მე იმ წელსა და დღეს დავიბადე და უფაღმა წიგნების სიყვარული დამანათლა... ახლა სამოცდაათი წიგნის ავტორი ვარ. წერა ყმაწვილობაში დავიწყე. თითქოს რაღაც გამომდიოდა, მაგრამ განმეორებით წაკითხვისას აღარ მომეწონებოდა ხოლმე, ქაღალდს დაეჭმუჭნიდი და ბუხარში შევუძახებდი.

ბუხარი, იცოცხლეთ, მაშინ ყველაფერი იყო...

დიახ, მეორე მსოფლიო ომის დროს ნავთს ვერ ვშოულობდით და ჭრაქიც გვენატრებოდა, სოფლებში სახლები ბუხრებით ნათდებოდა. ცეცხლისკენ ზურგით ჯორკოზე დაჯდებოდი, ხელში გადაშლილ წიგნს დაიჭერდი და კითხულობდი მანამ, სანამ შემას ალი ასდიოდა.

პირველი მოთხრობა, გადასაგდებად რომ დამეჩანა, სტუდენტობისას, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში



ავტორი

დავწერე. იქ სამეცადინოდ ხშირად დავდიოდი. სკამს ფანჯარასთან, განცალკევებულ ადგილას შევარჩევდი. ჯერ მთავარს, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაზე თემას მოვამზადებდი, ჩანთაში შევინახავდი და ვიწყებდი მეორე საქმეს. ნაწერს ხელს ვაფარებდი, ვინმეს რომ არ დაენახა...

ბოლოხანს ძველ ქაღალდებში ვნახე მოსწავლის თორმეტბკვერდიანი, ცალხაზიანი

რვეული, იგი ფანქრით ბოლო ხაზამდე შემივსია და მოთხრობაც დამიმთავრებია. თუმცა მისი გამოჩენა მესირცხვილებოდა. ასე ნაწვავ-ნაჯაფარი ნაწარმოები მხოლოდ 15 წლის შემდეგ გამოქვეყნდა, „ობლის კვერი გვიან, მაგრამ კარგად გამოცხვალ“ – იტყვიან. თურმე შეიძლება ბედმა იქ გიპოვოს, სადაც არ ელოდები. ჩემმა მოთხრობამაც ძალზე გვიან მონახა მკითხველი, სამაგიეროდ მესამე საკავშირო პრემია დაიმსახურა, რაც მაშინ საკმაოდ დიდ პატივად ითვლებოდა.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, წერის ხალისი არათუ განელდა, კიდევ უფრო გამძაფრდა. მიმიღეს ჯერ ჟურნალისტთა ფედერაციის, შემდეგ მწერალთა კავშირის წევრად. ეს ჩემთვის დიდი აღიარება იყო, თუმცა ვაღიარებულბაც მომემატა – უფრო უკეთესი ნაწარმოებები უნდა მიმეწოდებინა მკითხველისთვის. რამდენად შევძელი ეს, ამაში თავად დარწმუნდებით, როცა ჩემს მოთხრობებს წაიკითხავთ; მიმაჩნია, რომ არცერთი შემოქმედი ისე არ ჰგავს თავის ქმნილებას, როგორც მწერალი. ზოგი ჩემი მოთხრობაც ავტობიოგრაფიულია და ისინი ჩემს საკმაოდ მძიმე და რთულ ცხოვრებასაც გაგაცნობთ.

თავისუფლების გზა

ცხენოსნებმა მკვეთრი მოსახვევი გაიარეს, სწორ გზაზე წამით შეჩერდნენ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ადგილიდან მოწყდნენ. ბედაურები შურდულივით გაიჭრნენ და გზიდან ავარდნილ მტვრის კორიანტელში გაეხვივნენ. ახლა მხოლოდ ფლოქვების შორეული თქარა-თქური ისმოდა.

– სანამდე? – დაიძახა მხედრების გასაგონად ოდნავ წინ გასულმა.

– თამარის ხიდამდე, ვინც პირველი მიასწრებს, ბურჯთან დიდი თხმელა რომაა, იმას მათრახი შემოჰკრას, – გასძახა მეორემ.

ბიჭებმა ერთხელ კიდევ ჰკრეს დეზები, აღვირი ბოლომდე მიუშვეს, უნაგირებს გაეკრნენ და ერთგული პირუტყვის სისწრაფეს მიენდვნენ.

აგერ ხიდის თალიც გამოჩნდა. მხედრებმა უკანასკნელად შეუძახეს ცხენებს. აქამდე წინ მიმავალი კვლავ არ თმობს მეწინავეობას, ხიდთანაც პირველი მიიჭრა, თხმელასთან ცხენი მოსხლეტით შეაჩერა, ყალყზე შეაყენა, მათრახი მოიმარჯვა, მაგრამ ხელი ჰაერში გაეყინა... თანამგზავრებმაც მკვეთრად შეაჩერეს ბედაურები და ადგილზე მტვრის ბუდი დააყენეს.

თხმელის ძირას გრძელულვაშა, თმაშეჭადარავებულები კაცი იჯდა. მუხლზე სვანური ქუდი ედო.

ბიჭები უნაგირებზე გახევდნენ. დამხვდურმა მათ მშვიდად ახედა, მის წინ პირტიტველა 10-15 წლის მხედრები იდგნენ. აჭარულად კოხტად გამოწყობილთ თავზე მოსირმული ყაბალახები შემოეხვიათ... ცხენებზე ისე ეჭირათ თავი, თითქოს ზედ შეზრდილანო. უცხო კაცის დანახვაზე მათ ყურები დაეცქვიტათ და გაოცებული თვალები მისთვის მიეშტერებინათ. ერთხანს ასე იყვნენ, მერე ჩამოქვეითდნენ და ცხენები გზის პირას მიუშვეს.

– გამარჯობათ, ბატონო, – მიესალმა სქელი ბიჭი. იგი მათ შორის უფროსი უნდა ყოფილიყო.

– გაგიმარჯვოთ, ყმაწვილებო! – უთხრა მგზავრმა და ადგილიდან ოდნავ წამოიწია, – მგონი, ხელი შეგიშალეთ პაექრობაში.

ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს, გაიღიმეს და იქვე მორზე ჩამოსხდნენ.

– ჰო, შევეჯიბრეთ ერთმანეთს, – თქვა სქელმა.

– მე გაგიმარჯვე, ხომ, ბიძია? – იკითხა ყველაზე უმცროსმა. იგი ათიოდე წლისა იქნებოდა. მან კაცს ჯერ მკვირცხლად შეხედა, შემდეგ დაიმორცხვა და თვალი მოარიდა.

– ჰო, შენ გაიმარჯვე და... კინაღამ მათრახიც გადაიკარი. ყმაწვილებს გაეცინათ.

– მეც მიყვარს ცხენით ჯირითი, – განაგრძო მგზავრმა, – აი, ის ტაიჭი ჩემია, – ხელით აჩვენა რიყესთან პალოზე ფეხით მიბმულ ცხენზე, რომელსაც ვიდაც კაცი ადგილს უნაცვლებდა, – მეგრულია, მე თავადაც მეგრელი გახლავართ, თედო სასოკია. თქვენს მხარეში ვმოგზაურობ. თქვენ ვის გეტყვიან? – აჭარულად მოუქცია მგზავრმა.

– ჩვენ, ორი – ქედელი თოფანბეგ შერვაშიძის შვილები ვართ. – ამას ყადირი ჰქვია, – პატარაზე მიუთითა, – მე – ზაქრო, ეს ჩვენი ბიძაშვილია, თემური.

თედო ბიჭებს რიგრიგობით აკვირდებოდა.

– აბა, მარულაში ყადირს გაუმარჯვია.

– ჰო, – ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

უმცროსმა ამაყად ასწია თავი, სახე შეუფაკლდა.



თედო სასოკია

– მერედა, რა ჯილდოს მიიღებს გამარჯვებული ცხენოსანი? – დაინტერესდა მგზავრი.

ზაქრომ ხელი ზურგისკენ წაიღო და ქამრიდან ფერადყდიანი წიგნი ამოიღო.

– აი, ამას, – თქვა და წიგნი ძმას გადასცა.

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ იყო.

მგზავრს სახე გაეზადრა... უნებურად მიწას ჩააცქერდა. „გარეგნულად ხომ საამო საყურებელნი არიან ეს თავისუფალნი შვილნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა. ამათი ქართულის სმენას ხომ არა სჯობია რა. ქართულ წიგნებსაც რომ შემოუღწევია“, გულით ესიამოვნა.

– ქართული წერა-კითხვა სად შეისწავლეთ?



ძმები შერვაშიძეები

– ჩვენ. ორი, ბათუმის საქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდით, – თქვა თემურმა, – ყადირი ახლა მიგყავს გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაზე.

– რუსული თუ იცით? – დაინტერესდა თედო.

– როგორ არა, – რიხიანად წამოიძახა თემურმა, – რუსულის ცოდნა აუცილებელია, ჩვენ რუსეთის ხიშტებმა გადაგვარჩინა, აჭარაც რუსეთმა გამოიხსნა. ყველაფერი: სწავლა, წერა, კითხვა რუსული გვაქვს, როგორც რუსეთის ქვეშევრდომებს.

აშკარად ეტყობოდა, ბიჭს ვიღაცამ დააზეპირებინა ეს ფრაზები.

– თქვენც ასე ფიქრობთ? – თედო თემურის ბიძაშვილს მიუბრუნდა.

ბიჭებმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, შემდეგ თემური შეათვალიერეს, მერე მოსაუბრეს გაუბედავად გაუსწორეს თვალი.

– ჰო, ჩვენც, – თითქმის ერთხმად უპასუხეს.

თედო ერთხანს ჩაფიქრდა. „მაზრის უფროსის ოჯახში იზრდებიან, სხვანაირად ვერ მიპასუხებდნენ“, – კვლავ თემურს მიუბრუნდა:

– კარგი. იქნებ მართლაც გადაგვარჩინა რუსულმა ხიშტებმა, იქნებ აჭარაც რუსეთმა გამოიხსნა, ჩვენც მისი ქვეშევრდომები გავხდით, მაგრამ ხომ აჯობებდა, ჩვენი ქართული სახელმწიფო გვქონოდა, მისივე ქვეშევრდომები ვყოფილიყავით და თავიც დაგვეცვა, როგორც თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანას?

– ხელმწიფე-იმპერატორის გარეშე ჩვენ ვერას გავხდებოდით, – თქვა თემურმა.

– ჩვენ ჩვენი ხელმწიფე, ქართველი მეფე რომ გველოდა?

ბიჭებმა ვერაფერი თქვეს. ყველა ფიქრს მიეცა.

– იცით, რატომ არ გვყავს ჩვენი მეფე? – არ ეშვებოდა თედო, – იმიტომ, რომ 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ქართველებს გვიღალატა, დაარღვია საქართველოს სამეფოსთან დადებული ხელშეკრულება – გიორგიევსკის ტრაქტატი, რომელშიც ეწერა... – თედო გვერდზე გადაიხარა და ხურჯინიდან გაყვითლებული წიგნი ამოიღო: – აი, აქ სწერია, რომ რუსეთის მეფე ვალდებულიებს კისრულობს სამხედრო დახმარება გაუწიოს საქართველოს მტრებისგან დასაცავად. არ ჩაერიოს ქართველი მეფეების საშინაო საქმეებში. სამწუხაროდ, მალე ეს კეთილი პირობა თავადვე დაარღვია, გააუქმა ქართული სახელმწიფო, მეფის მემკვიდრეები ოჯახებით რუსეთში გადაასახლა და საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა. ხელმწიფე-იმპერატორი ათავისუფლებს ქართულ პროვინციებს და დახმარებას უწევს მათ, როგორც საკუთარ გუბერნიებს და არა მეზობელ ქვეყნებს. ასეა ეს.

ბიჭებს თავი დაეხარათ. თედომ იფიქრა, გადავაჭარბეო, და ერთხანს თავადაც გაჩუმდა, შემდეგ უხერხულობის გასაფანტავად ყადირს მიუბრუნდა:

– შენ რატომ არაფერს იტყვი, პატარავ?

– სიტყვა დიდვანებისაა. როცა ვისწავლი, ეგების მეც ვიტყვი ჩემსას, – სხარტად მიუგო ყმაწვილმა.

* * *

ამასობაში თედოს მხლებელიც გზაზე ამოვიდა და პირდაპირ ხიდისკენ გამოემართა. შალის მოკლე ჩაქურა, ნაოჭებიანი და ვიწროტოტებიანი ძიქვა შარვალი, ფეხზე ჭრელი ზანკლები და წულა-მესტები ეცვა. წელზე მოვერცხლილი ქამარი შემოერთვა, რომელშიც დამბახა

ჰქონდა გაჩრილი, გვერდზე ბებუთი ეკიდა, თავზე მაღალი ბოსოხი ეხურა.

მოსვლისთანავე ყაბალახიან ბიჭებს გადახედა და „სალამ ალექიქუმ“ო, მიესალმა.

თედოს ეხამუშა ასეთი მისალმება, მაგრამ არ შეიმჩნია, ბიჭების პასუხებს დაელოდა.

– გადღეგრძელოს! – უპასუხეს იმათ.

„ინუს ბერიძე ერთ-ერთი მოწინავე კაცია ზემო აჭარაში, ნუთუ მასაც დაუძვირდა ქართულად სალამის მიცემა? თუმცა... შეიძლება, ბიჭები გამოსცადაო“, – გაიფიქრა თედომ და რაკი ბიჭების პასუხი მოეწონა, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

– სანამ აჭარაში გადმოვიდოდი, ვინ იცის, რას არ მეუბნებოდნენ: მთელი აჭარა ფირალებითაა სავსე, გზაში ვერ გაივლი, ან გაგძარცვავენ ან მოგკლავენო.

ინუსმა ბრტყელი ქვა მიწაზე მოასწორა და ჩამოჯდა.

– თქვენ, თედო ბატონო, მაღე დარწმუნდებით, რომ ეს ხმები

გაზვიადებულია. იმასაც გეტყვიან, აჭარელი გაუტანელიაო. ნუ დაიჯერებთ. გული აჩვენეთ და თქვენთვის თავს გადადებს იგი, მაგრამ თუ ოდნავ ორგულობა შეგამჩნია, არ შეგარჩენს. მე მგონი, ეს მარტო აჭარის კი არა, საერთოდ ჩვენი, მთიელი ქართველების ჩვეულებაა, – თქვა ინუსმა.

– სწორი ხარ, მეც ასე ვფიქრობ, ჩემო ინუს... ისე, ყაჩაღები სომ იმალებიან ამ ტყე-ღრეში?

– როგორ არა. ერთი თვის წინ ცნობილი მეკლუდ დიასამიძე დაიჭირეს... ვერც კი იტყვი, რომ ყაჩაღია, ეს



ინუს ბერიძე

ერთი უკეთილშობილესი პიროვნება ხელმწიფის კანონებმა და უსამართლობამ გარიყა. ღარიბს არას ერჩის. თუ ვინმეს ღარიბების ზურგზე ატყავებული ქონება გააჩნია, იმას არ დაინდობს...

– მამაჩემის მონათლულია, – ამაყად თქვა ყადირმა და ძმებს გადახედა, ხომ არაფერი დავაშავეო.

– მართალს ამბობს ყადირი? – დაინტერესდა თედო, ბიჭს ხელით ანიშნა, მოდიო და გვერდით მოისვა.

– მართალს ამბობს, – თქვა ზაქრომ და გაუბედავად დაუმატა, – მისი შეპყრობაც მამაჩემს დაავალეს, მაგრამ ოლქის უფროსს შეუთვალა: მაზრის უფროსობას დავტოვებ, ჩემს ნათლულს კი ხელს არ ვახლებო.

თედოს თვალები გაუბრწყინდა და ინუსს მიუბრუნდა.

– ესეც ჩვენი მთიელების ნათელ-მბრონობის შეუვალი წეს-ჩვეულებაა, ჩემო ინუს. ჭეშმარიტი ქართველი სხვანაირად არ მოიქცევა.

ზაქროს სიმხნევე მოემატა:

– მამაჩემი შვებულებაში იყო, მის ადგილზე დროებით გამოგ ზავნეს ვოსკრესენსკი და იმან დაატუსაღა მეველუდი.

– მეველუდ ბიძია ციხიდანაც გაიქცევა და იმ ვოსკრესენსკისაც შეხვდება ვიწრო გზაში, – შურისძიება გულუბრყვილოდ გამოხატა აწ უკვე გაშინაურებულმა ყადირმა.

თედომ ბიჭს მხარზე ხელი გადადო და გულზე მიიხუტა.

– ჩემი მეზობელი, ილიას ხილაძეც, უსამართლობას გაექცა, ერთხანს კენტად ფირალობდა, ახლა მეველუდის ჯგუფში იყო, ალბათ, იმასაც ეს დღე ელის, – თქვა ინუსმა.

– რას იზამ, ინუს-ბატონო, ჯერ არავის მოსწრია, ყაჩაღს და აბრავს ბოლომდე გაეტანოს თავი და მთავრობის კანონებს თუ უკანონობას გაქცეოდეს. სამწუხაროდ, ახლაც ასე იქნება.

– ნეტავ, თუ გვედირსება ისეთი მთავრობა, კაცი რომ ტყეში არ გაიქცეს? – ინატრა ინუსმა.

– მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ ადამიანების ცხოვრება უკეთესი რომ უნდა იყოს, ამაში საეჭვო არაფერია. განა მარტო თქვენთან, მთელი საქართველოს მთის ხალხი ყვრიბად ცხოვრობს.

– ძაბუნი მიწა გვაქვს, თედო-ბატონო. სარჩო ცოტა მოდის, ხალხი ნახევრად მშიერია, გადასახადი, იცოცხლეთ! არც ოსმალთა გვაკლებდა ხელს და არც რუსის მთავრობა.

თედომ ბიჭებს გადახედა, თუ გვისმენენო. მათი გულისყური ხანდაზმულთა საუბარზე იყო მიპყრობილი.

– საინტერესოა, ინუს, ხალხის განწყობილება. როგორ ფიქრობ, ოსმალთა კანონები უფრო მოსწონდათ თუ რუსისა?

ინუსი ჩაფიქრდა, მერე ოდნავ ირონიულად გაუღიმა:

– რა მოგახსენოთ, ბატონო, ოსმალთა აჭარას და აჭარალებს რაც უყო, თავად მოგეხსენებათ. სამასი წელი აბეჩავებდნენ და სულიან-ხორციანად აღატაკებდნენ აქაურებს. მართლაცდა, გასაოცარია, როგორ არ აღიგავა მიწის პირისაგან ეს ერთი მუჭა ხალხი, როგორღა დარჩა მათი სხენება. ტყე მაინც გვქონდა. ახლა კაცი გამოგზავნეს, ნესლიჭი ვარო, ტყე სახელმწიფოსიაო, ჩვენი ნებართვის გარეშე ხელი არ ახლოთო. ხალხი აღშფოთდა: ჩვენი მამა-პაპის დანატოვარს როგორ არ გვანებებენო. იდავეს, იხუბეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ადგნენ და მუჰაჯირად წავიდნენ.

– კი, მაგრამ მარტო ტყე იყო მუჰაჯირობის მიზეზი?

– როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ჯერ იყო და, ახალმა მთავრობამ ხალხს გამოუცხადა, გინდ დარჩით, გინდ წადითო. მერე დაფიქრებაც არ აცალა, გადასახადები შეაწერა, აქეთ ბაჟი, იქით სამხედრო ბეგარაო: ორ-სამ წელიწადში, რაც თავი კაცები იყვნენ, ჩვენებურები, ვისაც ხალხი ენდობოდა, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, მარჯან-ალა მარშანია, გრიგოლ გურიელი,

ყველა „ასტავკაში“ გაუშვა, ახლა თოფან-ბეგსაც აღარ აჩერებენ. ხალხი ამანაც ააღელვა. მერე ეს ტყის ბაჟიც შემოვიდა, ოსმალეთიდან ჩაშუტებიც ჩამოვიდნენ, ხალხი გააბრიყვეს: მეჩეთებს დახურავენ, ქალებს გაგიბახებენ, ჯოჯოხეთი არ ავცდებათო, და ამ ბნელ ხალხსაც მეტი რა უნდოდა, ადგნენ და ცხრა მთას იქით გადაბარგდნენ.

ბიჭები დიდკაცებივით ჩაფიქრებულიყვნენ. ყადირს მოღზე ფეხები მოერთხა და თვალებში შესცივინებდა მოსაუბრეებს.

* * *

ამ ოთახში თუფან-ბეგ შერვაშიძე ჩვეულებრივ განმარტოებით ისვენებდა. ახლა, რატომღაც, უმცროსი ბიჭიც მოუხმია.

ყადირი თოვლით შეჭირსლულ ფანჯარასთან მივიდა და მხერა სუროშემოვლებულ მუხას ჰკიდა. ხეზე შაში შემფრთხილდა, ჭახჭახის ხმამ ოთახშიც შემოაღწია. ბიჭმა თვალი ზენდიდის შეფიქლულ ტყეებს ააყოლა, ერთხანს მთას მიაშტერდა, შემდეგ ცქერა მდინარის ორივე მხარეს გაფანტულ ქოსმახებზე გადმოიტანა. დაბას რაღაც სევდიანი ბურუსი დასწოლოდა. ნაღველს ოდნავ ფანტავდა აკავრეთა, რომელიც აქაფებულიყო და ანკარა ტალღებს დედა-მდინარისაკენ მიაგორებდა.

ხიდს გამოდმა აუარება ხალხს წრე შეეკრა. წრეს ერთრიგად ჩამდგარი შაშხანაგადაკიდებული ჯარისკაცები ამავრებდნენ. შუაში სახრჩობელა იყო აღმართული.

ყადირმა მამას მოუხედა. იგი ბუხართან იყო მიმჯდარი, ვეება ბეჭები ორივე კერას სწვდებოდა და ავარდნილ კოცონს ფარავდა.

– გამოიყვანეს? – მოულოდნელად იკითხა ბეგმა, ფანჯრისაკენ არ მიბრუნებულა.

ბიჭი ფეხის წვერებზე წამოიწია. ხალხის უზარმაზარი

შავი ლაქა თოვლიან არემარეში კარგად ჩანდა.

– არა, – მიუგო მამას, შემდეგ ფანჯარა გამოაღო და თვალი კვლავ მიმოავლო იქაურობას.

ოთახში სუსხი შემოიჭრა, ცივ ჰაერს ხალხის ყაყანი შემოჰყვა.

– დახურე ფანჯარა!

ბიჭმა ფანჯარა სწრაფად მოხურა.

– ჩავიდე ქვევით? – ჰკითხა და დაჟინებით მიაცქერდა. მამას არაფერი უთქვამს.

ყადირი ოთახიდან გავიდა და კიბეებზე ჩაირბინა. ბეგი კვლავ გაუნძრევლად ზის და ფიქრებს მისცემია. გონებიდან ვერ მოუშორებია სამიოდე თვის წინ სიკვდილით დასჯილი ნათლული, მეველუდ დიასამიძე, ერთ დროს მისი ხელქვეითი, შუბლნათელი და პირმცინარი ბიჭი, სასამართლომ ლამის გაამართლა. ამის გამო მთავარმართებელი გოლიცინი სიგიჟემდე მისულა, სისხლი სწყუროდა იმ არამზადას და კიდევ დალია. მანამდე აჭარას სახრჩობელა არც ენახა. ეს მეორეა. დღეს ილიასას ჩამოახრჩობენ. „არა, აღარ ვიმსახურებ, გავალ, გავშორდები ამ კაციჭამიებს“, – გაიფიქრა მაზრის უფროსმა და ბეჭზე ხელი იტაცა, თითქოს სამხრეებს იძრობსო, აღარც კი ახსოვდა, რომ საშინაო ხალათი ჰქონდა მოხურული.



თუფან-ბეგი

* * *

ყადირი მაღალი, ბოხოხიანი კაცის ზურგს უკან იდგა, ამაზე წინ ვერ გასულიყო და ვერც ხედავდა, წინ რა ხდებოდა. ხალხის ჯგუფი ამოძრავდა და ბიჭი წინ მდგომ კაცს ზურგზე მიაწვა. კაცმა მოიხედა.

– მოდი, ბიძიკო, წინ დადექი, – იგი ოდნავ შებრუნდა და ბიჭს ადგილი დაუთმო. ყადირმა მას ახედა. პირხმელ, შავწვერა კაცს ცალ ხელში ფანქარი ეჭირა, მეორე ხელისგულზე პატარა ქაღალდების შეკვრა ედო. იგი დროდადრო რაღაცას იწერდა.

სახრჩობელა ხალხის წინ, უხეშად გაწყობილ ფიცარნაგზე იყო აღმართული. ბოძთან წითელპერანგიანი, სახეგარუჯული, ცხვირჩაჭყელეტილი, თავმელოტი, გრძელუღვაშა კაცი იდგა. ამ სიცივეში მკლავები დაეკაპიწებინა.

ბიჭმა ჯალათს თვალი მოარიდა და გვერდით მდგომი კაცის ხელებისკენ გაექცა მზერა. იგი ქაღალდის ნაჭრებზე ჩქარ-ჩქარა რაღაცას წერდა.

გამჩენელო, გენაცვალე
შენს ნაბრძანებ შენს ნებაში,
რადგან ვერვინ გაგერევა
ამ ხალხის გაშენებაში...
კაცის დახრჩობის კანონი
გამოვიდა მთავრობაში...

ამასობაში ვიღაცამ დაიძახა: „მოჰყავთ“! ხალხის მზერა ხიდგაღმა გადავიდა. ორი ცხენი ფურგონს მოაგორებდა. წინ და უკან შეიარაღებული მხედრები ედგნენ და მოაცილებდნენ. ხიდზე რომ შედგნენ, ნათლად გამოჩნდა ფურგონზე ღვედებით დაკრული კაცი. ორმა მცველმა ღვედები ახსნა და ხელშებორკილი, ფერმკრთალი კაცი ძირს გადმოიყვანა. იგი ხიდზე გადმოატარეს.

– დოროგუ, დოროგუ! – აყვირდნენ სალდათები, წრე ერთ ადგილას გაარღვიეს და ბადრაგი ეშაფოტისკენ შემოუშვეს.

ხალხს ერთი თეთრწვერა კაცი გამოეყო, მას ანაფორის მსგავსი რაღაც გრძელი და ფართოსახელოებიანი მოსასხამი ეცვა, თავზე თეთრი, წითელსაპირიანი ქუდი ეხურა. ის განწირულ კაცს მიუახლოვდა.

– ყველაფერი მოინანიე, შვილო, – უთხრა მან სიკვდილმისჯილს, – ღმერთს მადლობა უთხარი. ესეც შენი ბედისწვერა ყოფილა.

ილიასა ოდნავ გონს მოეგო და ხალხის გასაგონად მოლას უთხრა:

– ამ ჩვენს არემარეში, ჩემს გარდა, საკუთარი თვალით სიკვდილი არავის უნახავს, ეფენდი. ამდენი ხალხი რატომ შეჰყარეს. რატომ მაწვალებენ?... უთხარი ამ ღორებს: სულერთია, აჭარლებს ვერ დააშინებენ. დღეს მე მომკლავენ, ხვალ სხვა გაყაჩაღდება. ასე იქნება, სანამ ქვეყანაში უსამართლობაა.

– ღმერთს არ შესცოდო, ცოდვები მოინანიე, შვილო, – გაიმეორა მოხუცმა, – შენ შენი საქმე გაწვალებს.

მუნდირებში გამოწყობილ ჩინოვნიკთა ჯგუფიდან ერთი გამოვიდა და ეშაფოტთან ახლოს დადგა. მან ქაღალდი გაშალა, თვალებთან მიიტანა, და რიხით დაიწყო: „კანონის სახელით“ – გამოაცხადა განაჩენი, რისთვის, რა დანაშაულის გამო მიესაჯა ილიას ხილაძეს ჩამოხრჩობა.

ჩინოვნიკი გაბრუნდა.

ჯალათი იმწამსვე სწვდა სუდარას და ილიასას თავზე ჩამოცმა დაუპირა.

ილიასა ჩახმახივით შეიმართა, შეკრული ხელები მომუშტა, უკან დასწია და ჯალათს ცხვირ-პირში აძგერა. წითელპერანგიანი წაბარბაცდა და ეშაფოტზე მოადინა ბრაგვანი. სახეც წითლად შეეღება. ეშაფოტთან „სალდათები“ მიცვივდნენ, სიკვდილმისჯილს აქეთ-იქით შემოუდგნენ, სუდარა ჩამოაცვეს და სკამზე შეაყენეს.

ჯალათი წამოდგა, ნიკაპსა და ტუჩებზე მომდგარი სისხლის მოწმენდა სცადა, არ გამოუვიდა, ურცხვად გადააფურთხა და სახემოთხვრილი კვლავ ილიასას მიეძალა, თავადაც სკამზე აბობღდა და მარყუჟი ჩამოაცვია. შემდეგ სკამიდან ჩამოხტა, ერთჯერ კიდევ ახედა თოკს და სკამს მძლავრად გაჰკრა ფეხი. განწირული კაცი ჰაერში გამოეკიდა, რამდენჯერმე შეტოკდა... ხუთიოდე წუთს გაგრძელდა მისი სხეულის კრუნჩხვა.

ირგვლივ სამარისებურმა დუმილმა დაისადგურა, სადღაც შორს, გულების მხრიდან, ძაღლის ტირილი გაისმა. ვინ იცის, იქნებ მევლუდის ეზოდან მოდიოდა პირუტყვის ეს სულის შემძვრელი ყმუილი.

ყადირი აცრემლებული თვალების დამაღვას ლამობს, მაგრამ სად წავიდეს, ადგილს ვერ პოულობს. თავი მაღალი კაცისკენ მიუბრუნებია. ისიც ზედ ბიჭის თვალებთან აწრიპინებს ფანქარს:

მჟავანაძე გეახლები
 ამა ლექსის გამოთქმელი,
 ასეთ ამბებზე ვდარდობ და
 იმიზა ვარ ტანზე ხმელი.



მელექსე მჟავანაძე

კაცმა ქაღალდები მოკეცა, ფანქარი შუაზე მოაქცია და ზუბუნის ჯიბეში ჩაიდო.

ნახევარ საათს ხალხიც და ხელისუფლების წარმომადგენლებიც გახევებულნი იდგნენ და გაყინული თვალებით სახრჩობელას შესცქეროდნენ.

შემდეგ ერთმა ახმახმა ოფიცერმა ხმალი იშიშვლა, ორი ჯარისკაცი ჩამოხრჩობილის ფეხებთან გაჩერდა. ოფიცერმა

ერთი მოქნევით თოკი გადასჭრა. ილიასას მოხვარული სხეული ეშაფოტზე დაეცა. ცხედართან ექიმი მივიდა. სიკვდილი დაადასტურა, სალდათებმა გვამი იქვე წინასწარ გამზადებულ ორმოში გადაუშვეს.

ხალხმა ამოიგმინა – მოთმინების ნერვი, აქამდე დაჭიმული, ახლა გაწყდა.

ორმოს ჯარისკაცები შემოესივნენ, ნიხები მოიმარჯვეს და სახელდახელო სამარე მიწით ამოავსეს.

* * *

ბათუმის ოლქის გუბერნატორი, პოლკოვნიკი დრიაგინი არცთუ ისე მხდელი გახლდათ, „ძაღლის ენაზე“ მოლაპარაკე ლაწირაკების ბუნტს დაეფრთხო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, პოლიცმეისტერი და გიმნაზიის დირექტორი მოიხმო, სავარძელი შესთავაზა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– როგორ, ბატონო, სტოიანოვ, თქვენი მრევლიც ამხედრდა არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ?

– სამწუხაროდ, ამის ნიშნები გამოჩნდა, თქვენო აღმატებულება, – მიუგო ოდნავ შემცბარმა დირექტორმა.

– ალექსანდრ ივანოვიჩ, თქვენ გუშინდელი ჩინოვნიკი არ ბრძანდებით და კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ასეთი ამბები უმიზეზოდ და ვინმეს ჩაურევლად არ იწყება, – გუბერნატორმა დირექტორს შემპარავად მიაპყრო მზერა.

– სწორედ ასეა, თქვენო აღმატებულება, არსებობს მიზეზებიც... არეულობის მოთავეებიც არიან, – თქვა პოლიცმეისტერმა.

– აი, სწორედ ამაზე მოველი თქვენგან ამომწურავ ცნობას, – დაინტერესდა გუბერნატორი.

– გიმნაზიელებზე, პირველ რიგში, გამხრწნელად მოქმედებს ჩვენს შენობასთან სრულიად ახლოს ციხის

არსებობა. რაც სატუსაღოს ეზოში ხდება, მოსწავლეები ხედავენ, როგორც ხელისგულზე, პატიმრებისგან ისინი სწავლობენ პროტესტის გამოხატვის უხეშ ფორმას. ტუსაღთა გასეირნების დროს მოსწავლეებს ესმით ბორკილების ჟღარუნი. ყოველივე ეს აბოროტებს მათ და განაწყოებს ჩვენს წინააღმდეგ – განმარტა სტოიანოვმა.

– მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი, – ვერ დაკმაყოფილდა დრიაგინი.

– ცხადია, თქვენო ბრწყინვალეებავ, – სტოიანოვმა, სკამი ოდნავ წინ მისწია და ხმა დაიდაბლა, თითქოსდა, ვინმე უსმენდა, – როგორც ჩანს, გეყოლია მასწავლებლები, რომლებიც გიმნაზიელთა შორის აღვივებენ პროტესტის სულისკვეთებას.

– რა თქმა უნდა, ისინი ქართველები არიან, – პოლკოვნიკმა თვალი მოჭუტა.

სტოიანოვმა პასუხი ოდნავ შეაყოვნა.

– დიას, თქვენო აღმატებულებავ, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან სოლორაშვილის ქალი, მგელაძე და შარაშიძე, მაგრამ...

დირექტორი დადუმდა.

– რის თქმა გსურთ?

– მითხრეს, მიხაილ ნიკოლაევიჩ, რომ ამ ბოროტებაში აქტიურობს ქალაქის თავის მოადგილე ვოლსკი და ზოგიერთი ოფიცერიც კი.

– ოფიცერი? – გაიკვირვა გუბერნატორმა.

– დიას, თქვენო აღმატებულებავ. გიმნაზიასთან არსებულ მზრუნველთა კომიტეტის წევრად აურჩევიათ მიხეილის ციხე-სიმაგრის ფეხოსანთა ბატალიონის მესამე ასეულის უფროსი, ოფიცერი კლდიაშვილი, რომელიც თითქოსდა აწყნარებს მოსწავლეებს და მათ მშობლებს, საქმით კი მგონი, თავადაც აღელვებს მათ. სწორედ მან გამომიგზავნა კომიტეტის ორი წევრი, მათ მირჩიეს

განათლების მზრუნველთან შემეტანა თხოვნა და სხვაგან გადავსულიყავი.

პოლკოვნიკმა რაღაც ჩაიწერა.

– სხვებიც ხომ არ არიან?

– სამწუხაროდ, ამ ბოროტებაში რუსებიც აქტიურობენ, – კვლავ ჩაერია პოლიცემისტერი.

– მართალია? – დირექტორს თვალი მიატეხა დრიაგინმა.

– მართალია, – გაუბედავად თქვა სტოიანოვმა.

– გვარებს ხომ არ მოგვახსენებდით? – დაინტერესდა დრიაგინი.

სტოიანოვს აშკარად ყოყმანი დაეტყო.

– როგორ არა... დიახ...თქვენო აღმატებულებაჲ. თითქოს საბოლოოდ დადასტურებული არ უნდა იყოს, მაგრამ... – დაიბნა იგი.

– ეჭვი მაინც გექნებათ! – გუბერნატორის ხმას განსაკუთრებული ოფიციალურობა დაეტყო.

დირექტორი შეცბა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებაჲ, ჯერჯერობით ეჭვიმიტანილებაჲ ითვლებიან მასწავლებლები დერჟავინი და ვოიცეხოვსკი.

– დერჟავინი და ვოიცეხოვსკი! – გაიმეორა გუბერნატორმა და მზერა შორს გაექცა, თითქოს რაღაცას იგონებდეს. „საოცარია, რაზე ირჯება ბატონი დერჟავინი, ჩვენთან კარგ ანგარიშზეა, რამდენიმე ადგილზე მუშაობის უფლება მივეცით, ხელფასს გვარიანად დებულობს, ახლა იმოდენა წიგნის დაბეჭდვის ნება დავრთეთ, ცენზორი წინააღმდეგი იყო, პირადად მე ვიკისრე მისი მეურვეობა... საოცარია“, – გაიფიქრა დრიაგინმა.

– იქნებ გეშლება, ბატონო დირექტორო?

– სამწუხაროდ, ეს ასეა, თქვენო ბრწყინვალებაჲ!

– ამას საბუთი სჭირდება, – გუბერნატორმა ხმას

აუწია. სტოიანოვმა პოლიცემისტერს გადახედა. ერთი ფურცელი ამოიღო და გუბერნატორს წინ დაუდო, – აი, საბუთი.

მის წინ რუსულ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაცია იდო.

– ცენტრალური ფოსტა-ტელეგრაფის ყუთიდან ამოვიღეთ, თქვენო ბრწყინვალეება, – პოლიცემისტერმა მაგიდაზე კონვერტები დადო. მათზე დერჟავინის და ვოიცხოვსკის მისამართები ეწერა.

გუბერნატორმა სწრაფად ამოიღო ფურცლები, რომელზეც ეწერა:

„Кавказский Союз Российской социал-демократической рабочей партии. К учащейся молодежи“...

ფურცელს ხელს აწერდა „იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი“.

დრიაგინმა რამდენჯერმე ჩაიკითხა ფურცლები. სკამიდან წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. ბოლოს სტოიანოვთან შეჩერდა.

– თქვენ მართალი ყოფილხართ, ბატონო დირექტორო. სხვებზეც ხომ არ გაქვთ რაიმე შემჩნევა?

– სხვები იმპერიისა და სახელმწიფოს ერთგულნი არიან.

– სწორედ მათი ძალა უნდა დაგუპირისპიროთ მემბოხეებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ მოსწავლეებს, – ოდნავ შეეოვნდა, – დერჟავინი, ვოიცხოვსკი! – თავისთვის გაიმეორა. – ამათ შესახებ ჩვენ მოვილაპარაკებთ, ახლა თავისუფალი ბრძანდებით.

სტოიანოვი გუბერნატორს გამოეთხოვა.

პოლიცემისტერი მასთან დარჩა.

* * *

მეხუთე კლასში სამართლის მასწავლებელი სოკოლოვი შემოვიდა და წინა რიგში მჯდომ გიმნაზიელს ჯიქურ მიეჭრა.

– რა გვარი ხარ?

– შერვაშიძე.

– ეროვნება?

– ქართველი.

– არ გცოდნია! – იყვირა სოკოლოვმა.

– ქართველი, – გაიმეორა შერვაშიძემ.

– კარგად დაფიქრდი, შერვაშიძე! – მასწავლებელმა ყადირს თითი თვალებთან დაუტრიალა.

– მუსულმანი ქართველი, – ოდნავ შეასწორა მოსწავლემ.

– ვინც თავისი ვინაობა არ იცის, მას გიმნაზიაში რა ესაქმება... მომეცი ხელი.

ბიჭმა ხელი გაუწოდა.

სოკოლოვმა მაგიდიდან სახაზავი აიღო და ხელისგულებზე მსუბუქად დაჰკრა:

– შენ ხარ რუსი... გაიმეორე ჩემთან ერთად: „მე ვარ რუსი... რუსი“...

– მე ვარ ქართველი, – მიახალა გიმნაზიელმა და სკამზე დაეშვა. სოკოლოვმა სახაზავი შემართა და მოსწავლეს ხელზე მთელი ძალით დაჰკრა.

ყადირი მერხიდან წამოხტა და გარეთ გავარდა. მას სხვებიც მიყვნენ.

მაღე მთელი ოთახი დაცარიელდა. მოსწავლეები გაიფიცნენ.



გიმნაზიელი ყადირი

გიმნაზიაში კაზაკები მოიყვანეს. ისინი მოსწავლე „ნაცემნებს“ განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ, უმიზეზოდ სცემდნენ, იჭერდნენ. დაძაბულობამ კიდევ უფრო იმატა. მოსწავლეები ფარულად წითელი რაზმების ჩამოყალიბებას შეუდგნენ. საჭირო იყო იარაღი. რაზმის წევრებს თავიანთი იარაღი და ტყვია-წამალი უნდა ჰქონოდათ.

მეშვიდეკლასელ სოსო ავალიანს სახლიდან სქელ ჯვალს ქსოვილში გამოსხვეული მამის მაჭახელა მოჰქონდა. ქალაქის შემოსასვლელთან მას კაზაკები შეხვდნენ.

– შეჩერდი! – უბრძანეს გიმნაზიელს.

ავალიანმა ჯერ თოფის გადაგდება დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, შემდეგ იფიქრა, გავიქცევიო. ამასობაში კაზაკები მიუახლოვდნენ.

– რა გაქვს ჯვალში? – შეეკითხნენ მოსწავლეს.

– თოფი, – აღიარა ბიჭმა.

– სად მიგაქვს? – იკითხა კაზაკმა, შეხვეული გამოართვა და ჯვალს შემოაცალა.

– მამამ გამომატანა, შესაკეთებელია, – ახლა იცრუა ავალიანმა.

– არ ისვრის? – ცინიკურად იკითხა კაზაკმა და თოფი ბიჭს მიუშვირა.

– არ ვიცი, – ანგარიშმიუცემლად უპასუხა მან და უკან დაიხია. კაზაკმა ჩახმახი გამოსწია, თოფმა იგრიალა და გიმნაზიელი წამსვე გულაღმა გადავარდა.

მცირეწლოვანი სოსო ავალიანის მკვლელობა მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო. დაიწყო საპროტესტო მიტინგები, რაზმები მასობრივად შეიქმნა რაზმები. შავ ტერორს მათ სახალხო ტერორი დაუპირისპირეს. გიმნაზიელებმა გადაწყვიტეს ანგარიში გაესწორებინათ კაზაკებისა და რეაქციონერი მასწავლებლებისთვის.

მიზანში ამოიღეს ფრანგულის მასწავლებელი, რომელიც დახელოვნებული იყო ბავშვების დაბეზღებასა და აბუჩად აგდებაში. იგი ჯოხით სცემეს. ერთ-ერთ გაკვეთილზე ღუმელში ბომბი შეუგდეს. იგი აფეთქდა, მაგრამ საძულველი მასწავლებელი სიკვდილს გადაურჩა.

ქალაქში ხმა გავარდა: ევროპიდან გემი „სირიუსი“ ჩამოვიდა, იარაღი ჩამოიტანა და მუშებს ურიგებენო, მაგრამ ამ საქმის ორგანიზატორი დაიჭირეს და ბათუმის ციხეში ჩასვესო.

გიმნაზიელებმა გადაწყვიტეს მისი ციხიდან გამოხსნა.

* * *

ციხის ეზოში პატიმრები სეირნობდნენ. ისინი კარგად ხედავდნენ გიმნაზიის შენობის მეორე სართულის ფანჯრებს, საიდანაც ხშირად ისმოდა პატიმრების მისამართით ნათქვამი სიტყვები. ზოგი სიბრაღულს გამოხატავდა, ზოგიც ილანძღებოდა. კომკურაზე მდგომი მცველები მიჩვეულნი იყვნენ გიმნაზიელთა ხმაურს და ყურადღებას აღარც აქცევდნენ მათ. გიმნაზიის ფანჯარასთან გამონდნენ თმახუჭუჭა ულვაშაქონრილი ბიჭი და მისი ამხანაგები.

– ჩავარდი, არამზადავ?! – დაიძახა ერთმა.

გრძელულვაშა პატიმარი ძირს დაიხარა, თითქოს მიწიდან რაღაც აიღო და ფანჯრისკენ ისროლა, თან გინებაც მიაყოლა.

ნასროლი გიმნაზიის კორიდორში გაგორდა.

– შენ, რა, გაგიჟდი? – შეუღრინა პატიმარს მცველმა.

– აი, ისინი არიან გიჟები, – ხელით ანიშნა მან გიმნაზიელებზე...

თმახუჭუჭა ფანჯარასთან აღარ იდგა. როგორც კი მოსეირნე პატიმრებმა ერთი წრე შემოიარეს და

გრძელუღვაშა მოხერხებულ ადგილას მივიდა, პატიმრის წინ გიმნაზიის ფანჯრიდან ნასროლი რაღაც დავარდა. იგი პატიმარმა შეუმჩნევლად აიღო, პატარა კენჭს მჭიდროდ ჰქონდა შემოკრული გასანთლული ქაღალდი.

საკანში შესულმა ქაღალდი გახსნა: „17 სექტემბერი, 12 საათი, ვოზნესენსკისა და სმეკალოვის ქუჩების კუთხე. მხედარი“.

დათქმულ დროს გიმნაზიელებმა საშინელი ღრიანცველი ატყეხეს. მელენტი ზაქარიაძემ მეფის უზარმაზარ პორტრეტს ტყვიები დაუშინა, საშა თიროშვილმა თავგახვრეტილი პორტრეტი ძირს ჩამოაგდო. მოსწავლეებმა ქუდებზე მოიგლიჯეს გვირგვინები, რომელზეც ნიკოლოზ მეორე იყო გამოსახული და ეზოში გადაყარეს. ციხის მცველების ყურადღებამ მთლიანად გიმნაზიისკენ გადაინაცვლა. მოსწავლეებს მათ იარაღი მოუღერეს.

პატიმარი გაუსწორდა გალავნის იმ ადგილს, სადაც ერთი აგური იყო გამოვარდნილი, ელვისებურად შეხტა, გალავანს გადაეველო და ქუჩაში დაეცა. გიმნაზიელთა ღრიანცველმა იმატა, ფანჯრიდან იარაღის ლულეებიც გამოჩნდა.

ამასობაში პატიმარი ციხის გალავანს გასცდა და ნურიის ტბის ნაპირთან ბუჩქებში გაუჩინარდა. მალე ერთმა გიმნაზიელმაც ბუჩქებს მიაშურა.

ნურიის ტბის მეორე მხარეს, მარინეს ქუჩაზე, ორ ერთნაირ ჩაქურაში გამოწყობილ და ყაბალახახვეულს ერთმანეთისთვის ხელები გადაეხვიათ და უდარდელი დიღინით მიდიოდნენ. მათ ხეივანი გაიარეს, მარჯვნივ გაუხვიეს და ლორის-მელიქოვის ქუჩის კუთხეში შენობასთან შეჩერდნენ, მიდამო მიმოათვალიერეს და მაღაზიაში შევიდნენ. იმწამსვე ღია კარებში აშოტ ჯეროიანმა გამოიხედა, აბრა გადმოკიდა, „დღეს მაღაზია არ მუშაობს“ და კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა.

სტუმრებმა ყაბალახები მოიხადეს.

ჭაღარათმიანი, წვერმოშვებული და გრძელულვაშა კაციც წინ იღვა ახალულვაშაქონრილი თხუთმეტიოდე წლის ბიჭი.

კაცი ტახტზე დაეშვა და ბიჭს მიაშტერდა.

– შენ ის... თუფან-ბეგის...

– დიახ, მე ვარ, ბატონო თედო.

სახოკია ტახტიდან წამოვარდა და ბიჭს გადაეხვია.

– როგორ გაზრდილხარ, დავაუკაცებულხარ. როგორ მიცანი, ასე გაბურძენულ-გაველურებული?

– პირველი დანახვისთანავე მივხვდი, ვინც იყავით, ერთხანს არავის ვუთხარი, ჯერ თქვენი „კენტი“ წავიკითხე, შემდეგ სანდო ბიჭებს გავუმხილე და წერილი გადმოვაგდე.

– ხვალ ეტაპით მგზავნიდნენ, – თედო გაკვირვებულ აშოტ ჯეროიანს მიუბრუნდა, – გიმნაზიელებმა ხმაურით აიკლეს შენობა, სროლის ხმაც გაისმა. ერთი მოსწავლე ფანჯრიდან გადმოხტომასაც აპირებდა. ზედამხედველებს ჩვენთვის აღარ ეცალათ და აი, მეც გალავანზე გადმოვხტი...

– ციხის ტანსაცმელი სადღაა? – იკითხა ჯეროიანმა.

– ტბაში ჩავძირეთ, – უპასუხა თედომ, – ახლა მთავარია, აქედან გასული ვერ მიცნონ.

– ამასაც მოევლება, – თქვა აშოტმა და უჯრიდან მაკრატელი და სამართებელი გამოიღო.

ორიოდე საათის შემდეგ ახალწვერგაპარსული მოკლეულვაშა, თეთრფაფახიანი, თავადის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი და ჩაქურიანი ახალგაზრდა მიხეილის ქუჩას მიუყვებოდნენ.

ისინი რკინიგზასთან ერთმანეთს გამოეთხოვენ. ახალგაზრდამ ლიანდაგი გადაკვეთა და შადრევნის ქუჩას გაუყვა, ხანშიშესულმა კი ჯერ ლიანდაგზე განაგრძო გზა, შემდეგ სადგურის ბაქანზე გადავიდა და ქუთაისში მიმავალ მექორწილეებს შეერია.

ბოროტი კაცი

მკერდსავსე და თეძომოქნეულ ქალებს ფუნჯის ჯადოქარმა ლადო გუდიაშვილმა ხელში თოფები დააჭერინა, ათას ცხრაას ოცდაცამეტში ზეთით შესრულებულ ტილოს კი „სასროლე“ უწოდა.

არა მგონია დედაჩემს მოესწრო ამ სურათის ნახვა, ან შემდგომშიც ოდესმე ეხილა იგი...

მანამდე არც თოფი აელო ხელში...



„სასროლე“

არც გასროლა იცოდა...

ოცდაექვსი წლისას ოთხი შვილი ჰყავდა, მეხუთეს მუცლით ატარებდა.

მაგრამ, როცა დასჭირდა, თოფიც აიღო ხელში და კიდევ გაისროლა... ბოროტ კაცს ესროლა.

ესროლა ბოროტს, ყველაფერს ცუდი თვალით რომ უყურებს, შური ახრჩობს, ორგული და კაცთმოძულეა. პოდა, ასეთმა ბოროტმა კაცებმა მამაჩემი ამოიღეს მიზანში, რადგანაც მისი სახელი დაგორებულ თოვლის გუნდას დაემსგავსა, ერთხელ რომ მოსწყდა და ზვაევივით გაიღო ხმაური.

მშობლები, ბებია-ბაბუა და ბიძა-ბიცოლები ერთ წელიწადს სახადით რომ ამოეხოცა, თვითონ, ექვსი თვის ერთადერთი ბიჭიც რატომ არ მიყვა მათ, რომ ოჯახი გადაშენებულიყო...

რატომ გაზარდა მამიდამო...

რატომ აღადგინა გაძარცვულ-გაპარტახებული ოჯახიო:

რატომ ჰყავს ქმარ-შვილის მოყვარული ცოლიო;

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდანვე რატომ მიიღეს სახალხო მილიციაშიო:

რატომ იცის წერა-კითხვაო;

მის გოგონებს რატომ არ ახურავთ ჩადრი და პირახდილი რატომ დადიან სკოლაშიო;

კოლპერატივში კაცმა ფული რომ გაფლანგა, დანაშაული რატომ არ დამალაო;

უაზრო და ბრმა გამოსვლების დროს რატომ არ გაჰყვა ერთ მუჭა თავგზააბნეული ხალხის ბრბოს, რატომ ჩაიკეცა სახლში და არ დადგა ხელისუფლების მტრების მხარეზეო;

რატომ და რატომ...

ხედავთ, რამდენი მიზეზი ჰქონდათ ბოროტ კაცებს მეზობლის შესაძულებლად?

შხამ-სამსალით გაგუდულნი სულ გადაირივნენ,

მამაჩემი კომუჯრედმა პარტიის წევრობის კანდიდატად რომ მიიღო, ბათუმში რომ გადაიყვანეს და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს.

ახლა დაგვიდგა დრო, იფიქრეს ბოროტმა კაცებმა და შეუდგნენ გეგმების შედგენას. ჯერ ოჯახში მარტოხელად დარჩენილი ქალის და მცირეწლოვანი შვილების დაშინება სცადეს.



მამა

დასვენების დღეებში მამა სახლში რომ იყო, ოჯახს მშვიდად ეძინა, მაგრამ როგორც კი წავიდოდა, ვაი, იმ დამეს და იმ ძილს! საწოლი ოთახის კედელთან, სადაც ბავშვების ლოგინი იყო გაშლილი, შუადამეზე ატყდებოდა ფხაჭუნი და საშინელი ღმუილი, ადამიანს შიშისგან ჭკუაზე რომ შეშლის ხოლმე. პირველი დამე თეთრად გათენდა. საბედნიეროდ,

ბავშვებს არ გაუღვიძიათ. მეორე საღამოს მშვიდად დაიძინეს იმ იმედით, რომ ეს საშინელება აღარ განმეორდებოდა, მაგრამ თურმე უფრო უარესი მზადდებოდა. ახლა კედლის სხვადასხვა მხარეს ბრახუნიც ატყდა, ბავშვები ლოგინიდან წამოიშალნენ და გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ თავად შეშინებულ დედას, რომელსაც ჭრაქი აეღო ხელში, ბავშვებთან მისულიყო და აწყნარებდა.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდამე მოდიოდა ერთი ბოროტი კაცი ხან დაწოლის ხანს, ხან შუადამეზე, ხან კიდევ განთიადისას.

მორწმუნე მეზობლებს ღმერთისადმი შიში კიდევ უფრო გაუძლიერდათ. ეს ამბავი ურწმუნო ოჯახის საჯელად მიიჩნიეს და ხელი ჩაიქნიეს.

ნათესავეები წუხდნენ, მილიციასთან ერთად რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ კიდეც, მაგრამ მელიასავით ეშმაკი, მგლის მუხლის და ცხენის თვალების მქონე ბოროტი კაცი თითქოს წინასწარ გრძნობდა მახეს – იმ დროს სახლს ახლოს აღარ ეკარებოდა. მოდიოდა, როცა საშიშროება შორს იყო. ასე გაგრძელდა თითქმის ექვსი თვე. ძილგატეხილი, დაშინებული და ნერვებდაწყვეტილი ბავშვები ლანდებს დაემსგავსნენ.

აღამიანი ყველაფერს ეჩვენა. რაღაი ფიზიკურად არ ეხებოდა, თითქოს დედაც მიენვია შიშს. მთვარით განათებულ ღამეს ოთახიდან თვითონ ჩაუსაფრდა ბოროტ კაცს, იქნებ ვიცნო. წაბლის ძელებს შორის ნაპრალი მტვრისა და წვრილი ნაფოტებისაგან გაწმინდა, იქიდან უმზერდა მის მოსვლას. იმასაც არ დაუყოვნებია, აივანზე ამობობდა და კედლის ნაპრალთან გაჩერდა. სახეს მთვარეც უნათებდა, თავი შავი ყაბალახით ჰქონდა მოხვეული, მხოლოდ თვალები უჩანდა: ორი დიდი, ჭროლა, გამყინავი თვალი მოუახლოვდა კედელს. დედამ ვერ იცნო, მაგრამ ეს თვალები დაამახსოვრდა და შემდეგ შვილებსაც ისე დაუხატა, რომ იმათაც სამუდამოდ ჩარჩათ მესხიერებაში.

დედამ თავისი ძმა მოიხმო, ისიც მოვიდა, თან დატენილი „მართინი“ მოიტანა.

– შით იმფერი ტყვია ჩავდე, გაღმა ყანაში დათესაც მოკლავს, – უთხრა დედას.

ის ღამე გაათენეს, მაგრამ ბოროტი კაცი არ გამოჩნდა. ბიძაჩემი წავიდა, თოფი დას დაუტოვა.

მეორე ღამეს, როგორც კი კედელზე ფხაჭუნი ატყდა და შემადრწუნებელი ყმეილი გაისმა, დედამ „მართინს“ წამოავლო ხელი, შუა ოთახში გაჩერდა, თოფი მოიმარჯვა და უნდა გაესროლა იმ მხარეს, სადაც ვარაუდით მომხდური ეგულებოდა... ხელები უკანკალებდა და ოდნავ შეყოვნდა... ღმერთს მადლობა, რომ არ გაისროლა. თურმე

ხმაურზე ყველაზე უმცროსი, ოთხი წლის გოგო ლოგინიდან წამობობდებულა, კუნაპეტ სიბნელეში თოფის ლულის წინ მდგარა, შემდეგ ლოგინზე ადგილი რომ მოინაცვლა, ლულას წამოედო. მაშინ მიხვდა დედა, რა საშინელებას გადაურჩა.

ბავშვი ლოგინში ჩააწვინა, სხეებიც დააწყნარა და ლულა წაბლის ძელს მიაბჯინა. ჩახმახი მოზიდა, მაგრამ



დედა

თოფის გრიალი არ გაუგონია, უკუბიძგმა იარაღიანად ძირს დასცა... უკნიდან კიდევ რაღაც მკვრივი საგანი მოხვდა. ეს რაღა? – თურმე სროლის ადგილას წაბლის ფიცრიდან უზარმაზარი ნაფოტი აგლეჯილა, მთელი ძალით მოპირდაპირე კედელს მოხვედრია, არეკლილა და დედას დასცემია.

ბედი არ გინდა? უკუბიძგს რომ არ წაექცია, ალბათ ნაფოტი დედას სახეში მოხვედებოდა.

ტყვიამ წაბლის ძელი გახვრიტა და გაფრინდა. ბოროტი კაცი ოდნავ გვერდზე იდგა და გადარჩა. ამას არ ელოდა, წამით შეეყონდა, შემდეგ კედელს მოწყდა, გადახტა და გაუჩინარდა.

ამ ქვეყანაში ალბათ პირველი იყო შემთხვევა, როცა თოფი ბავშვის დაბადებამდე გაისროლეს, თანაც არა იარაღის პატრონმა, არამედ მომავალმა დედამ.

თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, ფანჯრიდან ათას ცხრაას ოცდაცამეტი წლის ათი მაისის განთიადის შუქმა შემოსცინა. მაგრამ რა მოხდა? დედა ფეხზე ველარ ღებოა.

ოთხივე ბავშვი გაფართოებული თვალებით შესცქერიან ხან ავბედით წაბლის ძელს, ხან კიდევ იატაკზე იდაყვით დაყრდნობილ დედას.

– ფატი, წადი, ნენეი ჩამომიყვანე, ავათ ვარ, – მისუსტებული ხმით უთხრა უფროს გოგოს, შემდეგ იდაყვი გამოეშალა და იატაკზე გაერთხო.

ფატიმ დედას თავქვეშ ბალიში შემოუღო და გარეთ გავარდა. ათიოდე წუთში ნენეიც შემოვიდა.

ბავშვები წამოცვივდნენ, გამხნევდნენ, თითქოს ავადმყოფი დედის გადასარჩენად ბებია კი არა, ქალღმერთი მოვლინებოდეს ოჯახს. გოგონები გარეთ გავიდნენ და თამაშით გაერთნენ. ბიჭმა ახორიდან ხარები გამოდენა და ყანაში ჩაიყვანა, აქ გუთნისდედა მოსულიყო და ერქვანზე სახნისს ამაგრებდა.

ყანა შუამდე იქნებოდა მოხნული, როცა ჩაკეტილი კარ-ფანჯრებიდან ქალის ყრუ კივილი მოისმა. მაშინვე კარიც გაიღო, აივანზე ნენეი გამოვიდა, ხელებზე წყალი გადაივლო.

– ბიჭია, ბიჭი! – გაისმა ფატის ხმა.

– სოლე, გოგ, სირცხვილია! – დაუცაცხანა ნენემ.

გუთნისდედამ ხელით თვალები მოიხრდილა და სახლისაკენ გაიხედა.

– გააჩერე ხარები, დავასვენოთ! – უბრძანა მეხრეს.

– რატომ? ახლა არ მოვასვენეთ? – იკითხა ბიჭმა, თან უღელს მოაწვა.

– ოქში ყარამანავ, ოქში მთვარიავ!

ხარები გაჩერდნენ.



ფატი

გუთნისდედამ ჯილღა მიაყუდა და ხნულთან ჩამოჯდა, რაღაცნაირად უღიმოდა სახე.

– მეტს აღარ მოვხნავთ!

– რატომ? – ბიჭი უღელზე ორივე ხელით ჩამოკიდებულიყო და ქვემოდან განცვიფრებული უმზერდა გუთნისდედას.

– მოზიარე გაგინდა. შენი წილი მოხნულია, დანარჩენი იმან მოხნას, – უთხრა ბიჭს და ეშმაკურად ჩაიცინა.

* * *

თითქმის მთელი თვე აღარ გამოუვლია ბოროტ კაცს. ვითომ ახალშობილი შეიცოდა, თუ მელოვინე?

„იქნებ აღარ მოვიდეს“, – ფიქრობდა დედა, მაგრამ იმას სხვა საქმე არ ჰქონდა, არც ახალშობილი შეიცოდა და არც მისი მშობელი. კვლავ ჩვეულებებისამებრ ამოდოდა დერეფანში, ისევ ფხაჭინდა კედლებს და ჩხაოდა, როგორც მშიერი ტურა.

დედას მეტი აღარ გაუსროლია.

მეზობელ სოფელში მისი დაი იყო გათხოვილი, მეუღლე ჰყავდა ნათესავის და მეგობრის დიდი პატივისმცემელი, ვაჟკაცობაში ტოლს არავის უღებდა. ერთი უცნაურობა სჭირდა – ღამე სიარული უყვარდა, სიბნელეში კარგადაც ხედავდა და შესანიშნავი აღდგოც ჰქონდა. სტუმრად შუადამეზე წავიდოდა და მასპინძელს განთიადისას მიაღებოდა ხოლმე. კაცი იფიქრებდა რაღაც საჩქარო საქმე აქვსო, მაგრამ შემდეგ გამოირკვეოდა, რომ ეს ჩვეულებრივი სტუმრობა იყო.

იმ ღამეს ქვისკლესკენ გამოემართა, ჯერ არ გათენებულიყო, ეზოში რომ შემოდგა ფეხი, კარებზე დაკაკუნებას აპირებდა, მაგრამ გაახსენდა, ვიღაც რომ დადიოდა ღამღამობით და გადაიფიქრა, ქალ-ბაღანა მეც არ შევაშინო. ამ დროს ეზოში რაღაც ჩქამს მოჰკრა

ყური და კარაპანში აყუდებულ მორებს შორეში აიტუზა. სახლს ლანდი უახლოვდებოდა. იგი მორებს გაუსწორდა, აივნის მოაჯირს ხელი მოავლო და ის იყო ზევით უნდა ამხტარიყო, ჩასაფრებულმა მოაჯირზე გაწვდილ მკლავზე რაღაც დაჰკრა, შემდეგ ხელი წაატანა, გადაუგრიხა და მუხლებზე დააჩოქა. ბოროტმა კაცმა მთელი ხმით იბღავლა. დედა-შვილები ლოგინიდან წამოიშალნენ.

– მეელუდაი ვარ, გამოდით, მომეხმარეთ, შევეკრათ ეს მუდრეგი! – გასძახა დიასახლისს სტუმარმა.

კარი გაიღო. რვა წლის ბიჭთან ერთად გადარეული დედა კარაპანში გამოვიდა. ბოროტ კაცს ცხემლის წკნელით ხელები უკან გაუკრეს, მაჯებზე სულ სისხლი აღინეს, ფეხებიც გაუბორკეს და იქვე, ხმელ ფიხებზე მიაგდეს. იგი ღმუოდა და იკლაკნებოდა. ამასობაში გათენდა. დუქანთან ხალხმა მოიყარა თავი. ამოვიდნენ, ხელფეხშეკრული თახსირი წაიყვანეს და დუქანში ჩაკეტეს.

დედა შეშლილს გავდა. გაღესილი დანით შეიარაღებული ჩამოვიდა დუქანში. ყურები მოაჭერითო, მაგრამ აუხსნეს, ასეთი სასჯელი კანონში არ სწერიაო და მისი ბედი სამართალმა უნდა გადაწყვიტოსო.

ბოროტი კაცი შავბნელ ძალებთან ყოფილა დაკავშირებული და სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა. ერთხანს ციხეში იყო. მეზობლები ფიქრობდნენ, იქნებ იქ მაინც ისწავლოს ჭკუაო, მაგრამ ყორანი არ გათეთრდა: ჭკუის მაგივრად ქურდობა ისწავლა; სოფელში აღარ დარჩა გაუტეხავი წისქვილი, საბძელი, ნალია და ბედელი. ვერა და ვერ წაასწრეს ადგილზე, ამიტომ სოფელში არხეინად დადიოდა.

ორმოცდაორში პატარა სოფლიდან თორმეტი კაცი გაიწვიეს ჯარში. სიაში ბოროტი კაციც იყო, მაგრამ არ გამოცხადდა, ტყვეს მისცა თავი და ქურდბაცაცობა განაგრძო, სოფელში აღარ ჩნდებოდა.

* * *

გაკვეთილების შემდეგ ბავშვები სკოლის ეზოში ვთამაშობდით, პატარა რეზინის ბურთი მქონდა, მთელ სოფელში იგი ერთადერთი იყო. მოულოდნელად მეზობლის ბიჭმა ბურთს ხელი დაავლო და სახლისკენ გაიქცა. გამოვედევნე, თავისი ყანისკენ გარბოდა. აბიბინებულ სიმიდს სამი ქალი თოხნიდა. ყანის ბოლოს დავეწვი, ბურთი წავართვი და ცოტა თვითონაც ვაბურთავე. უკან გაქცევას ვაპირებდი, დავინახე ერთმა თავპირახვეულმა ქალმა თოხი დაავლო და ჩვენსკენ თავქვე გამოიქცა. დავიცადე, ვიფიქრე დედამისია და შვილი უნდა გააკიცხოს-მეთქი, მაგრამ ქალი რაღაც უცნაური გრძელი ნაბიჯებით ჩემკენ მობოდა. შევშინდი, მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძარი. როგორც კი მომიახლოვდა, სახეზე შევხედე და ჭროლა, გამყინავი ორი თვალი დავინახე. ლეჩაქი პირით ეჭირა, როგორც კი შეგინება დამიპირა, ლეჩაქი ჩამოუვარდა და შავი აბურძგნული უღვაშებიც გამოუჩნდა. შიშისგან კინაღამ შევიშალე, ახლა კი მოვბრუნდი და სახლისკენ მოვეკურცხლე. ვერაფერი გავიგე, მაშინ არც შემქედლო ავისა და კარგის გარჩევა.

დედას მოვუყევი.

- ის არგასახარებელი იქნებოდა, – მითხრა დედამ.
- კაბა რატომ აცვია, შვენის? – ვკითხე მე.
- ემალება სოფელს, მთავრობას. მაგის მეტი რომელი კაცი იკადრებს ქალის მითვლებში გახვევას.

* * *

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. რამდენმა წყალმა ჩაიარა. დედაჩემს ბოროტი კაცების დასმენით ოცდაჩვიდმეტში ქმარი წაართვეს. ომი დაიწყო. აუჰ, რა

წვალებით ზრდიდა ხუთ შვილს! ამასობაში უფროსი ბიჭი შეუდგა სამსახურს და ჯაფა შეუმსუბუქა. ომიც დამთავრდა. შემდეგ მამაც დაბრუნდა. ახალი ცხოვრება დაიწყო. ყველა რაღაცას ეწია. სამოცდახუთი წლისა დედა გარდაიცვალა. ნერვიულობით გაუჩნდა სისხლის წნევაო, თქვა ექიმმა. რვა დღე გრძელდებოდა აგონია.

ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე შემხვედრია ბოროტი კაცი. სანამ ბავშვი ვიყავი, სულ მიბღვერდა და მაშინებდა, თითქოს მის შვილს მე წავართვი ბურთი. მისი დანაშაული დაივიწყეს და ერთ ზღვისპირა რაიონში მშვენიერი მიწა მიუზომეს, იქ სახლიც ააგო, ხანდაზმულს თითქოს პატიოსნად უნდა ეცხოვრა, მაგრამ...

* * *

ერთ-ერთი მორიგი ამნისტიის დროს დეპუტატები შრომა-გასწორების ადგილზე მიგვიწვიეს პატიმრების ვადაზე ადრე გასათავისუფლებლად, ე. ი. ჰუმანური კანონის აღსასრულებლად. ვინ არ შემოვიდა კომისიის ოთახში, სხვადასხვა ჭკუის, მისწრაფებების და აზრის მქონენი, კაციც და ქალიც, ჯეელიც და მოხუციც.

უკანასკნელად სამოცდაორი წლის თმაგაჭადარავებული მამაკაცი შემოიყვანეს. ჭუჭყიანი პერანგი და გახუნებული, ერთგან მუხლზე გამოხეული ტილოს შარვალი ეცვა, ფართო ბოლოები მიმოდრეცილ მაღალყელიან ფეხსაცმელებში ჩაეტანებინა და ფეხსაცმელისვე თასმებით დაემაგრებინა, არ ამოვარდესო.

სახეზე შეგხედე, უღვაშები ერთიანად გათეთრებოდა, მაგრამ ჭროლა, გამყინავი თვალები თითქმის არ შეცვლილიყო, ოღონდ ახლა მათში მუქარის ნაცვლად საწყალი კაცის მუდარა მომეჩვენა. თვითონ ვერ მიცნო.

– ქურდობისთვის ხუთი წელი აქვს მისჯილი. შრომის

სავალდებულო ვადა არ არის გასული, იზოლატორში ყოფნის დროს დარღვევებიც ჰქონდა, – მოგვახსენა ზედამხედველმა.

– ამან რაღა უნდა დაარღვიოს, – თქვა ერთმა წევრმა, – ვფიქრობ სავალდებულო ვადას არ უნდა დაველოდოთ. რა მნიშვნელობა აქვს რამდენიმე დღეს ამ ხნის კაცისთვის, ჩემი აზრით, უნდა გავათავისუფლოთ.

ზუსტად ნახევარმა ამ აზრს დაუჭირა მხარი. დანარჩენი წინააღმდეგია. ხმები გაიყო.

წუთით უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

ყველას თვალი და ყური მიპყრობილი აქვს, რას იტყვის თავმჯდომარე.

– ვემხრობი პირველ წინადადებას, – ხმადაბლა ჩავილაპარაკე და მოხუცის ვადაზე ადრე გაათავისუფლების საბუთს ხელი მოვაწერე.

მკითხველს პატიებას ვთხოვ, რომ არ ვასახელებ ამ ამბების გმირთა სახელებს.

ნუ დამემდურებიან ბოროტი კაცის შთამომავალნი, თუ მთავარ გმირში თავისიანს შეიცნობენ. ჭკვიანი მადლობას იტყვის, მხოლოდ ამ უსახელო მოთხრობის დაწერით რომ ვიძიე შური.

უმჯობესია ახსოვდეთ: პატარა, კრამიტით დახურული სახლის ერთ კედელზე წაბლის ძელს დღესაც აჩნია შავი ნახვრეტი. იქ ბოროტი კაცისკენ გასროლილმა ტყვიამ გაიარა.

უფრო ადრე, ათას ცხრაას ოცდაცხრაში, ლადო გუდიაშვილმა ერთ ტილოზე დახატა დაწვებმონგრეული სამი მახინჯი, ცოლ-ქმარი და ბავშვი, ყოველ წუთს რომ მზად არიან ზურგში დანა ჩასცენ ადამიანს: ამ ნახატს ფუნჯის დიდოსტატმა „ბოროტი ოჯახი“ შეარქვა.

1981



„ბოროტი ოჯახი“

ცრემლი სიხარულისა

(ნაწევები რომანიდან „მურღულის ქვა“)

კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში ბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, ახალ წევრებს დებულობდნენ. მდივანი გვარს უკარნახებდა, ინსტრუქტორი ოთახიდან გადიოდა და გოგო-ბიჭები თითო-თითოდ შემოჰყავდა. შეკითხვებსაც პირველი მდივანი იძლეოდა. ამ დროს ის ფეხზე წამოდგებოდა ხოლმე. დაბალი ტანის ახალგაზრდა კაცი იყო, ცალი მხარი რაღაცნაირად დაშვებული, თავიც ოდნავ გვერდზე ისე ჰქონდა გადაგდებული, იფიქრებდი, ამ კაცს კისერმრუდობა აქვსო. ტანზე წითელი ტყავის მოკლე ქურთუკი ეცვა.

მისადგმელ მაგიდასთან ბიუროს წევრები შემომსხდარიყვნენ. კედელთან კი ერთ რიგად რაიკომის სხვა თანამშრომლები ისხდნენ. ისინი იშვიათად თუ ჩაერეოდნენ ახალბედებთან საუბარში.

– ცისკარიძე! – თავაუღებლად თქვა მდივანმა და პირადი საქმე გადაშალა.

ინსტრუქტორმა კიდევ ერთი ბიჭი შემოიყვანა.

ბიუროს წევრებმა სკამები აახმაურეს და შემოსულისკენ მიბრუნდნენ. კარებთან ცამეტიოდე წლის ბიჭი იდგა. მოზრდილი კაცის ტანსაცმლით იყო შემოსილი; ვიდაცის ნახმარი პიჯაკი პალტოს მოვალეობასაც ასრულებდა, შინ ნაქსოვი შარვალი, დაზლის წინდები და მოკოპიტული ქალამნები ერთიანად დასველებოდა.

მდივანი წამოდგა, მხარი ჩვეულებისამებრ აიქნია და ბიჭს მიაშტერდა. იმანაც გაუბედავად გაუსწორა დიდრონი თვალები. შემდეგ სეტყვასავით წამოვიდა შეკითხვები:

- და-ძმა რას აკეთებენ?
- ერთი ძმა მყავს, ჯემალი ნოქარია.
- შენზე უფროსია?

– დიას. თხუთმეტი წლისამ დაიწყო მუშაობა, ახლა ოცისაა.

– დები?

– ორი გათხოვილია, კოლმეურნეობაში მუშაობენ, მესამე სკოლის დამლაგებელია.

– დედა არ მუშაობს? – ხმა უფრო აიმაღლა მდივანმა, თითქოს ბიჭის პირდაპირი პასუხი არ მოეწონა და სურს როგორმე გააჩუმოსო.

– როგორ არა, – კვლავ სხარტად უპასუხა ბიჭმა, – არტელში მუშაობდა, წინდებსა და ჯემპრებს ქსოვდა...

– მაგ არტელი ომის დროს იყო, ახლა რას აკეთებს?! – დაიქუხა მდივანმა.

ბიჭს სახე შეუფაკლდა, ოდნავ დაბნეულობაც დაეტყო. ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეა გასული. დედა ქალაქში საქმიანობდა, ახლა კოლმეურნეობის წევრად ვინ მიიღებდა. თვითონაც ხომ ფოსტალიონად მუშაობს. გაკვეთილების დამთავრებისთანავე დღეჩაგდებით სოფელში მოაქვს წერილები და ჟურნალ-გაზეთები. ამ აზრმა გონებაში გაუელვა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, ეთქვა თუ არა. იქნებ მდივანი კიდევ უფრო აყვირდესო. – ამასაც ფიქრობდა და ხმა ვერ ამოედო.

– არ მუშაობს ხომ? – ნიშნის მოგებით იკითხა მდივანმა და კვლავ პირად საქმეში ჩარგო თავი.

ბავშვი დადუმდა და თვალები აუწყლიანდა. მოსაუბრეს სახე მოარიდა, გვერდზე გაიხედა, მერე თავი დახარა.

– ვისია ეს ბავშვი? – კითხა საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ზია თავართქილაძემ გვერდით მჯდომ ინსტრუქტორს.



ჯემალი

– დურმიშხან ცისკარიძის უმცროსი ვაჟია, – გატეხილი ხმით უპასუხა მან.

ბავშვის გამოკითხვა გაგრძელდა.

– მამა სად არის? – ოდნავ დაიდაბლა ხმა რაიონის ახალგაზრდობის წინამძღოლმა.

ბავშვი კვლავ დუმს, თავს ზევით აღარ სწევს, ეტყობა, ჩუმად ტირის.

– არის აზრი, ცისკარიძის მიღებაზე ჯერჯერობით თავი შევიკავოთ. – ბრძანებასავით გაისმა პირველი მდივნის დასკვნითი სიტყვა.

გამოუცნობმა სიჩუმემ დაისადგურა, ყველა დაძაბულია, მაგრამ ამ ხმას არავინ იღებს. ბიუროს წევრებს თავები ჩაუქინდრიათ. თვით ამ „აზრის“ ავტორიც არავისგან მოელის შელაპარაკებას, მაგრამ რატომღაც აყოვნებს იმის თქმას, რომ წინადადება ერთხმადაა მიღებული.

– შეკითხვა მაქვს. – ხელი ასწია საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, პირველ მდივანს მხერა ესროლა და წამოდგა.

– ბრძანეთ.

– ცისკარიძის მიღებაზე საერთოდ ვიკავებთ თავს თუ დროებით, საკითხის გადადების მიზეზიც მაინტერესებს. – მისი სიტყვები მოულოდნელ გასროლასავით გაისმა.

არც მდივანი მოელოდა ასეთ პირდაპირობას. მან აღმაცერად ახედა თავართქილაძეს. ინსტრუქტორთან მისი გადალაპარაკება გონებაში ახლა გადაამუშავა, იქნებ სხვებიც მომცემენ შეკითხვებსო, – გაიფიქრა და დამსწრეთ მიმართა:

– ბიუროს სხდომა ხვალაც გაგრძელდება, საკითხიც საბოლოოდ ხვალ გადავწყვიტოთ და შეკითხვებზეც მაშინ გაგცემთ პასუხს. ხვალ, დილის 10 საათამდე ცისკარიძე თავისუფალია. – თქვა მან. სახეზე ემჩნეოდა, კმაყოფილი იყო, მოულოდნელ შეკითხვებზე ასევე მოულოდნელი და, მისი აზრით, სწორი გადაწყვეტილება რომ მიიღო.

უამრავ შეკითხვებში იმ სადამოს მდივანს ერთი მთავარი შეკითხვა დაავიწყდა: ნახევრად სველ, გათოშილ ბავშვს, იანვრის ამ საშინელ სუსხსა და სიცივეში ღამე სად უნდა გაეთია.

* * *

„ხალხის მტრის“ ცოლს, შვილს, ძმას, მშობლებს ყველა გაუბრბის, როგორც კეთროვანს, ქუჩაში აღარავინ ესაღმება, ხელს არ ართმევს, მათთან წვეულებაზე აღარ მიდიან, არც სახლში პატიუბენ. ასეთი ამბები ხშირად ესმოდა რამინს და სულ იმის ფიქრში იყო, დედასთან ერთად რომ გადაასახლონ, რა უნდა იღონოს: „გავეპარები მილიციას, სახლში ჩამოვალ და დედას აქედან გავუგზავნი ამანათებს, წერილებს. აბა იქ რა უნდა ვაკეთო, დედას ზედმეტ ბარგად ხომ არ გადავექცევი?“

– გაიპარები და რას მოიგებ! – ჩასძახოდა ხმა, – სახლში ჩამოხვალ, ბინა დაღუქული დაგხვდება, მეზობლებთან, მშობლების მეგობრებთან მიხვალ, არავინ მივიღებს, ღამესაც არ გაგათევენინებენ. ბაბუასთან წახვალ, იმასაც დაიჭერენ...

მართლაც ასეთი იყო ბედი იმ დროს გაუბედურებული ადამიანებისა, ვინც რვაფეხა ურჩხულის მარწუხებში მოექცა.

ის ღამე შეციებულ-შეწუხებულმა და რომელიღაც აივანზე თავშეფარებულმა ბიჭმა თეთრად გაათენა.

მეორე დღეს ბიუროს სხდომაზე პირველად ცისკარიძე გამოიძახეს. საუბარი კვლავ შეკითხვებით დაიწყო.

– მამა სად არის? – გაიმეორა გუშინდელი შეკითხვა მდივანმა.

– კრასნოიარსკის მხარის ქალაქ ნორილსკში. – იყო პასუხი.

- წერილებს თუ უზავნით?
- დიახ.
- ამანათებს?
- ამანათებსაც.
- შენ უზავნი თუ დედაშენი?
- ამანათებს დედა უზავნის.

მდივანი ერთხანს ქაღალდებს ჩასცქერის.

- გიყვარს მამაშენი? - მოულოდნელად მიახალა ბავშვს.

ბიუროს წევრები ადგილზე ამოძრავდნენ.

ზია თავართქილაძემ კი სკამი მკვეთრად და ხმაურით გასწია და ნებაც არ უთხოვია, წამოიჭრა.

- ბოლოს და ბოლოს, რა ხდება, ამხანაგო მიხეილ?
- რაშია საქმე? - გაიკვირვა მდივანმა.

- მე თქვენ გეკითხებით, მართლაც რაშია საქმე? ბავშვის ასეთი გაუგონარი წვალება შეიძლება? - მღელვარებას ვერ ფარავდა განყოფილების გამგე.

- როგორ, ამხანაგო ზია, შეკითხვების უფლება არა გვაქვს?

- შეკითხვას არავინ გიკრძალავთ, მაგრამ თქვენს უფლებებში უნდა ჩაეტიოთ. ბიუროს მთელი შემადგენლობა ორი დღეა თქვენი და ამ გატანჯული ბავშვის დიალოგს ვისმენთ. ჩვენს აზრს არ გვეკითხებით. გუშინდელ შეკითხვაზე პასუხიც არ მიმიღია, ისე გავაგრძელებ სხდომა. თქვენ, ერთი კაცი, ერთპიროვნულად, რასაც გსურთ, იმას აკეთებთ, რაც მთავარია, წესდების დარღვევის ხარჯზე. თქვენ მისგან გინდათ გამოიყვანოთ პავლიკ მოროზოვი, მაგრამ ეს ბიჭი ისეთ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, არ გამოვივათ. თქვენ გინდათ ცამეტი წლის ბავშვმა მშობელ მამას ზურგი შეაქციოს, წერილები და ამანათები არ გაუზავნოს. ეს რაა, სადაური ზნეობა და მორალია? - მე, ამხანაგებო! - ბიუროს მიმართა, - მოვითხოვ, დაუყოვნებლივ

მივიღოთ ცისკარიძე! – გრძნობებს ვეღარ იოკებდა თავართქილაძე.

– ბავშვი დავითხოვოთო, – თვალებით ანიშნა მიხეილმა ინსტრუქტორს, მაგრამ ახლა განათლების განყოფილების გამგე, ხანშიშესული, სათვალეებიანი კაცი წამოდგა, ინსტრუქტორს ხელით ანიშნა და დინჯად დაიწყო:

– არა უშავს, ბავშვი დარჩეს, ჩვენ აქ ისეთს არაფერს უნდა ვამბობდეთ, რომ კომკავშირში მისაღებ ახალგაზრდასთან არ ითქმება. თქვენ კი, ამხანაგო



ზია

მდივანო, ორი დღეა, მართლაც მთელი ყურადღებით გისმენთ და გულახდილად უნდა გითხრათ, რომ გაოგნებული ვარ. თქვენ ამ ბავშვისთვის არცერთი შეკითხვა, რომელიც მოსწავლის ნამდვილ სახეს გამოაჩენდა, არ მივიციათ.

– გაიგეთ, ამხანაგო დავით, – ხმას აუმაღლა მიხეილმა. – ბავშვი მავნებლის ოჯახიდანაა, სხვანაირად ვერ მოვიქცევით.

– ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ დაინტერესდეთ, როგორია აკადემიური მაჩვენებლები, გაცდენის რაოდენობა, პიონერულ ორგანიზაციაში და სკოლის საერთო ცხოვრებაში ბავშვის მონაწილეობა, თუნდაც კომკავშირის წესდების ცოდნა. თქვენ მთელი სიმძიმე მამის პასუხისმგებლობაზე გადაგაქვთ, ბავშვი რა შუაშია? მამის არც დამსახურება და არც დანაშაული შვილზე არ ვრცელდება. ასეთია უმაღლესი პარტიული ორგანოების ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები და ჩვენ ამის დარღვევის უფლება არა გვაქვს. ცისკარიძე,

ეტყობა, ბეჯითი მოსწავლეა, რაც მთავარია, როგორც გავიგე, სოფლის ფოსტალიონადაც მუშაობს, გონებაც უჭრის და გაბედულებაც საკმარისი აქვს. ამას თუ უარს ვეტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მოკვეთილია თანატოლებისგან. ეს საშინელებაა. მე მხარს ვუჭერ ამხანაგ თავართქილაძის წინადადებას. ცისკარიძე კარგი კომკავშირელი იქნება.

ბიუროს ოთხი წევრი წამოდგა და ამ წინადადებას მიემხრო. მდივნებმა თავი შეიკავეს. წინააღმდეგი იყო პირველი მდივანი და ბიუროს ერთი წევრი.

რამინ ცისკარიძე ბიუროს ოთახიდან აცრემლებული გამოვიდა, მაგრამ ეს ცრემლი სიხარულისა იყო. ამიერიდან ის თავს სრულუფლებიან და მეგობრების თანაბარ მოქალაქედ თვლიდა.

ორმოცდაერთი

ბიძაჩემი ძველ არმიაში იყო ნამსახური. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ აქტიურ წევრებს მიეკედლა და მონაწილეობდა ართვინსა და ახალციხეში რენეგატი ბეგების ალაგმვაში. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მამისეულ კერას დაუბრუნდა, ოჯახი შექმნა, ექვსი ვაჟის მამა გახდა.

ნამოჯამაგირალ, ნასალდათარ, ნაოფიცრალ, ნაომარ და ბევრი ამბების მომსწრე ბიძაჩემს ქონება არ გააჩნდა, მაგრამ ცხოვრებამ მრავალი რამ ასწავლა. შესანიშნავად ფლობდა რუსულ და თურქულ ენებს, კარგად იცოდა წერა-კითხვა და მშვენივრად ერკვეოდა სახელმწიფოთა ურთიერთობების საკითხებში. ცოდნით თავის გამოჩენა არ უყვარდა, მაგრამ თუ ვინმე ახლობელს მოიხელთებდა, ისეთ საუბარს გაუბამდა, მის მოსმენას არაფერი სჯობდა. ჩვეულებრივ მისი თანამოსაუბრე ბაბუაჩემი იყო. ლამაზი ქართულით მობაასე ბიძაჩემი დროდადრო შავშური-იმერხეულ კილოკავსაც იშველიებდა.

ბავშვებს ძალიან გვიყვარდა მათზე ყურისგდება. ზოგჯერ ლაპარაკში დაათენდებოდით კიდეც. საერთაშორისო ამბების გარჩევისას ბიძაჩემი ხშირად ხმარობდა სიტყვა „კრიზისს“. როცა პატარებმა ამ სიტყვის მნიშვნელობა გავიგეთ და იგი სურსათს დავუკავშირეთ, ცხოვრებას უფრო სერიოზული თვალით შევხედეთ.

მასხოვს, პურის, იგივე მჭადის „კრიზისის“ შიშით, წისკვილიდან ჩვენს სახლამდე რამდენჯერმე ჩავიარე, ბალახებში სიმინდისა და ხორბლის მარცვლები დავკებნე და მუჭით სახლში მივიტანე, დიახ, მუჭით... ჩემი გაგებით ამით შეიძლებოდა ჩვენს ოჯახს „კრიზისი“ თავიდან აეცილებინა.

ასე ფიქრობდნენ ჩემი თანატოლი ბიძაშვილებიც. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მაშინ შვიდიოდე წლისა თუ იქნებოდა და ცოტა ენა უსწრებდა, ერთ დღეს ბექობზე გადადგა და სოფლის ცენტრში მსხდომ გლეხებს გადასძახა:

– მეზობლებო, ჭადის კრიზისი იქნება და სადმე პაწაი ფუნჩხიც რომ ნახოთ, სახლში მიიტანეთ! – მგონი ზუსტად გაიმეორა ბიძაჩემის ნათქვამი.

ეს იყო 1941 წლის 21 ივნისს...

* * *

მეორე დღეს სოფელში ორი ტყავისპალტოიანი ცხენოსანი ამოვიდა, სასწრაფოდ შეკრიბეს სოფლელები და საშინელი ამბავი აუწყეს. თან პარტიის, საბჭოთა ხალხისა და არმიის ერთიანობის დიდი რწმენა და იმედი გამოთქვეს, რომ უსამართლო მტერზე მალე გავიმარჯვებდით.

მთულოდნელობისაგან გაოგნებული მეზობლები სახლებში რომ წავიდ-წამოვიდნენ, მაშინ გაახსენდათ ჩემი ბიძაშვილის გუშინდელი ნათქვამი, ბევრმა იგი წინასწარმეტყველადაც მონათლა.

– გერმანიამ რამდენჯერაც დააპირა რუსეთის აფორიაქება, იმდენჯერ ფერდებჩაღეწილი და წელეგადმოყრილი გაბრუნდა უკან, მაგ ღორისწილ ჰიტლერს ახლა უარესი მოუვა, – უთხრა ბიძაჩემმა ბაბუას, ჩვენც ოდნავ შეგვიმცირა ომის დაწყებით გამოწვეული შიში და ჩაგვიწერა გამარჯვების რწმენა.

– ნეტაი ითაღია ვის მხარეზე დარჩება? – იკითხა ბაბუამ. ვიდაცისგან გაეგონა, რომ პირველად იტალიაში აყვავდა ფაშიზმი.

ბიძაჩემი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა ასეთმა შეკითხვამ. საიდან უნდა სცოდნოდა ბერიკაცს იტალიის კავშირი

ამ ომში. შემდეგ იფიქრა, ალბათ, სხვა დროს ისევ მე მოვუყვებო.

– მუსოლინი მათხოვარია, დამპალი მათხოვარი, ჰიტლერს შეუძერება, შეიძლება პირველი მსოფლიო ომის ამბავი განმეორდეს, ახლაც ყველამ პირი შეკრა ჩვენს წინააღმდეგ. მარა ვერ მოგვიგებს. ვერ მოგვიგებს იმიტომ, რომ სამართალი ჩვენს მხარეზე იქნება. არ გახსოვს, მაშინაც ასე იყო, თურქებს რომ ვებრძოდით, იაპონიასაც...

– მახსოვს, რავარ არ მახსოვს. იაპონიის ომის დროს ბათუმში პორტის მუშა ვიყავი...

ცოტა ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო:

– პორტის მუშა ვიყავი, ომმა ცალკე შეგვაშინა და ბოლშევიკებისა და დაშნაკების შუღლმა – ცალკე. მაგათ მოაწყვეს სომეხ-თათართა ქლეტა. მუშები გადაგვიკიდეს და კინაღამ დაგხოცეთ ერთმანეთი. სომხები მომესიენ, გემიდან გადაგდებას მიპირებდნენ. ჩვენი ისმაილ ბერიძე მომეშველა, ძლიერი კაცი იყო. მერე უჩუმარაი პორტში ვილაც ახალგაზრდები მოვიდნენ, ერთი სომეხი იყო, მეორე – ქართველი, სომეხმა მისიანები შეარცხვინა, ქართველმა – ჩვენ და მოვრიგდით.

* * *

ომი ომია და ყველასგან მსხვერპლს მოითხოვს, თავგანწირვას, თავდადებულ შრომას. ეს ბავშვებსაც კარგად გვესმოდა, მაგრამ უფრო ნათლად მაშინ დავინახეთ, როცა ჩვენი სოფლის თვრამეტი ვაჟკაცი და საყვარელი დომენტი მასწავლებელიც ჯარში გაიწვიეს. მალე გავიგეთ, რომ იგი ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ ჰოსპიტლიდან კვლავ ფრონტზე წავიდა.

ახალმა მასწავლებელმა ერთ დღეს გამოგვიცხადა, რომ ფრონტზე გასაგზავნად ასკილის შეგროვებაა საჭირო.

რამდენ ტყე-ღრეში გვივლია ბავშვებს, რამდენი ასკილის ნაყოფი გვინახავს, მაგრამ არასოდეს მოგვიკრეფია და არც გვიფიქრია, თუ ის რამეში გამოდგებოდა... და მაინც მასწავლებლისთვის არავის უკითხავს, რისთვის იყო საჭირო ეს უგემური ნაყოფი. მასწავლებელმა დაგვავალა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ასე იყო საჭირო, ვამაყობდით კიდეც, რომ ფრონტს, ჩვენს მამაც მეომრებს, ჯარში წასულ მეზობლებს, ღომენტი მასწავლებელს რამეში გამოვადგებოდით.

– ასკილი უნდა დავეკრიფოთ, ჩვენს ბიჭებს უნდა გავუზზავოთ ჯარში, – ვუთხარი აივანზე გადმომდგარ ბებიას.

– აქ ასკილს რა უნდა, – გადმომძახა ბებია, – ზექედის გადაღმა, თერნალის ტყეში უნდა გადახვიდეთო, – მაგრამ ჩვენ არ დავუჯერეთ და გზა განვაგრძეთ. მეგობრები ცოტა გამიბრაზდნენ, რომ ასეთ დიდ საქმეში ჩემი ბებია დახმარების მაგივრად ძუნწობდა კიდეც. ჩათვალეს, რომ ბებიაჩემს არ უნდოდა მის მახლობელ ტყეში ჩვენი შესვლა.

* * *

არ მეგულება ბებია, რომელსაც შვილიშვილი არ უყვარდეს და მისთვის სამზარეულოს თაროზე, ძველ ზანდუკში, თუ წინსაფრის ჯიბეში რაღაც საჩუქარი არ ჰქონდეს შენახული. ასეთი იყო ჩემი ბებიაც, თავად ყიფიანების შთამომავალი, ხელგაშლილი, მოსიყვარულე, ჭკვიანი, ამასთანავე საკმაოდ ლამაზი, ამაყი და მკაცრი, პატიოსნების და ზრდილობის მქადაგებელი. ღმერთიც სწამდა, მაგრამ არასოდეს ყოფილა ფანატიკოსი. უსწავლელი იყო, მაგრამ კარგად იცოდა ძველქართული „დედაბრულის“ წერა-კითხვა. მასსოვს, ერთჯერ განმარტოებულს დინჯად გამოჰყავდა ასოები, ყველა მათგანს რაღაცნაირ ისრისებურ დაბოლოებას უკეთებდა.

ჩვენ უკვე სკოლის მოსწავლეები, წერა-კითხვის მცოდნენი, თავზე დავადექით და მოულოდნელობისაგან შემკრთალი ბებია სიცილით ავიკვლით.

– ეს რაა ბებია, ყველა ასოს რქას და კუდს რომ უკეთებ, დაბმას ხომ არ უპირებ? – ვკითხეთ შვილიშვილებმა.

ბებია მქალაქდები კალთაში ჩამალა.

– რა გახიხვინებთ, თქვე გასაწვევტლებო, მე წიგნის წერა არ ვიცი, ეს დედაბრულია, – გვითხრა მან.

ჩვენ კიდევ უფრო მოვუმატეთ ხარხარს, გვეგონა „დედაბრული“ ამ ნაწერს ბებიაჩვენის, დედაბრის გამო შეერქვა. მაშინ რა ვიცოდით, მოგვიანებით გავიგეთ, ამ ნაწერის ფასი. საბედნიეროდ, რამდენიმე ასეთი ქალაქი შემორჩა ჩვენს ოჯახს.

მარტობისას ბებიაჩემმა მეტად ღამაში ტონით იცოდა „ვერი და მაინძელოს“ წამღერებაც. მის მოსმენას არაფერი ჯობდა. მაშინ მას ბავშვური ანცობით ვუსმენდი; ახლა რომ გავიხსენებ, წარმომიდგება არა მარტო ჩემი საყვარელი ბებია, არამედ სამასი წლის წინანდელი ჩემი წინაპარი, რომელიც ზუსტად ასე ღიღინებდა ძველქართულ სიმღერას.

სახელმწიფო საქმეების რა გაეგებოდა ბებიას, მაგრამ ცხოვრების ძალზე მწარე გამოცდილება ჰქონდა მიღებული.

ჯერ იყო და მისი პირველი ქმარი მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციისთვის ცნობილ მეღექსე რეჯებ მუავანაძესთან ერთად „არაკეთილსაიმედოთა სიაში“ მოხვდა, შემდეგ კი ცოლისა



ბებია

და ერთი წლის ბავშვის თვალწინ საკუთარ სახლში დახვრიტეს ჟანდარმებმა. ბებიანემს ახსოვდა მეფის ხელისუფლების უკანასკნელი გაბრძოლება – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აჭარლებს დალატი რომ დასწამა და მშვიდობიან მოსახლეობას ასაოხრებლად კაზაკთა ასეულები მიუსია.

ეს და ბევრი სხვა ამბავი, რაც გამეგონა, მოგუყვები ტყეში მოხეტიალე ჩემს ამხანაგებს და ბებიანემზე გამწყრალებს, ცოტა არ იყოს, მოგულებე გული.

მხოლოდ ერთი მათგანი, რომელსაც მეტსახელად აქიფას ვეძახდით, ვერ მოვათვინიერე.

– აი, ისიც ბებიანემა ხომ არ ააშენა? – აქიფას შქერის ბუჩქებიდან თავი გამოეყო და თითი სოფელ ოთოლთის მაღლობისკენ გაეშვირა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა თამარის ციხის კედლები.

– ის არა, მაგრამ ბარათაულის წყალზე რომ ხიდია, შიშისგან მამაშენს ცხენიდან კინაღამ რომ გადმოუვარდი, გახსოვს? ის ნამდვილად მისი პაპის დიდუდის აშენებულია მზითვეის ფულით, – ჩემს მაგივრად უპასუხა მეორე ამხანაგმა.

აქიფა კვლავ მიიმალა შქერის ბუჩქებში. ეს ამბავი თავადაც კარგად იცოდა.

შებინდებამდე ამხანაგებთან ერთად ტყეში ვი-ბორიალეთ, მაგრამ ორიოდ კილოგრამი ასკილის მეტი ვერ მოვაგროვეთ. დაბრუნებისას ბებიასთან შევიარეთ, სახლში არ დაგვხვდა, ბაბუას შევჩვივლეთ ჩვენი გასაჭირი. ის იყო წასვლას ვაპირებდით, რომ ეზოში ბებიანემი შემოვიდა. ცალ მხარზე ბაბუას მოქსოვილი, ნახატებიანი კალათი, ხოლო ზურგზე მოზრდილი ტომარა ეკიდა.

– აჰა, შვილებო! ეს თქვენი ასკილი, – ძირს დადგა სისხლისფერი ნაყოფით სავსე კალათი და ლენაქის ბოლოთი ოფლი მოიწმინდა.

თურმე ნუ იტყვით, როცა კარგად გაიგო ჩვენი ტყეში წასვლის მიზეზი, თვითონვე წავიდა თერნალის ტყეში და საკმაოდ ხელხვაურიელადაც დაბრუნდა.

მეორე დღეს სკოლის გამგემ საგანგებოდ შეკრიბა ყველა მასწავლებელი და მოსწავლე. ზოგიერთი მშობელიც და საჯაროდ გამოაცხადა ჩემი და სამი თანაკლასელის სიმამაცე. რა თქმა უნდა, შეაქო ბებიანემი, რომლის დახმარებითაც შევძელით ასეთი ქების დამსახურება.

* * *

საქართველოს მიწას ფაშისტებმა ფეხი ვერ დაადგეს, ამიტომ ზოგჯერ გაიგონებთ, აქაო და თქვენ რა გიჭირდათ, ომის ცეცხლს თქვენს მხარემდე არ მოუღწევიაო. აქ, კაცმა რომ თქვას, მართლაც არ უფრენიათ „მესერშიტებს“, არც „ვეფხვების“ გრუხუნი და ყუმბარების აფეთქების შემადრწუნებელი გრიალი გაგვიგონია, მაგრამ ომი ყველა მოქალაქისთვის ომი იყო მთელი მისი საშინელებით. განა ჩვენი მხრიდან წარგზავნილები ცოტა დაეცა ბრძოლის ველზე!

ერთ დღეს ფაშისტთა ერთი სვავი ბათუმს მიუახლოვდა. ერთადერთი ბომბი ქალაქის მახლობლად ჩამოაგდო, ხოლო მისი ნამსხვრევები კახაბრის ველზე ნათესავის სახლისკენ მიმავალ დედაჩემთან ისე ახლოს დაეცა, რომ იგი წააქცია, ალბათ ჰაერის ტალღის დარტყმით. ხუთი შვილის დედა მაშინ რომ დაღუპულიყო, ჩვენს ოჯახში ჯოჯოხეთი, ნამდვილი ომი დატრიალდებოდა. საბედნიეროდ, დედა გადარჩა და მთელი ოთხი წლის მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ შვიდ ათეულ წყვილამდე წინდა მოუქსოვა ჯარისკაცებს. ერთი

ამანათისთვის საკმარისი წინდები რომ მოგროვდებოდა, მისამართს ჩვეულებრივ ბავშვები ვაწერდით, მგონი მხოლოდ ნაწილის ნომერს, არ ვიცოდით ადრესატის არც სახელი და არც გვარი. რამდენიმე ამანათი კავკასიის დამცველებს გავუგზავნეთ და მისამართი ქართულად თვითონ დედას დავაწერინეთ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში ისწავლა ანბანი და ჩვეულებრივ ჩვენთან ერიდებოდა წერა, მაგრამ, როცა ამანათზე იყო მისამართი დასაწერი, რატომღაც დაძალება არ სჭირდებოდა, თვითონვე ჩამოჯდებოდა და დიდის გულმოდგინებით გამოყავდა ასოები ისე, როგორც ამას პირველკლასელები აკეთებენ ხოლმე.

რამდენი რამ გვაკლდა ომისდროინდელ მოსწავლეებს: წიგნი, რვეული, ფანქარი, ცარცზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მას ხშირად ნახშირით ვცვლიდით. რვეულის მაგივრად სქელ, მუქ ქაღალდზე დაბეჭდილ გაზეთების თავისუფალ კიდეებს ვაჭრიდით, პატარა წიგნაკებად ვკერავდით და იმაში ვწერდით არითმეტიკის დავალებებს, ყველაფერს ვითმენდით.

შიმშილობის მოთმენა კი ძნელი იყო. ჩემი ძმა რომ არ ყოფილიყო, ალბათ საშინელი შიმშილი დაისადგურებდა ჩვენს ოჯახში, თხუთმეტობდე წლის ბიჭი შრომაში ჩაება და დიდის ვაი-ვაგლახით გვაპურებდა ექვსსულიან ოჯახს. როცა სტუმარს ველოდით, დედაჩემი დიდ კეცს მიადგამდა ბუხარზე, სხვა დროს კი ერთი პატარა კეცის მჭადით გავდიოდით.

ალბათ, ყველა ბავშვის მახსოვრობა დედით იწყება. მე დედაჩემი მახსოვს მგონი იმ ასაკიდან, როცა ჯერ კიდევ ორი წლისაც არ ვიყავი, დედა ავად გახდა, მამაჩემი ეტლით მოვიდა და საავადმყოფოში წაიყვანა. რამდენი ვიტირე, რატომღაც მეგონა, საავადმყოფოდან რომ დაბრუნდებოდა, ჩემი დედა აღარ იქნებოდა.

დედის სიყვარულით ვერავის გაგვაკვირვებ და არც არავისგან გამიკვირდება, მაგრამ ერთი კი ცხადია, სანამ იგი ცოცხალია, ნაკლებად ვიცით მისი დაფასება, თუმცა ეს ადამიანის ბუნებითაც არის გამოწვეული, სანამ დედა გვყავს, სულ ბავშვებად ვთვლით თავს, სახლში თუ სამუშაოზე, ყველგან მფარველი დედის იმედი გვაქვს... სანამ გყავს დედა, ნაკლებად გაწუხებს პირადი მშობლიური მოვალეობა და საკუთარი შეილების სიყვარულიც, კვლავ თვლი, რომ შენ ბავშვი ხარ და შენი მშობლები შენი შეილების მშობლებიც არიან.

...გერმანიაში ტურისტული მოგზაურობისას ვარშავაში გავჩერდით. ერთი ჩემი თანამგზავრი ქალი მოულოდნელად ვაგონიდან ბაქანზე ჩახტა და თორმეტიოდე წლის ბიჭუნა გულში ჩაიკრა. ვაგონის ფანჯრები დახურული იყო და არ გვესმოდა რას ეუბნებოდა, მაგრამ ვხედავდით როგორ დაუეკოცნა სახე, თვალები, ბავშვი ვინმე ახლობელი ან ნათესავი გვეგონა.

– ვინ იყო ის ბავშვი? – ერთხმად შევეკითხეთ ვაგონში დაბრუნებულ ექიმს.

– არ ვიცი, არც მიკითხავს ვინ იყო, – გვითხრა ბავშვის აღერსით გულშეჯერებულმა თანამგზავრმა.

ჩვენ სახტად დავრჩით.

– ჩემს ბიჭს ჰგავდა და გულმა არ მომითმინა, – ჩაილაპარაკა თავისი საქციელით ოდნავ დარცხვენილმა.

დიახ, დედას გულმა აღარ მოუთმინა და ვაგონიდან ანგარიშმიუცემლად მოსხლტა, ორიოდე დღის წინ დატოვებული შეილის სანაცვლოდ უცხო ბავშვზე მოიხსა გული.

– თვითონაც არ ვიცი როგორ აღმოვჩნდი ბაქანზეო, – ამბობდა იგი.

მაშინ ამ ამბავმა ზოგიერთ ჩვენგანში ღიმილი გამოიწვია. იმ დროს არც კი დაფიქრებულვარ, რომ სახლში



ჩეხოსლოვაკიელ ბავშვებთან ქ. უსტინადლაბემ. 1961 წ.

ერთი წლის პირმშო დაეტოვე. ოჯახის, შვილების მიმართ, ალბათ, წლების მანძილზე ასე ნახევრად უდარდელი ვიყავი. მგონი იმიტომ, რომ დედა მყავდა...

ახლა დედა აღარ მყავს და ჩემი უდარდელობაც მოჩვენებასავით გაქრა... ყოველ წუთს ფიქრი მჭვალავს ოჯახზე, შვილებზე.

ნამდვილი ამბავი: ჭაბუკს ერთადერთი თირკმელი ჰქონდა, სნება იქაც შეიჭრა. უნდომადმყოფს ექიმებმა საბედისწერო დიაგნოზი დაუსვეს... კატასტროფა გარდაუვალია, ერთადერთი იმედია თუ...

საოპერაციოში ჭაბუჭის დედა გამოცხადდა და მოითხოვა მისი თირკმელი გადაენერგათ შვილისთვის. ჭაბუკი გადარჩა.

მეორე ნამდვილი ამბავი: ონავარმა ბიჭუნამ საბარგო ავტომანქანას საბურავს ქვეშ შეყენებული ქვა გამოაცალა. ავტომანქანა დაქანდა და ბავშვი კიდურით კედელს მიაკრა. მახლობლად მყოფი გამწარებული დედა ბეჭებით შეუდგა და... ოთხტონიან რკინას ძვრა უყო. ბავშვი გადარჩა. შიგნეულდაბურღული დედა რომ კვდებოდა, თვალებით კვლავ თავის შვილს ეძებდა, ხომ არაფერი სტკივალ.

ჩემთვის ჩემი დედაც ამასვე ჩაიდენდა და საერთოდ, ყველა დედა ასე მოიქცეოდა.

* * *

სოფლის შუაგულში, მინდორზე ხალხმრავალი კრება ჩატარდა, მომხსენებელმა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ხალხს გააცნო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა, რომ ჩვენმა ჯარებმა 1943 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს ქალაქები – ორიოლი და ბელგოროდი, აგრეთვე, კალინინის ოლქის რამდენიმე ქალაქი და სოფელი, ფაშისტები დღითი დღე უკან იხევენ და შორს აღარ არის ის დღე, როცა მათ თავიანთ ბუნაგში გაანადგურებენო.

კრება ჯერ დამთავრებული არ იყო, თორმეტიოდე წლის ფეხშიშველა ბიჭი ადგილიდან მოწყდა და შარავზისკენ გაიქცა, თოთოშას წყაროსთან, მახლობელ სახლთან გაჩერდა და გადასძახა:

– მამიდა, მამიდა, გამოიხედე!

კარები გაიღო და აივანზე კაფანდარა ქალი გამოვიდა.

– რა ამბავია, შვილო, ხომ მშვიდობაა! – იკითხა შეშინებულმა.

ბიჭმა აღარ დააცალა, სხაპასხუპით მიაყარა:

– ჩვენებმა ის ქალაქი გაათავისუფლეს, სადაც შენი ნური იბრძოდა, ახლა ბერლინამდე მისდევს მტერს, ალბათ, მალე მოგახარებ მის ჩამოსვლას, ვერავინ დამასწრებს,



მამიდა

ხომ იცი, ფოსტალიონი ვარ... –
 ბოლო სიტყვები ამაყად თქვა და
 მკვირცხლად უკან გამობრუნდა.

– შენი ჭირიმე, შვილო, შენი, შენს
 პირს შაქარი, შენი ცხოვრება სულ
 სინარულში და სიამტკობილობაში
 გაატარე, – დაადევნა ლოცვა
 გახარებულმა ქალმა, შემდეგ
 ორივე ხელი ადაპყრო, დაიხოქა და
 შეჰვალადა:

– ღმერთო! კეთილად დამიბრუნე
 ჩემი ერთადერთი შვილი, ნუ
 წამართმევ, მისხალი დრო მაცოცხლე მასთან ერთად და
 მერე მე მომკალი!

* * *

სოფელში არ იყო სატელეფონო კავშირი, რადიო,
 შუქშენიღბვის ყველა წესი ქალაქის მსგავსად აქაც
 მკაცრად იყო დაცული. ეს საქმე სოფლის კომუნისტებს და
 აქტივს ჰქონდათ დაეალებული. ღამით თუთუნის მოწვევა
 საკმარისი იყო, რომ წამსვე, თითქოს მიწიდან ამოძვროს,
 კარაბინით შეიარაღებული, სოფელშივე შერჩეული
 გამანადგურებელი ბატალიონის წევრი გაჩნდებოდა.

ერთადერთი კავშირი ქვეყანასთან გაზეთებითა და
 წერილებით იყო დამყარებული. ბათუმიდან დღეგამოშვებით
 მოსულ ფოსტას სოფლის ფოსტალიონები თემ-საბჭოს
 ცენტრში დახვდებოდნენ და იმავე დღეს სოფელში
 ამოჰქონდათ.

იმ დღეს ჩვენი ნაცნობი ფოსტალიონი ბიჭიც გახლდათ
 საბჭოს ცენტრში. სიგრძეზე გაკეცილ გაზეთებში წერილი

ჩადო, დასტა იღლიაში ამოიჩარა და სოფლისაკენ გამოსწია. გზაზე შეისვენა და წერილების მისამართები გადაიკითხა. სამკუთხა ბარათს მამიდამისის მისამართი ეწერა. გამომგზავნი ნური არ იყო, სხვა გვარი ეწერა. სხვა დროს წერილის გახსნას როგორ იკადრებდა, მაგრამ ცუდი წინათგრძნობის ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ბარათი გახსნა.



ფოსტალიონი

„ძვირფასო... (მამიდას სახელი და მამის სახელი) ნაწილის მეტაურთა და მებრძოლთა შემადგენლობა იზიარებს თქვენს ღრმა მწუხარებას და გაცნობებთ, რომ თქვენი შვილი... საბრძოლო ფიცის ერთგული, გამირულად დაეცა სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში 1943 წელს 13 დეკემბერს, კალინინის ოლქის ქალაქ ნეველის მახლობლად. უღრმესი მხედრული მადლობა გმირის აღზრდისთვის... გისურვებთ სულის სიმტკიცეს და ჯანმრთელობას, გვიგულეთ თქვენს გვერდით... სამარადისო დიდება ბრძოლაში დაცემულ გმირებს!

მებრძოლთა და მეტაურთა სახელით, კაპიტანი...“

ორი დიდი კურცხალი მოწყდა „მიწის ხიდთან“ ქვაზე ჩამომჯდარი ფოსტალიონის თვალებს.

– მიუტანო წერილი... – ქვითინს ამოაყოლებდა სიტყვებს, – აჰ, როგორ შეიძლება, ავადმყოფია, მოკვდება მამიდა... მე რომ შევპირდი ნურის ჩამოსვლას გიმახარობლებ-მეთქი? რა ვქნა? დავკარგო ეს ბარათი, გადავაგდო წყალში? არა, არ შეიძლება. დედას შევეკითხები, მგონია ასე აჯობებს, მაგრამ არა, დედაც ცოდვია, არანაკლებ უყვარდა ნური...



ნური

იქნებ ტყუილია, მეთაური შეცდა, აბა, რატომ არაფერს წერს სად დაასაფლავეს. შევინახავ ბარათს, იქნებ მძიმედ დაიჭრა და მეორე ბარათი მოვიდეს, ან თვითონ მოიწეროს რამე.

ასეთი მტანჯველი ფიქრები უტრიალებდა ფოსტალიონს. თვითონაც არ გაუგია როგორ შევიდა ეზოში. შებინდებული იყო, ბარათი სახლის მახლობლად ყორეში საგულდაგულოდ შეინახა, ქვა მიაფარა...

დღემდე არავის უხლია ხელი ქვისთვის, რომელიც ამდენი ხანია ინახავს მწარე საიდუმლოს.

თოთოშას წყაროსთან ახლაც, ოცდარვა წლის შემდეგ ვინმე უცნობი თუ ჩამოჯდება, მახლობელი სახლის აივანზე ხელების ცეცებით გამოვა ოთხმოც წელს გადაცილებული კაფანდარა დედაბერი და შინაურებს გადასძახებს:

– თუ ღმერთი გწამთ, ჰკითხეთ, იქნება ჩემი ნურის ამბავი იცის.

– ვკითხეთ დიდება, არაფერი იცის, – ალბათ, მეთასეჯერ დებულობს პასუხს და ელოდება ახალი სტუმრის მოსვლას.

თითქმის სამი ათეული წელია, დევს ყორეში ავის მაუწყებელი სამკუთხა ბარათი... დედამ კი არაფერი იცის. ელოდოს შვილს. ამ იმედით მეტხანს იცოცხლებს...

1971

გათხველი და გავარიელი

ვუძღვნი ომგადახდილ პოეტს,
ბატონ მამია (მამუდ)* ვარშანიძეს

გერმანელებმა ოთხივე კუთხიდან შემოოჭტიეს და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის ოცეული მთავარ ქვედანაყოფს მოწყვიტეს, ხუთმეტოდე ჯარისკაცი დარჩა ყაბარდოს ველზე. ახლა ისღა დარჩენოდათ, რომ ახლომახლო სანგრებისთვის შეეფარებინათ თავი.

გერმანელთა ასეული გააფთრებით მოიწვედა წინ. ისინი სულ ახლოს იყვნენ და სადაცაა დაიწყებოდა უთანაწორო ხელჩართული ბრძოლა. ამ დროს ჯერ თვითმფრინავის წივილი გაისმა, შემდეგ კი გამაყრუებელი აფეთქება და აქაურობა ნაკუწებად იქცა...

ადამიანების ასო-ასო დაგლეჯილი ნაწილები ბელტებთან და ქვალორდთან ერთად ჰაერში აიტყორცნა... თუმცა რა, ეს რომ არა, მოიერიშე ფეხოსანი ფრიცები ამოჟუჟავდნენ ბლინდაჟებში ჩაყუჟულ ჯარისკაცებს.

მოულოდნელმა გამაყრუებელმა ბათქმა მამუდს სმენა დააკარგვინა, ხელ-ფეხი აამოძრავა, ხომ არ დავიჭერიო. ბეჭები შეაქანა და მიწის ბელტები გადაიფერთხა, ხელით მუზარადს მიწვდა, შუბლზე ოდნავ აიწია და იქაურობას თვალი მიმოავლო. თანამებრძოლი წელს ქვემოთ ჩანდა. ზედა ტანს ბლინდაჟის კუთხე ფარავდა. მამუდმა ფეხი გაიწვდინა და ამხანაგს გაკრა. თითქოს ბეწვზე ეკიდაო, ისიც ადგილიდან მოირღვა და სანგარში გაიშხლართა. შამხანა ხელებით ჩაებლუჯა. გვერდზე მიწის დიდი ბელტი ეგდო, ეტყობა თავზე დაეცა. ყურიდან სისხლი მოჟონავდა,

* პოეტის პირვანდელი სახელი მამუდი იყო. ამ სახელით გამოვიდა 1946 წელს მისი „მებრძოლის სიმღერები.“

თვალები ღია ჰქონდა, თითქოს ტუჩები ოდნავ აამოძრავა... მაგრამ...

„მარტო დავრჩი!“ – გაიფიქრა მამუდმა და უცებ ჩამობნელდა, ეგონა დაებრმავდით. მაგრამ არა, თვალზე ტალახი ჩამოღვრია. სახელო მოისვა,, თვალები მოხუჭა და კვლავ გაახილა. ხედავს, ყველაფერს ხედავს. არა, არ დაღამებულა, არც დაბრმავებულა. ყურები უბუჟის, აღარაფერი ესმის, დაყრუვდა? მუხლებზე ჩაიჩოქა და თანამებრძოლისკენ გადაიხარა, მათარა მოიმარჯვა და სახეზე წყალი აპკურა. ბიჭი არ შეტოკებულა. მოხრილი ფეხი გაუსწორა, შაშხანა მოაშორა და ხელებიც დაუკრიფა. თვალები ვერა და ვერ დაახუჭვინა. ქუდს მიწვდა და თვალებზე დააფარა.



მამუდი

მარტოა, სრულიად მარტო, მაგრამ თითქოს პირველმა ელდამ გადაიარა, ახლა მხოლოდ თავისთავზე უნდა იფიქროს.

წამოდგა, სანგრის პირზე მოყრილ გოროხებს შორის გაიჭვრიტა. იქით, ოცი-

ოდ ნაბიჯზე, ბლინდაჟი მკვეთრად უხვევს და ამის პარალელურად გრძელდება. მტრის ჯარისკაცებმა იქამდე მოაღწიეს, მაგრამ მათი ჭაჭანება აღარ არის. ეტყობა დაბომბვამ არც იმათ დააყენა კარგი დღე.

უცებ იქაც გოროხებს შორის რაღაც ამოძრავდა. მამუდი ჩაიმაღლა. ოდნავ გვერდზე გაიწია და ახლა იქიდან ამოიჭვრიტა, აღარაფერი ჩანს, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარაა. ეს საერთო საფლავი მართლაც სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა.

ნუთუ ოცეულიდან არავინ გადარჩა? დაიხარა და გვერდზე გაცოცდა. ბლინდაჟი ორივე მხარეს მიწით გადავსებულა. ალბათ, მეგობრებიც აქვე ჩაიმარხნენ. დათვალიერება შეუძლებელია, ზემოთ ამოსვლაც საშიშია.

ლეიტენანტ სინაურიძის ბრძანება გაახსენდა:

– წინ და უკან მტერია, ცოცხლად გადარჩენილებმა ადგილიდან ფეხი არ მოიცვალათ. ფხიზლად იყავით. აქეთ დაელოდეთ მაშველ ძალას. ტყვედ ჩავარდნაც სიკვდილს ნიშნავს.

„ახლა მთავარია ვიფხიზლო, თორემ სროლას დამასწრებენ.“ – გაიფიქრა და ძველ ადგილზე მიხობდა.

ბლინდაჟიდან მხოლოდ მზით გაბრწყინებული იაღბუზი ჩანს, კავკასიონის ორთავიანი გიგანტი. სხვას ვერაფერს ხედავს.

თავი ოდნავ წამოწია და ცალი თვალი კვლავ მტრის ადგილსამყოფელს მოაგლო. ყველგან სიჩუმეს დაუსადგურებია. არაფერი ისმის, არც მტრისა და არც თანამებრძოლებისა. მარჯვნივ ბელტების გროვებს შორის მუშტისოდენა მწვანე მთლი შენიშნა. თვალსაწიერზე ეს ხელისგულისოდენა ადგილი გადარჩენილა. მთლზე ენძელას დაუხრია თავი. თვალი ვედარ მოაშორა გაზაფხულის სიმშვენეირეს. ესაა ერთადერთი ცოცხალი არსება, გვერდით რომ გადარჩენილა, ერთად-ერთი მოწმე იმისა, რაც აქამდე იყო და რაც შესაძლოა კიდევ მოხდეს.

ქვემეხების გრუხუნს, დაჭრილთა კვნესა-გოდებას, დახოცილ ადამიანთა ცქერას რაღაცნაირად შეჩვეული სული ნაღველმა მოიცვა და სვედიანად ამღერდა.

*„იქნებ მალე მიწაში ჩემი სულიც ჩადნება,
და ჩემს რიგში შაშხანით სხვა ჭაბუკი ჩადგება.
მიმწუხრისა წუთები რა მწარე და ამოა,
ალბათ ეს ენძელები ხვალ ჩემს გულზეც ამოვა.“*

„სიფხიზლე, სიფხიზლე“! – კვლავ ჩაესმის მეთაურის ბრძანება. თუ მართლაც მარტო დავრჩი, როგორმე უნდა დავაღწიო თავი ამ ჯოჯოხეთს, თუ არა და ცოცხლად მაინც არ ჩავებარდები. ავტომატს ხელი უშვა და ანაზღად წელზე მოივლო ხელი, ნაგანში სამი ტყვია კიდევ მაქვს.

ყვაივლს წამით მზერა მოაშორა და თვალი იქით გაექცა, სადაც წედან გოროხები ამოძრავდა. შეკრთა. გერმანელი ჯარისკაცი ბლინდაჟიდან წელსზემით გადმოწოლიდა, მუხარადი იქვე დავარდნილა.

შაშხანა მოიმარჯვა და გერმანელის თავი სამიზნეზე დასვა.

– ამოსვლა სცადა და მოკვდა? არა, ამას არ გააკეთებდა, სიკვდილის წინ ვერც შეძლებდა. იქნებ უძილობამ სძლია და ჩემსკენ ცქერაში გაითანგა.

კვლავ ჩაიმაღლა ბლინდაჟში, ცოტას ვაცლიო, რამდენიმე წუთის შემდეგ მზერა კვლავ გააძვირინა გოროხებს შორის, კარგად დააკვირდა. ცოცხალი იყო, გვერდზე მწოლიარეს მკერდი აუდ-ჩამოუდიოდა.

ეტყობა მტრის მხარესაც ეს ერთი გადარჩენილა. ამბის წამლებიც აღარ ეყოლებათ. „უნდა მოვკლა, ჩემი ბიჭების სისხლი ავიღო“.

„მძინარეს ვესროლო? – ეს რა ვაჟკაცობაა, იქნებ ცოცხლად ჩავიგდო ხელში. არა, უნდა ვაცალო, მზად უნდა ვიყო, როგორც კი მოფხიზლდება შევეუძახო და...“

ადრე ტანკსაწინააღმდეგო ბატარეაში იყო მემიზნედ. ვინ იცის, მის მიერ დამიზნებულ საშინელ იარაღს რამდენი მტერი მოუსპია.

მაგრამ...

მაგრამ ასე პირისპირ მტერს პირველად ხედავს, თანაც ასე ახლოს, ცხვირისწინ. მამუდი თვალს ვედარ აშორებს, ფხიზლობს, არ დამასწროსო. თანაც გონებაში გაუელვა: იქნებ ამას ჩვენი არც არავინ მოუკლავს. ფუი ეშმაკს!

რას არ იფიქრებს კაცი. მტერი მტერია. აქ ომია, ჩემო ძმაო, აქ არავინ არჩევს ვინ ვის კლავს. მტერი უნდა გაანადგურო, რაც შეიძლება მეტი, რაზე გაკლავს თავს? შენ ხომ არ ესხმი, ხომ არაფერს ართმევ. ის მოდის შენთან, გკლავს, გძარცვავს, აგერ არ დაგბომბეს, მთელი ოცეული არ გაგინადგურეს. ანგელოზი ბიჭი გიწევს უსულოდ სანგარში. დიახ, მტერია იგი, უნდა გაანადგურო. თითი ჩახმახს გამოსდო.

„ვინ დაგვბომბა?“ – ახლა ეს აზრი აეკვიტა. თუ მტერი იყო, გერმანელებს რაღას ერჩოდა, თუ ჩვენი იყო... საოცარია. იქნებ მართლაც ჩვენი იყო, დაპირისპირებულნი ძალზე ახლოს ვიყავით, ვეღარ გაარჩია და მტრის ასეულს ჩვენი ოცეულიც მიაყოლა. ვინ იცის, ომი ასეთსა და უფრო დიდ შეცდომებსაც გაუძღვება, ბოლოს ყველაფერს ჩამოწერს.

იმას კვლავ სძინავს, ერთხელაც არ შერხეულა, მამული კი ფხიზლობს. თითქოს სმენა დაუბრუნდა, მაგრამ დაღლილობაც იგრძნო, წყურვილიც, შიმშილს კიდევ მოითმენს. უნდა იფხიზლოს, მაგრამ როგორ? ფიქრებში არ ჩაეძინოს... რაღაცით უნდა გაფანტოს ძილი.

უბის ჯიბეში ჩაიყო ხელი. პატარა ლენტივით ბარათი ამოიღო, სათუთად მიკეცილ-მოკეცილი.

„როგორ მაინტერესებს, რომ შემხვდე, ნეტა თუ მიცნობ? მე კი აუცილებლად. ანა.“ ახლა სიყვარულის სევდამ თითქოს მოაფხიზლა:

*„ო, როგორ მინდა ისევ გნახო, შენ წინ ვფეთქავდე,
მაგრამ ვაითუ ვერ დაგიბრუნდი...“*

*დამლოცე, ჩემო, გენაცვალე, ღეთის მადლი დამდე,
ნუ დამივიწყებ, თუ კი, ანა, ვერ დაგიბრუნდი“.*

გულში გაივლო, არ დაუწერია, ანდა როგორ დაწერდა, ამ ტალახით, ნესტით და ცხედრებით სავსე ბლინდაჟში.

ადამიანი ან ჭკუიდან შეირყევა, ანდა რაღაც უნდა აკეთოს, იფიქროს მაინც, თუნდაც ლექსად.

ზოგჯერ სანგრებშიც წერდა.

კომისარი ეტყოდა ხოლმე: „ბიჭო, სულ რომ წერ და წერ, შენთვის არც შიშია, არც შიმშილია, არც სიცივე?“

– ჩემო ბატონო, ესაა ჩემი ფარიც, სითბოც და საკვებიც, სხვას არას გთხოვთ... ბოლოს და ბოლოს, თუ დავეცემი, ეს წიგნი ხომ დარჩება ჩემს ოჯახსა და მეგობრებს.

პოეზია დიდი იარაღია, არ მოადუნებს ადამიანს, სულ შემართული ჰყავს, კაცთმოყვარეობას კარნახობს, იგი თავისებური სწეულებაცაა, თუ დაგემართა, ვეღარ განიკურნები. იქნებ ამ პოეტურმა „სწეულებამ“ შეახერხა, ჩახმასხს რომ ხელი არ გამოსწია... ვინ იცის.

დაღლილობამ, უძილობამ და დაძაბულობამ თავისი გაიტანა. ვეღარც კი იგრძნო, ისე დადგა რაღაც ბურანი...

ვითომ სადღაც კიდევ ჩამოვარდა ერთი ყუმბარა, მამუდი ფეხზე წამოდგა, ამოვიდა სანგრიდან და ველს გადახედა. საიდანღაც საშინელი აფეთქებით გზააბნეული ირემი გამოვარდა და ტყისკენ გაიქროლა, მამუდი დაედევნა ქორბუდას. ის-ის იყო ტყეს შეაფარებდა თავს... ამ დროს თოფიც გავარდა, ირემი ყვავილებით გადაყვითლებულ მდელოზე წაიქცა, იქაურობა ყაყაჩოებად იქცა.

დაჭრილ ცხოველს სატანის ხარხარით მიეჭრა დანამომარჯვებული გერმანელი. მამუდმა ავტომატის ჯერი შეახვედრა აყლაყუდა ფრიცს და იქვე გააგორა...

შეკრთა, გამოედვიძა და ანგარიშიშუცემლად წამოიმართა. თვალები მოიფშენიტა, მზერა ბლინდაჟის მეორე მხარეს გაექცა და რას ხედავს...

გერმანელი მთელი ტანით წამომართულა და ავტომატს უმიზნებს. მამუდი მოულოდნელობისგან გახევდა.

ჩაძინებისას თოფი გვერდით დარჩენია. ნაგანის ამოდებას ვეღარ მოასწრებს. ნუთუ დამთავრდა ყვლაფერი?

მოშუღარნი თვალების ისრებით ხვრეტდნენ ერთმანეთს. რამდენიმე წამს გაგრძელდა ეს წამება.

მამუდი გონს მოეგო.

– მესროლე, ფაშისტო, რაღას ელოდები? – რატომღაც ქართულად შეჰყვირა.

გერმანელმა, ალბათ, მხოლოდ ერთი სიტყვა გაიგო. იგი არ განძრეულა, თითქოს არაფერი გაუგონია. კვლავ სამიზნეზე ყავდა მოწინააღმდეგე.

უცებ იარაღს ცალი ხელი მოაშორა, ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და ლულაზე გადაკიდა.

მამუდი მიხვდა ეს რასაც ნიშნავდა. გონება დაძაბა: „ჩემი ცხვირსახოცი წითელია“ – გაიფიქრა. ხელი გულისჯიბისკენ გაექცა, პატარა ბლოკნოტი ამოიღო, გაშალა, თეთრი ფუცლები გამოაჩინა და ზეასწია.

გერმანელმა იარაღი დაუშვა, სანგარს მოშორდა და რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოდგა.

მამუდსაც აღარ დაუყოვნებია, ხელებით სანგრის კიდებს დაეყრდნო, ამოხტა და მეტოქისკენ გაემართა.

ახლა ტალახში ამოსვრილ ორ მებრძოლს ორი ნაბიჯი-და აშორებს.

– რატომ არ მესროლე? – თვალებით შეეკითხა.

ახლა გერმანელმა ყველაფერი გაიგო.

– Ich bin Kein Fashist, ich bin bawarisher Gichter Helmut Schaefer!

მამუდმა მხოლოდ ერთი სიტყვა გაიგო. მთლიანად კი ნათქვამი იყო:

– მე ფაშისტი კი არა, ბავარიელი პოეტი, ჰელმუტ შეფერი ვარ.

...პოეზიამ ეროვნება არ იცის. იგი კაცთმოყვარეთა საქმიანობაა.

ცივწყარო

ოდესღაც ასე ერქვა ადგილს ჩემი ქალაქის გარეუბანში. მაღალი ასწლოვანი ხეებითა და ბუჩქნარ-ბარდნაღით დაფარული ბორცვის ფერდობზე წყარო მოსჩქეფდა, ცივი და სულის დამატკბობელი. ეს სახელიც ამიტომ დაარქვეს, თუმცა იმასაც ამბობდნენ, ამ უღრან ტყეში ავი სულები დადიანო და უქმურის შეყრის შიშით ქალაქის მცხოვრებნი ერიდებოდნენ აქ მოსვლას, ბავშვებსაც უშლიდნენ ამ წყლის დაღევას და აქა-იქ ამოთხრილი ჭის წყლით იკლავდნენ წყურვილს.

აკრძალული ხილი კარგიაო, მაშინაც იტყოდნენ, თურმე ბავშვები აკრძალულ წყალსაც ეტანებოდნენ. ბუჩქებში ძვრომა-ბროლიაღიც ართობდათ და დროდადრო ეს პატარა უღალი ტყეც გამხიარულდებოდა ხოლმე.

ბორცვის აღმოსავლეთით პატარა მდინარე სკურკუბა მორაკრაკებდა. პატარაო, ვამბობთ, თორემ წვიმების დროს ეს ნაკადული ისე ადიდდებოდა, ნაპირიდან ყველაფერს მოხვეტავდა, ზღვისაკენ მიაქანებდა და ადამიანებისათვის გაუვალი და საშიში ხდებოდა.

* * *

ერთჯერაც პატარა ქალაქის პატარა ბინადართ ცივწყაროსთან შემოადამდათ. ის-ის იყო სახლებისაკენ ჰქნეს პირი, მაგრამ...

...როგორც ამბობენ, სასაფლაოს თავისი ანგელოსი ჰყავს, დუმილის ანგელოსი. ცივწყაროსაც ჰყავდა იგი. ბავშვების თვალწინ ანგელოსმა ფრთები გაშალა და მთელს თვალსაწიერზე ყველაფერი მის ქვეშ მოაქცია. ცა განრისხდა, გაპირქუშდა. იგი მუქ ზეწარსავით გადაიჭიმა, დედამიწას თავზე ჩამოაწვა და ბინდ-ბუნდში გახვია. ეს

კი რაღაც ცუდს მოასწავებდა. მართლაც ისეთი თქეში წამოვიდა, სულ ჩამოაბნელა ყველაფერი. ბიჭები ქვემოთ გზისაკენ დაემუნენ, მაგრამ მდინარე ნაპირებიდან გადმოსულიყო, გზებიც დაეტბორა და ახალი შენაკადები გაეჩინა.

ყმაწვილები ჩიხში მოექცნენ: წინ წყალი, უკან ჩაბნელებულ-ჩაუკუნეთებული ცივწყაროს ტყე. მაინც ტყე არჩიეს, ცოტა ზემოთ აირბინეს და დიდ უთხოვარს შეეყუდრნენ.

ახლადა გაახსენდათ, სახლში ბებია-ბაბუები და მშობლები რომ ჩასჩინებდნენ: ამ ტყეში ნუ წახვალთ, ანდა თუ ამას არ დაიშლით, ნუ დაიღამებთ, თორემ იქ ტყის ავსულები დაგიჭერენ და სახლში აღარ გამოგიშვებენო.

სტიქიით დამფრთხალი ბაღლები ერთხანს ხმას არ იღებდნენ, შემდეგ თითქოს მიეჩვივნენ დელგმას და ალაპარაკდნენ:

– ბებიათ თქვა, შეღამებულზე წყლის სულები გამოდიან და დაგიჭერენო, ნეტა მართალია? – თქვა ერთმა.

– მართალია. ბაბუამ თქვა, ისინი დიდ კაცებს, უფრო-რე მთვრალებს ერჩიანო, – დაუმატა მეორემ.

– ჰოდა, ჩვენ არც დიდები და არც მთვრალები ვართ, რიდასი გეშინიათ, – თქვა მესამემ, რომელიც ყველაზე მეტად დამფრთხალიყო, სველი სხეული უთრთოდა და საკუთარი სიტყვებით იმხნევებდა თავს.

დმერთმა შეიბრალა ყმაწვილები. თანდათან ღრუბლები შეთხელდა, ერთგან ცაზე დიდი ფანჯარა გაჩნდა, ჯერ ვარსკვლავები, შემდეგ მთვარე გამოჭიატდა. ღამის მნათობი ამაყად მიაპობდა ნისლის თავთხელს და მის ხლართებში მიცურავდა.

ამასობაში წვიმამაც გადაიღო, ბიჭები უთხოვარს მოშორდნენ და ბილიკისაკენ ორიოდ ნაბიჯი გადადგეს, მაგრამ მეწინავე მეყსეულად შეჩერდა... ბილიკზე

თმაგაჩეილი, თეთრად მორთული ქალი იდგა და ბუჩქებს შორის პატარა გასასვლელს მთლიანად ავსებდა.

– ეს ფერიელი შორენა არაა? – იკითხა წინმაველმა.

– შორენას ამ თავსხმაში აქ რა უნდა? – თქვა აკანკალებულმა ბიჭმა და უკან გაქცევა დააპირა.

– ეს ნაღდად ავსულია, – დაასკვნა მესამემ.

– გეჩვენებთ, ეს ადამიანი თავისი გზით მოდის, – თქვა გულადმა და წინ გაიწია.

სხვებიც მიყვნენ, მაგრამ ვიწრო ბილიკზე ქალს გვერდი ვერ აუქციეს, საითაც გადაუსხვევდნენ, იქ ჩადგებოდა და ბიჭებს გზას უგმანავდა.

დიდხანს გაგრძელდა ეს გაიწიე-გამიშვი. ბიჭებს ტანზე ძაფი არ ჰქონდათ მშრალი, ახლა არაქათიც გამოეცალათ, შიშმა და დაღლილობამ თავისი ჰქნა, ფეხზე ძლივს იდგნენ. ბედად ღრუბლებში მთვარემ იმძლავრა, იქაურობა განათდა და მოულოდნელად გამოჩენილი ეს მშვენიერი არსება, ასევე მოულოდნელად მიტრიალდა და გაქრა.

სახლებში ძლივს მილასლასდნენ, აკანკალებული და შეშინებულნი. თურმე იმ საშინელ ღამეს მთელი უბანი ფეხზე იდგა, ეძებდნენ ყველგან, მაგრამ ცივწყაროსკენ წასვლა არავის უფიქრია, – ბავშვებმა იციან, უქმურიანი ადგილი რომაა და იქ არ წავიდოდნენო.

ტანზე გამოუცვალეს, გაათბეს და ლოგინში ჩააწვინეს, შეშინებულისაც გამოალოცვინეს, მაგრამ „უქმურმა“ თავისი გაიტანა. ბავშვები ლოგინად ჩავარდნენ, სხვადასხვა სენი შეეყარათ, თუმცა აფხაზი ენესი-მკურნალის ზრუნვამ თავისი გაიტანა და ერთ თვეში ყველა ფეხზე დადგა.

დიდმა და პატარამ ბოლომდე დღესაც არ უწყის, ამ წვიმიან, ჭაობიან, ციებიან ადგილას ვინ და რატომ გააშენა ქალაქი ბათუმი. თურმე უძველეს დროში, ქარიშხლისგან უსაფრთხო ყურეში გემების შემოსვლა გახშირდა. ისინი აქ დუზას ჩაუშვებდნენ და გამოდარებადღე ზოგჯერ თვეობით იდგნენ. გემის ეკიპაჟს და მგზავრებს მოშიგდებოდათ და ნაპირზე გადმოდიოდნენ. აქ მათ ადგილობრივი მეთევზეები ხვდებოდათ. გემისა თუ მგზავრების სანახავად ქალაქიდან და ახლომახლო სოფლებიდან უამრავი ცნობისმოყვარე ადამიანიც მოდიოდა. სტუმრების პირველი სათხოვარი სანოვაგე და წყალი იყო. ისინი ამისათვის ყველაფერს იმეტებდნენ: ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ქსოვილებს,



მეთულუხეები

სამკაულებს, და რა თქმა უნდა, ფულსაც. პატარა ქალაქში ასე გაჩნდა ნავმისადგომი, სადაც გემები უსაფრთხოდ იდგნენ, აქვე კი მცირე ბაზარ-ფარდულები გაიმართა და ვაჭრობა გაჩაღდა. ზოგმა აქ პატარა ფაცხებიც აიშენა და ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა. ასე გაჩნდა ახალი ქალაქი.

გამოჩნდნენ პირველი მეთულუხნეები, რომლებიც ზურგზე აკიდებულ ჭურჭლებს ჭის წყლით ავსებდნენ, სანაპიროსკენ მიაქანებდნენ და „ცივი წყალი, სოუქსუ, ხოლოდნ-ვადა“ – იძახოდნენ. წყალს ჯერ ბაზრის მუშტრებმა მოუსინჯეს გემო, შემდეგ მეზღვაურებმა. ჭის წყალს წყაროს წყალი აჯობებსო, უთქვამთ სტუმრებს, ფასსაც მოგიმატებთო და...

წყლის გამყიდველები არც დაფიქრდნენ, არც ავსულისა და ალის შეშინებით, გზა-ბილიკი ეკალბარდებისგან გაწმინდეს და ახლა ცივწყაროთი ამარაგებდნენ გემის მგზავრებს.

ცივწყარომ მთელს ქალაქში და მის სტუმრებში მალე გაითქვა სახელი.

* * *

ბოღაზის ახლომახლო მცხოვრებთა რიცხვმა იმატა. თამარის ციხე-რაბათიდან ქალაქის შუაგულმა ყურესაკენ გადმოინაცვლა. ააგეს ახალი სახლები, ფაცხა-სადგომები, გაჩაღდა ადებ-მიცემობა. ხალხმა სალოცავ-საყუდარებიც აიშენა. თანდათან აზრიც მოდუღდა, რომ ამ ადგილს კარგი მომავალი ელოდა.

კარგი ყოფილათ, გავრცელდა ხმა და პატარა ნავსადგური და ქალაქი ქართველი ფეოდალების ხელიდან ხელში გადადიოდა. ჯერ სამცხის ათაბაგები, შემდეგ გურიელები, შემდეგ კვლავ ათაბაგები ფლობდნენ.

ვინ იცის, მათ ხელში როგორ წარიმართებოდა ნავსაყუდელისა და ქალაქის ბედი, აქ მოთარეშე დამპყრობლები რომ არ გამოჩენილიყვნენ. მოგვიანებით ვახუშტი იტყვის: „ზღვის შესართავზე და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი, აწ უპყრავთ ოსმალთა,“ თუმცა მას სხვა რჯულზედ მოქცეული ქართველი ფეოდალები თავდგირიძენი, შერვაშიძენი, აბაშიძენი, ბეჟანიძენი, ხიმშიაშვილნი მართავენ. რას იზამდნენ, ძალა აღმართს ხნავდა, მაგრამ თუ ამ ქალაქში ქართული სული საბოლოოდ არ ჩაკვდა, ეს სწორედ მათი გარჯის ნაყოფია.

ამსობაში დადგა დრო, როცა ბათუმში უფრო და უფრო მეტი უცხოელი მოდის. საიდან არ ნახავდით აქ მოგზაურსა და ბუნების მოყვარულს: იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, ინგლისიდან, დასაკარგავიდან.

– ბათუმი უფრო სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს თავისი ორიათასი მცხოვრებით, – იტყვის ორასი წლის წინ ფრანგი ადრიან დიუპრე.

– ბათუმი პატარა სოფელია, რომელიც მეთევზეთა და კონტრაბანდისტთა თავშესაფარიაო, – ამბობს იტალიელი მალმუზი.

– ბათუმის ქალაქი ასიოდე უბედურ სახლს და ქოხს ჰქვია, ზოგი მათგანი დაბწნილი შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია, ორიოდე შენობა ქვათკირისაც იქნებაო, – 1859 წელს ჩაწერა თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებებში ქართველმა, ქალაქმშენებლობის დიდმა მცოდნემ ნიკო ნიკოლაძემ.

„უბედურ სახლებში, ქოხსა და დაბწნილ ფაცხებში“ ადამიანები ცხოვრობდნენ, რომლებსაც ჰქონდათ ყველა აუცილებელი ადამიანური მოთხოვნილება, პირველ რიგში მათ წყალი სჭირდებოდათ, რამეთუ დაჭაობებულ ქალაქში ჭების მოწყობა ყველგან არ ხერხდებოდა.

ოსმალო ხელისუფლებმა ბევრი იფიქრეს, რა გზას დასდგომოდნენ და თვალი ცივწყაროს დაადგეს. მაღე სხვა, რამდენიმე წყაროც მთის ძირის აუზში მოაქციეს და თიხის მილებით ქალაქის საცხოვრებელ უბნებში მიიყვანეს, ცივწყაროს კი სოუქ-სუ უწოდეს.

ამასობაში მომხდურთა განკითხვის ქამი დადგა. დამპყრობთა არმიის სახადი გაჩნდა, ოცი თუ ოცდაათი ათასი კაცი მარტო ამ სენით დაიდუპა, დანარჩენს მოციქულად ტყვია დაუდგა...

ქალაქი სასაფლაოებით დაიფარა, ცარიელი ადგილიც კი აღარ დარჩა. დევრიშ-ფაშა იძულებული გახდა, დაღუპულთათვის საერთო სამარე ეძებნა. ვინ იყო გამკითხავი, ეთქვა, სასმელ წყალთან საფლავეები არ უნდა მოვაწყოთო, ფაშამ კი სწორედ ეს ადგილი შეარჩია. ცივწყაროს მთელი ბორცვი ოსმალო ასკერთა განსასვენებლად იქცა. წყლის ავი სულების ნაცვლად, ახლა ხალხს მკვდარი სულებიც აშინებდა.

სასაფლაოს ადგილი ქალაქის უცხოთაგან გათავისუფლების შემდეგაც საძებარი გახდა. ახალ ხელისუფლებას სხვა გზა არც ჰქონდა, ოსმალთაგან შერჩეული ბორცვი მოიწონა და ცივწყარო, იგივე სოუქ-სუ, ბათუმელთა მუდმივ განსასვენებლად, წმინდა ადგილად იქცა და ისე გადაივსო, რომ გგონია ნაცნობი კაცი ქუჩაში შემხვდებო და, შენთვის მოულოდნელად, ის იქ აღმართული მემორიალიდან შემოგხედავს. აქვე მრევლმა თავისი სალოცავ-საყდარიც ააშენა.

ცივწყარო ახლა უზარმაზარი ღია მუზეუმი, სადაც ასოცდაათი წლის მანძილზე ათეულათასობით ბათუმელი მიებარა, აქ ნახავთ ქრისტიანებს (უპირატესად), მუსლიმანებს, კათოლიკეებს, სომეხ-გრიგორიანებს, იუდეველებს, პროტესტანტებს. ესაა რელიგიათა ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და კაცთმოყვარობის იშვიათი

მაგალითი. ესაა ადგილი, სადაც სხვადასხვა რწმენის მიუხედავად, ყველანი ერთად, „ბოლოს შეყარნეს მიწამან“...

აქაური ეპიტაფიები მარტო დაბადება-გარდაცვალებას როდი გვაუწყებენ, თითოეული საფლავი ძვირფასი ბიოგრაფია და ქვეყნის პატარა ისტორიაა, ქვა-ლოდზე დაწერილი ისტორია.

* * *

მე ამ ადგილების ახლო-მახლო გავიზარდე. იმ ონავარ ბავშვებთან ერთად მეც ბევრი თავგადასავალი გადამხდენია. სულ მინდოდა გამეგო, რატომ ერქვა სოუქსუ, მიმეგნო, სად გამოდიოდა ქალაქისთვის ესოდენ სანუკვარი ცივწყარო, მაგრამ ქვის აკლდამებით დაფარულ ფერდობებზე ვერ ვნახულობდი. ერთმა ხანდაზმულმა ეკლესიის მიმდებარე ტერასებთან მიმიყვანა, ბუჩქები გადაწი-გადმოწია, საფლავის კედელზეც შემახედა და წყლის ნაუური მაჩვენა. აი, აქ უნდა ყოფილიყო მთავარი წყაროს ერთ-ერთი გამოსავალიო, მითხრა.

* * *

იმ დღესაც აქ ვიდექით. ჩვენი მეგობრის, ცნობილი ექიმის ზურაბ წულაძის გარდაცვალების წლისთავზე შევიკრიბენით. თვით ეს საფლავიც თავისი შინაარსით პატარა მუზეუმი. აქ ზურაბის გარდა განისვენებენ მისი მამა კოწია წულაძე, მენშევიკური პარტიის ცნობილი წევრი და მისი მეუღლე, ბოლშევიკი მარიამ მეგრელიშვილი.

საოცარია, არა? ორი დანასისხლად გადაკიდებული დაჯგუფების წევრი, თავიანთი რადიკალურად განსხვავებული მრწამსის მიუხედავად, ათეული წელი ერთად ცხოვრობდნენ, როგორც იტყვიან, ერთ ბაღიშზე

ეძინათ და აქაც, ბუნებრივია, ერთი მშობლიური მიწა-საბანი ახურავთ.

პარაკლისის გადახდის წინ მამა თვედორეს ველოდებით. ბუნქებს შორის თვალი გამექცა. ქვაზე რუსული წარწერა გამოჩნდა. საფლავის ზღურბლზე შევედექი, ფოთლები გადავწიე და რას ვხედავ, ჩემს წინ საკმაოდ მაღალი, თავზე ვარსკვლავიანი ობელისკია აღმართული. ამ ადგილებში რამდენი მიხეტიალია და ეს არასოდეს მინახავს. მთავარი ისაა, რომ ახლა აქ ვნახე საუკუნის წინ დაღუპულთა სია...

უმჯობესია ამ ამბების თვითმხილველ დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „უეცრად ხმაურობამ შესამჩნევად იმატა. ელექტრონის გადასახვევიდან ადვისს ქუჩაზე გამოჩნდა ახლად გამოწვეული გუნდი... მის დანახვაზე მუშებმა შექმნეს ყვირილი... ერთი თვალის დახამხამებაში ყველაფერი აირია... ეძვერნენ მარჯვნივ ფიცრის ღობეს. სეტყვასავით ეფინება ფიცრების ნამტვრევები, მიწის კოლბოხები, წვრილი კენჭები... პირდაპირ ჯოჯოხეთი შეიქმნა. რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს? არავინ იცის.“

უეცრად გავარდა რევოლვერი. ერთი... ორი... სამი... კიდევ ერთი და გავარდა თოფი; უეცრად არც სავალდებულო სიგნალი და ივრიალა ზალკმა...

საზარელი კივილი, წივილი!.. აირია ყველაფერი! გარბიან, დაცარიელდა აქაურობა. ქუჩა მოფენილია დაჭრილებით, მომაკვდავებით. სისხლში გდიან დევი ახალგაზრდები, ზოგი უძრავად, ზოგი სიკვდილს ებრძვის; გულშემზარავი კენესა დაჭრილებისა...

მოიყვანეს ეტლები და დროგები მკვდარ-დაჭრილების წასაღებად. სისხლით მოთხვრილ ადგილებს აყრიდნენ მიწას; ეტლების ბორბლებით იზილებოდა ეს ადგილები და საზარელი რამ სანახავი იყო ეს გასისხლიანებული მიწის ცომები.“

იმ დროს დაღუპულთა ვინაობაზე დიდი მწერალი არაფერს წერს. არც სხვა წყაროებში შემხვედრია მათი სახელ-გვარი და აგერ, ჩემს წინ, აღმართულა უზარმაზარი და უტყუარი „ლოკუმენტი,“ რომელიც გვაუწყებს:

Здесь похоронены рабочие революционеры, расстрелянные царскими палачами у пересильных казарм 9 марта 1902 г. во время грандиозной демонстрации багумских рабочих.

მათ შორის არიან: ამბროსი ბახტაძე, მარკოზ პერტია, ანდრო შანიძე, სიმონ შანიძე, მიხეილ ყუფარაძე, შუბლაძე (სახელი უცნობია), აბრამ მურადოვი, ალექსი ჩხეტია, პავლე იორდანიდი, სკანდერი (გვარი უცნობია), ანდრო სულავა, ერასტი სიხარულიძე, ექვთიმე კოპალეიშვილი; მეთხუთმეტე დაღუპულის გვარი ვერ დადგინდაო, გვაუწყებს მემორიალი.



1902 წელს დაღუპულთა მემორიალი

ჩემთვის ეს აღმოჩენა იყო. მადლობა ღმერთს, რომ აქ მომიყვანა. ამ ფიქრებში ვიყავი და ლოცვის ხმა შემომესმა. დავტოვე ჩემი საფარი და წულაძეთა საფლავს მივაშურე.

იქ მამა თევდორე პარაკლისს იხდიდა. აგუხსენი ვითარება, პატიება ვთხოვე, სხვა საქმით რომ ვიყავი დაკავებული, მაგრამ თავად გამამხნევა: შენც არანაკლებ სამადლო საქმეზე ყოფილხარო.

ელექტრონის გადასახვევს ახლა ცხრა მარტის ქუჩა ჰქვია. არ აგერიოთ, ეს სახელი ცხრაასორში დაღუპულთა პატივსაცემად დაარქვეს. გამოხდა ხანი და ორმოცდათექვსმეტის ცხრა მარტს თბილისში, ჩემი თაობის თვალწინ კვლავ დადგა სისხლის გუბეები. მაშინ მრავალი ივერიელი დაიღუპა... მათთვის უნდა მიგვეგო პატივი და ცხრა მარტის ქუჩას მეორეჯერაც ცხრა მარტის ქუჩა დავარქვით.

– მგზავრო! წამით შეჩერდი ორი ცხრა მარტის ერთ ქუჩაზე. სიმართლისთვის მებრძოლთა სისხლი გაიხსენე... ჯალათები ორივეჯერ მოვიდნენ ქვეყნიდან, რომელსაც „ბოროტების იმპერია“ ჰქვია.

უფალმა გვაკმაროს ორი ცხრა მარტი.

31 ივლისი, 2007 წ.

სინანული

- რაა, ბერო მაგი, შეშას ახმო?
- წიფლის ქერეჭია, - თავაუღებლად უპასუხა ბაბუამ და პატარა აქანდაზი ფარდაგზე გაფენილ წითელ ქერქებში უხალისოდ აურია.
- რათ გინდა წიფლის ქერეჭი? - არ ეშვებოდა მოსული, რომელიც ის-ის იყო ცხენიდან ჩამოქვეითებულიყო. ნაცრისფერი უღაყი ღობეზე მიეხრა, მათრახს ხან ხელში ათამაშებდა, ხან კიდევ გაპრიალებულ ჩექმებზე იტკაცუნებდა.
- რათ მინდა და ბაღნებს უნდა ვაჭამო, - ცერად ამოხედა მოსულს მოხუცმა და აქანდაზი კიდევ რამდენჯერმე ნერვიულად გაურია ნაფოტებში, - აქამდე სიმინდის ხვიტებს ვურევედი... ბაღნები კინალამ დავხოცე.
- ბაღნებს რას აჭმევ, რა ჩემი საქმეა, ვალს დაბრუნება უნდა; მეც მყავს ბაღნები, - თქვა მოსულმა და მათრახი ისე დაატრიალა, გეგონებოდა სადაცაა ბერიკაცს გადაჰკრავსო.
- მარტო ჩემი ბაღნები რომ მყავდეს, ვინ ჩივის, აგერ თვრამეტი ბაღშიც სარჩენია, გოგეების შვილები... შენც ასე თუ გაგიჭირდებოდა რა ვიცოდი, თვარა არ ვისესხებდი... კი ბატონო, ვალს მალე დაგიბრუნებ, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხობდა ბაბუა, ამაყი კაცის ზურგში ჭიანჭველები ამოძრავდნენ. გულში ფიქრობდა „ამ ოხერს სახლში სამი წლის მოსავალი დაუგროვდა, მატლები უჭამენ და ასე რატომ მახრჩობსო“.
- მევალე მათრახის ტკაცუნით ცხენებისკენ გაბრუნდა. ბაბუამ თავი ხელებში ჩარგო და ფიქრებს მიეცა: „ამ მამაძაღლის ნათქვამზე ყურები ისე ამიბჟუვდა, ვითამ ახლა გამოვედი სამჭედლოდან. თავმოყვარე კაცი გვართ სისხლამღრველთან სასესხებლად არ მივიდოდა. მაგ უნიფხურს ომის დაწყებამდე სალამს არავინ აძლევდა. ამ

გაჭირვების დროს რაღაც მამაძაღლობით და გაიძვერობით ყველას გვაჯობა. წესიერი ყოფილიყო, მის ტოლებთან ერთად ჯარში წავიდოდა, მაგი არაა კაი კაცი... ფუჰ, რამ მიმიყვანა მაგასთან“, – თავის თავს კიცხავდა ბაბუა და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

* * *

ბებიას საფერხელში მწოლარე კაცების ხმამაღალმა ლაპარაკმა გამაღვიძა. საბანი სახიდან ოდნავ ჩამოვიწიე და ცალი თვალით გამოვიჭყეტიე: პირდაპირ ბაბუა იჯდა, თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა, თეთრი მაღალყელიანი ზუბუნი და შავი ძიქვა ჩოხა-შალი ეცვა. ზურგით უფროსი ბიძა იჯდა, მერე უმცროსი ბიძა და ბიცოლებიც შემოვიდნენ, მოშორებით ტახტზე ნახევრადზურგ შექცევით ბებია იჯდა.

– სამოც წელს გადავახტი და ღვინის გემო არ ვიცი. ღვინის ჭურჭელზე ხელიც არ მიმიკარებია, – მორწმუნე ბაბუა რაღაც უჩვეულო, წამდერებული ტონით ელაპარაკებოდა შინაურებს, – უცფათ ღვინის წვეთი რომ დამცემოდა, ტანსაცმელს იმ ადგილზე ამოვჭრიდი. ასე იჯებოდა მამაჩემი, ასე აკეთებდნენ ჩვენი ძველები, ახლა ამ სიბერეში არაყი გამოვხადე და გასაყიდად მიმაქ. ღმერთი მაპატიებს?

ეს აღსარებას უფრო ჰგავდა.

– მე წევლეფ და ცოდვაც მე მომეკითხება. ამ ხნის კაცი შუაღამისან ამხელა ჭკირთით ჰად მიხვალ? – უსაყვედურა ბიძაჩემმა.

– ჰო, წვილოს მართლა, ასე ჯობია, – ჩურჩულით დაეთანხმნენ ქალები.

– არა! – მტკიცედ თქვა ბაბუამ, – ამ ჭკირთის წამლები დიდხანს ვერ გაატანს. მე ჩემი ცხოვრება მოვჭამე, ყველაი თქვენ გზაზე დაგაყენეთ.

ბიძაჩემს მიუბრუნდა:

– შენ შვილებს მოუარე, თუ ცოდვაა, ისიც ჩემ კისერზე იყოს, ჯანდაბას ჩემი თავი.

ბაბუა ტახტზე ჩამოჯდა და უეცრად ზურგზე მოიგდო ავბედითი „ოტკით“ სავსე გორიცა. სახელურები ბეჭეებზე ისე მოირგო, ეტყობოდა ამ ტვირთს აღარავის დაანებებდა.

– ქვედაი სახლი მაღე დაამთავრეთ, ძმები განაწილდით, ქვედა სახლში, თუ გინდა შენ წადი, ბიჭო... – მიუბრუნდა უმცროს ვაჟს, – გოგვები ყველა დასახლკარებული არიან, ჰამა... თუ რამე ქონებაზე თვალი დაიჭირონ, რძლებმა არ აწყენინოთ... დედაბერს რომელ ბიჭთანაც უნდა, იმასთან დარჩეს. ხელს არ შეგიშლით, – დაამთავრა სათქმელი ბერიკაცმა.

ეს უკვე ანდერძი იყო.

ბაბუას სახლში ცოცხლად დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდა...

მაინც მიდიოდა, სხვა გზა არ იყო, მაგრამ...

არაყიცი გაყიდა, მევაღეც გაისტუმრა, ფული ვაჟიშვილების და გათხოვილი ქალიშვილების ოჯახებსაც დაურიგა სიმინდის საყიდლად. გამოსდა ხანი: ერთი წელი, ორი, თხუთმეტი და ბაბუა, რომ იტყვიან, კაჟივით იყო.

ვიღაცამ უთხრა, – არაყი წამალიაო და იმდენად შეეცვალა რწმენა, რომ ხანდახან, კუჭი რომ ატკივდებოდა, მარილის კენჭს კი არ წუწნიდა, ჭიქაში სადღაც გადამალულ სპირტს ჩაასხამდა და გადაჰკრავდა.



ბაბუა

ერთადერთი, რისიც ეშინოდა, იმქვეყნიური ცხოვრება იყო.

– ტყვილი გეშინოდა „ოტკის“ გაყიდვის, ხომ ხედავ არაფერი მოგივიდა, – ხანდახან ხუმრობით ეტყოდნენ შვილიშვილები.

– ეჰ, ჯერ ვინ იცის იმ დუნიას რა იქნება, – უპასუხებდა ბაბუა.

* * *

ბაბუამ წერა-კითხვა არ იცოდა; როცა ვინმე ქართულ წიგნს კითხულობდა, სახეზე არ შეხედავდა, თითქოს რცხვენოდა, გვერდზე მიბრუნდებოდა, მაგრამ გულდასმით უსმენდა. გამხდარი სახე ამ დროს ეცვლებოდა მოსმენილით განცდილი სიამოვნებით, ზიზღით თუ მწუხარებით, ხანდახან ეშმაკურად სქელ უღვაშებშიც ჩაიცინებდა, ამას მისი თვალებით თუ მიხვდებოდით.

შორიდან ესიყვარულებოდა ბაბუა წიგნს. გვიან გაიგო მისი ფასი და უსიტყვოდ ნანობდა.

ერთხელ წიგნის მაღაზიასთან საფეხურზე ჩამომჯდარ ბაბუას მოვკარი თვალი. ჩაეთვლიმა დაღლილს. შემეცოდა, არ გავადვიძე, მის გვერდით ჩამოვჯექი და დაველოდე. ამ დროს მაღაზიას კეტავდნენ. ვლაცამ სიგნალიზაცია ჩართო და ზარის გნიას ატყდა. ბაბუას გამოეღვიძა.

– რა ამბავია? – იკითხა შემკრთალმა, მერე მეც დამინახა, გაუხარდა.

– მაღაზიას კეტავენ, ბაბუა, – ვუთხარი.

– დაკეტვისთვის ამხელა ფირზაჰი რა საჭიროა, – თქვა ბაბუამ, წამოდგა, მაღაზიაში შეიჭვრიტა, და ჩემთვის არ შეუხედია ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– წიგნების დუქანს დაკლიტვა რათ უნდა, მოვიდეს ვისაც სურს, აწიოს და წაიკითხოს, წიგნი ისტავლოს... არ

ჯობია? – გაღიმებულმა შემომხედა, განუშორებელი ჯოხი სიმიდის ქუნჩაღისგან მოქსოვილი კალათის სახელურში გაუყარა. მხარზე შემოიღო და ქუნჩას გაუყუევით.

მიყვებოდი ჩემს ოთხმოც წელს მიღწეულ პაპას და ვფიქრობდი: „წიგნებით განებივრებული კაცი ამას ვერ იტყოდა, ეს წერა-კითხვას დანატრებული ადამიანის სურვილია“.

მაშინ, ვინმეს ჩემთვის რომ ეკითხა, ბაბუა რას ფიქრობსო, ვეტყოდი: „ნატრობს, ნეტავ ნაკლებისა ვიყო, ქუნჩაღის კალათში წიგნები მეწყოს და სკოლაში მივდიოდეო“.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო.

* * *

თითქმის სამოცი წელი იცხოვრეს ერთად დედაჩემის მშობლებმა და ერთჯერაც არავინ შესწრებია მათ საუბარს. ერთმანეთის სურვილს უხმოდ ასრულებდნენ. შვილიშვილებს კი არა, დედა იტყოდა, ჩვენ, შვილებსაც, არ გვინახავს მათი საუბარიო. საოცარია, არა? არადა ცალცალკე სხვებთან ორივე ძალზე გულზიარი და მოყვასი იყო. ბებია – შედარებით თავდაჭერილი და ამაყი, ბაბუა კი – უსაზღვროდ მკვირცხლი და ხუმარა.

ბებია საჭმელს რომ დაუდგამდა, ბაბუა მის გასაგონად მრგვალ სუფრასთან მიმიწვევდა.

– მოი ჭო, პირველად შენ შეჭამე, დედაბერს საჭმელში თავის წამალი არ ქონდეს ჩაყრილი.

მე, ვითომ, ვერ გავიგე რას გულისხმობდა, მისგანვე ნასწავლს ვუპასუხებდი:

– საჭმელი პირველად დიდისაა, წყალი – პაწასი.

ბაბუას ხუმრობაზე ბებია მოუხედავდა და უხმოდ დასცინებდა, თითქოს ეუბნებოდა: „რა უკბილოდ მასხრობ

ბეროლ“, – შემდეგ ამაყად თავაწეული მობრუნდებოდა და თავის შინაურ საქმეებს გააგრძელებდა.

– დედაბერს რომ არ ელაპარაკები, ამდენი ბაღვები რაფერ გეყოლა? – ეხუმრა ბაბუას ერთხელ თანატოლი.

– ეი, გიდი, ნურიავ, შენ არ იცი რა წვალება გადამხდა... შვიდი ბაღვი მყავს და შვიდივეჯერ დედაბერს თოკვით ვაბამდი სექვზე, – ხუმრობით უპასუხა ბაბუამ.

* * *

დედუღეთი ჩემივე სოფელში მქონდა და სანახევროდ ბებია-ბაბუასთან ვიყავი.

... რაიმეს გავაფუჭებდი, ბებიასთან შევაფარებდი თავს.

... კარგს თუ მოვიმოქმედებდი, იმასაც პირველად ბებიას მივახარებდი.

... თუ რამე მიხაროდა, ისიც ბებიას უნდა გავეო.

დედამ პატარა ქუდი მიყიდა, მუქი ლურჯი, წინაფრიანი, გვერდებზე ასეთივე ფერის დიღები ეკერა. სირბილით ავედი ბებიასთან. სახლში შესვლისას მოვიხადე და უკან დავმალე, როგორც კი დამინახა, მაშინვე დავისურე. ბებია მერთი აღმაცერად შემხედა.

– სად ნახე ეს ჩეთნიკის ქუდი? – მკითხა.

– დედამ მიყიდა.

მოვიდა, მომხადა, გადახოტრილ თავზე ხელი მომისვა, შემდეგ ისევ დამახურა.

– მშვიდობაში და კაიბიჭობაში!

გათამამებული ოთახიდან კარაპანში გავვარდი. ბაბუას ცხემლის სატარე ცულში გაეყარა და ზემოდან კვერკვეტოს ურტყამდა. სატარე ჯიუტობდა, არ გადიოდა ბოლომდე, ბაბუა ბრაზობდა და იგინებოდა. შემდეგ უკან გამოღება დააპირა, მაგრამ ესეც გაძნელდა, ბაბუა გადაირია.

- ბაბუა! - მეც ამ დროს წავადექი თავზე, თან ხელით ვანიშნე ქუდი რომ მეხურა.

ბაბუამ ამომხედა, ქუდს მიაშტერდა.

- რაა, ბიჭო, მაი!- ხელსაწყოს ხელი უშვა, მომვარდა, ქუდი მომადრო და ყანაში გადაუძახა. თვალი გაავაყოლე, როგორ მიფრინავდა ჩემი ქუდი, როგორ ჩაეშვა სიმინდის ყანაში, სახე კედლისკენ მივაბრუნე, მკლავებში ჩავრგე და ჩუმად ავტირდი.



„გებრიანი“ ბიჭი

ბაბუამ განაგრძო მუშაობა და ბუზღუნი, ხუთ-ექვსჯერ კიდევ დაჰკრა, შემდეგ შეჩერდა. მკლავებქვეშ ცალი თვალით გამოვიჭვრიტე. ბაბუა მომჩერებოდა. მე ისევ ვფლიკვინებდი. წამოდგა, კვერკვეტო კედელთან მიაგდო და კარაპნიდან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა.

- წვილე მაი გებრა სახლში. თავზე დახურული არ დაგინახო!

მოვიხედე. ჩემი ქუდი დაზგაზე იდო. კედელს მოვშორდი, ქუდს ხელი დავავლე და სახლისკენ მოვკურცხლე.

დედას მოვუყევი რაც მოხდა, მიზეზიც გავიგე.

თურმე რუს მეფეს, ხალხის მოთვინიერება რომ უნდოდა, სოფლებში სალდათებს შემოგზავნიდა. ისინი სასტიკად ეპყრობოდნენ ხალხს, აშინებდნენ, სახლებს სწვაავდნენ, მცხოვრებლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ცხრაას თოთხმეტში აჭარლებს ღალატი რომ დასწამეს, მაშინაც სოფლებს კაზაკები შესევიან, ყველას თურმე წინაფრიანი ქუდი ეხურა. მაშინ იგი მეფის გერბითაც იყო დამშვენებული, ამიტომ ერქვა გერბა, რაც სოფელში

„გებრად“ აქციეს. ხალხმა შეიძულა იგი, მისი დახურვა ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა: ასეთი ქუდები ისე შემოვიდა მოდაში, რომ ყველას – მორწმუნეებსაც კი – ესურათ, ოღონდ მიცვალებულის ზიარებისას პირუკუ ისურავდნენ. ბაბუას თვალის თანდათან მიეჩვია და აღარ უკვირდა, როცა შვილიშვილები წინაფრიანი ქუდებით ხვდებოდნენ.

* * *

ბაბუას ავადმყოფობა სოფელში გავიგე, მის სიცოცხლეში ეს პირველი უგუნებობა იყო. სახლში ავაკითხე. ფართო ტახტზე იწვა, პეპლებიანი საბანი ესურა, მუთაქა და ორი ბალიში შემოეღოთ თავკეშ. ოთახში რომ შევედი, ჩემკენ გამოიხედა და გამიღიმა, არაფერი უთქვამს. უღვაშებზე და წვერზე გაშლილი ხელი ჩამოისვა. შვილიშვილებთან გაღიმებული შესვედრა იცოდა. ოცდაათნი ვიყავით და ყველას გვეგონა, უფრო მეტად ბაბუა მე მიღიმისო.

თავთან დედაჩემი ეჯდა. მან ადგილი დამითმო და ტახტზე ჩამოვჯექი, ბაბუას ხელი მოვკიდე, მაჯა გავუსინჯე, შემდეგ გულზე ყური დავადე, ცოტა გადავაბრუნ-გადმოვაბრუნე და სუნთქვა მოვისმინე. ექიმის ხელი და ყური ბაბუას პირველად შეეხო. სახეზე ღიმილი არ მოშორებია. უხაროდა, დიას, ექიმი შვილიშვილი უხაროდა – მე ასე ვფიქრობდი. ეს სხვათა შორის. საფიქრალი უფრო დიდი იყო. ბაბუას დღეები კი არა, საათები, წუთები ჰქონდა დათვლილი. არ შევიმჩნიე, გულდაღვრემილი სკამზე გადმოვჯექი. თვალს ვერ ვაშორებდი პეპლებიან საბნისპირს, რომელიც მალე სუდარად გადაიქცეოდა.

ბებია საწოლს მიუახლოვდა, ხელები საბნის ქვეშ შეაცურა, რომ ავადმყოფისთვის თეთრეული გამოეცვალა.

– ეკიმო! – ბაბუამ მე მომმართა და ერთხანს შეჩერდა, თითქოს რაღაცას იგონებდეს, – მოი, ჭო, მომხედე, დედაბერმა აფერი მომჭრას.

ცხოვრებაში, ალბათ ათასი მომაკედავი მინახავს, მაგრამ აღსასრულის ჩრდილქვეშ ხმამაღლა პირველად გამეცინა.

შემრცხვა, თუმცა ვიცოდი, ბაბუას არ ეწყინებოდა.

ამის შემდეგ სულ რაღაც სამი საათი იცოცხლა. ღიმილი შერჩა სახეზე. ამ ჯანსაღი ღიმილით და ხუმრობის გრძნობით იცოცხლა ოთხმოცი წელი.

ღიას, ძალზე მკაცრი, მომთხოვნი, საკუთარი რწმენის ერთგული და უაღრესად კეთილი ბაბუა მყავდა. კაცთმოყვარეობა შესაძლოა ადამიანთა მოდგმის ჩვეულებრივ თვისებად მივიჩნიოთ. თუმცა ბაბუა ყველა სულდგმულის მიმართ იჩენდა ზრუნვას, მათი მფარველი იყო.

სახლის გვერდით დიდი მსხალი იდგა. ხეზე უძველესი ჯიშის ყურძენი იყო მოდებული. ძალზე ტკბილ ნაყოფს ისხამდა. გვიან რთვლობას ბავშვები შევესეოდით ხოლმე მსხლის ტოტებს, მაგრამ კენწეროებს ვერ ვწვდებოდით და ყველაზე გემრიელი მტევნები დაუკრეფავი რჩებოდა.

ბაბუას შეეძლო მათი ჩამოკრეფა, მაგრამ არასოდეს უცდია. – იყოს, ჩვენი წილი ხომ მივირთვით, დანარჩენი ჩიტებს დაგუტოვოთ, მაღლიათ. – გვითხრა ერთხელ.

ბაბუა თებერვალში გარდაიცვალა, როცა ჩვენს მსხალს ერთი ფოთოლიც არ შერჩენოდა, ყურძნის ნასახიც აღარ ჩანდა...

...დაკრძალვის დღეს ამ ხეზე იმდენი ჩიტი შემოსხდა, ტოტებიც კი აღარ ჩანდა. კეთილი კაცი მაღლიერმა ფრინველებმაც გამოიგლოვეს.

სხვებს უნათებდა

კარებზე ძლიერმა კაკუნმა გამომადვილა. შუქი ავანთე და საათს დავხედე. დილის ოთხი საათი იყო. ავდექი, კარი გავაღე. ჩემს წინ მთლად სველი და გათოშილი კაცი იდგა. ოთახში მოვიპატივე. ცეცხლი გავაჩაღე. სანამ სველ მუხლებს ელექტროლუმელთან იშრობდა და მე ნაჩქარევად ტანზე ვიცვამდი, მოსვლის მიზეზიც გამოვკითხე.

ახალბედა ექიმმა, ავადმყოფებთან რომ მოგიხმობენ, თადარიგი უნდა დაიჭირო, ვითომ ისე, სხვათაშორის, პატრონს ავადმყოფის ამბავი გამოკითხო: როდის გახდა ავად, თავდაპირველად რა აწუხებდა, რა ნიშნები შეამჩნიეს, თვით ავადმყოფი რას უჩივის...

– არ ვიცი, ექიმო, – ამბობს სტუმარი, – ავადმყოფები მე თვითონ არც მინახავს. შუალამიხან გამაღვიძეს, ბავშვები ცუდად არიანო, სიცხე აწუხებთო. სოფელში ერთი ბავშვი დაიხარჯა კიდევ.

მეტი ვერაფერი გავიგე. ჩემმა გამცილებელმა თითქმის არაფერი იცოდა, ისედაც ძალზე სიტყვაძუნწი გამოდგა. ასეც ვკითხე, ისეც ვკითხე, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. „სიცხე აქვთ და კვდებიან. საშინელმა ტაროსმა დიდ-პატარა ლოგინში ჩაყარა“, – უკვე მერამდენეჯერ იმეორებდა იგი.

„სანამ მსხვერპლი არ მოჰყვა, ექიმი არ შეუწუხებიათ“, – ვფიქრობ ჩემთვის. ალბათ, დაავადების გამომჩენიდან საკმაოდ დროც გავიდა. რა უნდა იყოს: ინფლუენცა და მისი გართულებები, ფილტვების ანთება, ან მენინგიტი?.. იქნება რაიმე სხვა ინფექციაც არის“.

– ეჰ, ჩემო კეთილო, ამოდენა გზა გამოიარე და არ იცი, რაზე მიგყავარ, დაერეკათ მაინც, იქ ფერშალი ჰყავთ, პატარა ქაღალდს მოიწერდა, ასე როგორ გამოგიშვეს!- ვსაყვედურობ, თუმცა ვიცი, ეს კაცი არაფერ შუაშია.

- მითხრეს ბავშვების ექიმი ამოიყვანეო და მეც წამოვედი, - წყენა დაეცყო სტუმარს, - დარეკვა არ შეიძლებოდა, შუა გზაზე დიდი შვავი ჩამოშლილა, სულ დაუწყვეტია მავთულები. სწორედ შვავთან მოსული მანქანა დაბრუნდა უკან და იმას გამოვყევი.

რა გაეწყობა. ჩემს ექვსთვიან საექიმო გამოცდილებას უნდა ვენდო. ჯიბის აფთიაქს, რომელიც ყოველთვის თან დამქონდა და ჩემივე ხელით გადაწერილ რეცეპტების ცნობარს ხელი დაავადე, ჯიბეში ჩავიწყვე და სწრაფად გარეთ გამოვედი.

წითელჯვრიანი ძველი „ვილისი“ გველოდებოდა. ჩემი თანამგზავრი უკან, მე კი მძღოლთან მოვთავსდი. იგი ენაწყლიანი და მხიარული კაცია. უცნაური სახელი - ხათა ჰქვია. სულ რაღაც რვა დღეა, რაც სოფლიდან რაიონულ საავადმყოფოში გადმომიყვანეს და ჯერჯერობით, ვინც მომეწონა, ეს კაცია. აქ ჩამოსულმა მისგან მივიღე პირველი რჩევა-დარიგება... ექიმობაშიც კი. პირდაპირ თქმა უყვარს. საავადმყოფოს შენობა და გზები არ გვივარგა. ხშირად წამალზეც გვიჭირს, პროდუქტზედაც. ექიმები არ გვეოფნის. ყველანიარ ავადმყოფთან დაგიძახებენ. ბიჭი ხარ და თქვი, მე ბავშვთა ექიმი ვარ და სხვა ავადმყოფს ვერ ვუმკურნალებო. აქ შინაგანი ექიმიც უნდა იყო და დასტაქარიც, მეანიც... დაგიძახეს, უნდა წახვიდე, სოფლის ხალხი ძალზე მომთმენი და ნაკლებად მომთხოვნია. შენ რაც იცი, ისიც დააკმაყოფილებს. ავადმყოფთან წასვლა არ დაიზარო, გასინჯე, სანუგეშო სიტყვა უთხარი, საწოლთან ბევრი იფიქრე და მკურნალობის ყველაზე უფრო სწორი გზა აირჩიე. არ არის საჭირო ზედმეტი ფუსფუსი, მრავალსიტყვაობა. სნეულს მიეცი ის წამალი, რომლის სარგებლო-ბაში დარწმუნებული ხარ. ამით ისიც კმაყოფილი გეყოლება. თუ მორჩა, მადლობა, სახელი და დიდება არ მოგაკლდება. თუ არაფერი ეშველება, შენ არ გაგამტყუნებენ, იტყვიან, ცდა არ დაუკლიაო.



სასწრაფო გამოძახება

არ იფიქროთ, რაც ახლა ვთქვი, მე მომივიდა აზრად. ეს ყველაფერი ხათამ მიაძბო. თავად ოცი წლის მძღოლია, მეხუთე წელია საავადმყოფოს მანქანაზე მუშაობს და ბევრი რამ იცის. ჩვენ კი ერთად მესამეჯერ მივდივართ ავადმყოფთან და ამ ორი შეხვედრისას იმდენი რამ მითხრა, რაც ადრე არ გამიგონია არც სახლში, არც ინსტიტუტში, არც სამუშაოზე.

მივდივართ და ხმას არ იღებს. მეც ჩემი მაწუსებს და საუბრის გუნებაზე არა ვარ. ვინ არის ავად, რა სჭირს, რით უნდა დავიწყო მკურნალობა? – ვერ ვიშორებ ამ კითხვებს.

საინტერესო კაცია ჩვენი ხათა, აი უკვე ერთი საათია

მანქანა ცუდ გზაზე გავიდა, ჯახრაკა ურემივით გადადის ორმოებზე და მთიდან დაგორებულ ქვებზე. ჩემს მხლებელს ჩასძინებია. ხათა კვლავ დუმს, ჩემსკენ არც იხედება. ვიცი მისი ხასიათი. პირველი თვითონ არასოდეს დაიწყებს საუბარს, მე მელოდება. ერთი შეკითხვა და, მაშინვე ალაპარაკდება, თითქოს წინასწარ იცის, რას შეეკითხები.

საინტერესო კაცია ჩვენი ხათა, აი უკვე ერთი საათია ვხედავ, რომ მისი ხასიათი პირველი თვითონ არასოდეს დაიწყებს საუბარს, მე მელოდება. ერთი შეკითხვა და, მაშინვე ალაპარაკდება, თითქოს წინასწარ იცის, რას შეეკითხები.

– ხათა ვინ დაგარქვა? – ვკითხე რატომღაც და მხარზე ხელი დავკარი.

– ხათა ვინ დაგარქვა? – ვკითხე რატომღაც და მხარზე ხელი დავკარი.

– რა, არ მოგწონს?

– რა, არ მოგწონს?

– განა იმიტომ გეკითხები, რომ ცუდი სახელია, უბრალოდ... ისე... ცოტა უცნაურად ჟღერს, – ვამბობ მე.

– განა იმიტომ გეკითხები, რომ ცუდი სახელია, უბრალოდ... ისე... ცოტა უცნაურად ჟღერს, – ვამბობ მე.

ხათამ ჩაიცინა.

ხათამ ჩაიცინა.

– დიდოსტატს მკლავი რაზე მოჭრეს, ხომ გახსოვს, რატომ კარგი ავიგიაო. ჰოდა, მეც რამდენიმე კაცი ვიხსენი ხათაბალისგან და იმათაც სამაგიერო იმით გადამიხადეს, რომ ხათა შემარქვეს. უკვე აღარც მახსოვს, მურთაზი რომ მქვია.

– მაინც რა ააგე ასეთი, საკუთარი სახელი რომ წაგართვეს? – ვეხუმრე.

მურთაზმა მინის საწმენდები ცოტა ხნით ჩართო და ისევ გამორთო. ახლა შევამჩნიე, რომ წვრილად თოვდა. ხათა აღაპარაკდა:

– შუადამისას ქირურგი მიმყავდა გამოძახებაზე. ვხედავ, შუა გზაზე რაღაც აგდია. მანქანა გავაჩერე, გადმოვედი, ვნახე, ბავშვის ქუდია. აი, ისეთი, მეზღვაურები რომ იხურავენ, ლენტეხიანი. გვერდზე გავიხედე, ხის ფოთლები ეყარა. ხევში გადავიხედე და ჯიბის ფარანი გადავანათე. ეტყობა, რაღაც მძიმე დაგორებულებო, ზოგი ხე წაექცია, ზოგიც გადაეტეხა, ერთგან მუხაზე დაჯახების კვალიც მოჩანდა. ქვემოდან მდინარის ხმაურში ადამიანის ყრუ ხმები ისმოდა. ქირურგი და მე ხელებით ერთმანეთს გადავებით და მდინარის ნაპირამდე ჩავგორდით. შენს მტერს, ჩვენ რომ იქ ვნახეთ. ავტომანქანა გულაღმა ეგდო. მდინარის პირას ხალხი ირეოდა, სამი მიწაზე იწვა გასისხლიანებული. გადარჩენილები ანგარიშმიუცემლად აქეთ-იქით აწყდებოდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. ქირურგმა დაშავებულები გასინჯა და ნება დართო, ზევით აგვეყვანა. თურმე მანქანაში ოცამდე პიონერიც ყოფილა, რაიონში კონცერტზე ჩასულან და უკან ბრუნდებოდნენ. მოსახვევში მძღოლმა იგრძნო, რომ მანქანა ვეღარ დაიყოლია და სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო, დიდ მუხას შეაჯახა. მანქანა წუთით შედგა. შოფერის დაძახილზე მასწავლებლებმა ყველა ბავშვი ძირს გადმოყარეს, მაგრამ თვითონ ვეღარ მოასწრეს: – მანქანამ თანდათან დაკარგა წონასწორობა, დაგორდა და მასწავლებლებიც გაიყოლია.

მდინარის მეორე მხარეს გავედი, მახლობლად მცხოვრებნი გავადვიძე. მაღე მთელი სოფელი ჩვენთან იყო. სახელდახელო ოწინარებით, მკლავის სიმსხო თოკებით და ჩემი მანქანით ავტომობილი გზაზე ავიტანეთ, პირველივე სახლის კარაპანში შევაგორეთ და იმ დამესვე შევაკეთეთ.

დილით მოსულ ავტონისპექტორს დავესაბუთეთ, რომ ავარია გაუთვალისწინებელი მიზეზით მოხდა. სამუხრუჭე მილი გასკდა, მძღოლმა მანქანა ვერ დაიმორჩილა, მოხერხებულად დიდ მუხას შეაჯახა და, რაც მთავარია, ბავშვები გადაარჩინა. მხოლოდ პედაგოგები დარჩნენ ძარაში და მსუბუქად დაზიანდნენ.

მძღოლი და ავტომეურნეობის დირექტორი დააჯარიმეს. მართვის უფლება არ ჩამოურთმევიათ.

– დიდ ხათას გადამარჩინეო, – რამდენჯერმე მითხრა ხალხში დაზიანებული მანქანის მძღოლმა და ეს სახელიც დამანათლა.

მურთაზი ამას რომ მიყვებოდა, გამახსენდა მსგავსი შემთხვევა, რომელიც ჩვენს ქალაქში მოხდა. გარეუბნიდან ვბრუნდებოდი, ერთ-ერთ მოსახვევთან წაქცეული, სახეგასისხლიანებული კაცი შევნიშნე, მას ხელი აეწია და შევლას ითხოვდა. გზიდან გადავიყვანე და მეზობელს სასწრაფო დახმარების გამოძახება ვთხოვე. წითელჯვრიანი მანქანის მოსვლამდე ექვსიოდე წუთი გავიდა. ამასობაში ათზე მეტმა მსუბუქმა ავტომანქანამ ჩაგვიქროლ-ჩამოგვიქროლა. ცხადია, ყველამ კარგად დაინახა გასისხლიანებული კაცი, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია აზრად, გაჩერებულიყო და, თუ არ დაეხმარებოდა, ამბავი მაინც გაეგო.

ადარებ ამ ორ ამბავს ერთმანეთს... მიხარია, რომ ჩვენს სოფელში „კაცი კაცითა“ ცხოვრობს. დიდება შენ, ქართულ სოფელს, ჩვენი კაცურკაცობისა და სინდის-ნამუსის საზომო!

– ამ კაცს ხომ ხედავ, – ჩაძინებულ თანამგზავრზე ვუთითებ, – ავადმყოფის არც ახლობელია და არც ნათესავი, უბრალოდ, მეზობელია, ასეთ ქარაშოტში ოცდაათ კილომეტრამდე გზა ფეხით გამოიარა და ალბათ, მზად იყო, უფრო მეტიც გაეველო.

– აბა, რა უნდა ქნას, – ხათას სრულებითაც არ გაჰკვირვებია, – მეზობელი თუ ნათესავი რას ჰქვია, კაცს უჭირს, ხელი უნდა შეუწყო. რა იცი, ხვალ შენ რა მოგივა. ამაზე გამახსენდა, მეც მქონდა ასეთი შემთხვევა, – მურთაზმა შემომხედა და შემატყო, რომ ამის მოყოლა აღარ იყო საჭირო. მე ჩემს გასაჭირზე ვფიქრობდი, მაგრამ ისტიბარი არ გაიტეხა, – შემდეგ მოგიყვებით, – თქვა და გაჩუმდა.

ცოტა კიდევ გავიარეთ და გზაზე ვეშაპივით გაწოლილ ქვალორდიან ზვავს მივადექით, „ვილისი“ გაჩერდა. ხათა გადმოსტა მანქანიდან.

– სამწუხაროდ, ამ ხათაბალისგან ვერ გიხსნით, – გვითხრა.

ჩვენც უხმოდ გადმოვედით მანქანიდან, მძღოლს გამოვემშვიდობეთ და ქვა-ლორღს ავუყვეით.

* * *

– ვიცოდე მაინც, რა სჭირთ იმ ბავშვებს, – მეგონა, გავიფიქრე, თურმე ხმამაღლა მითქვამს.

– მეზობლის ბავშვი ყელჭირვებით მოკვდაო, ასე თქვეს, ახლა გამახსენდა, ექიმო, – მეუბნება წინ მიმავალი მეგობარი.

„ესეც შენ! ყელჭირვება ხუნავი არ არის? დიფტერიტი“, – გამიელვა თავში. „ასე ეთქვა დროზე ამ მამაცხონებულს. სასულის მიღს მაინც წამოვიღებდი. რა უნდა ვქნა ახლა?“ – გავიფიქრე და თანაც გავბრაზდი, მაგრამ გამახსენდა,

რომ იქ ფერშალი მელოდებოდა. სახელდახელო მილიც შეიძლება ჩაიდგას, თუ საჭირო დარჩება.

„ხუნავი!“ – მიწივის ყურში და ჩემდაუნებურად ჯიბიდან ცნობარს ვიღებ. ძალზე მოკლედ ჩამიწერია მკურნალობის წესები. ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ვფიქრობ, იმ ცნობარს აჯობებდა მიხეილ ბულგაკოვის მოთხრობა „ფოლადის ყელი“ მქონოდა. რა დაწვრილებით არის აღწერილი ეს დაავადება, ოპერაციის ტექნიკა, ავადმყოფის მშობლებისა და თვით ექიმის განცდები...

* * *

როგორც კი სახლის მეორე სართულზე შევდგი ფეხი, ოთახიდან სტვენის მსგავსი სუნთქვა მომესმა. ბავშვის ხველება ფინიას ყეფას ჰგავდა. კარებთან შემოგებებული ფერშალი სხვა ოთახისკენ მეპატიჟებოდა, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, დიფტერიასთან გეჰქონდა საქმე, მაგრამ არ ვჩქარობდი, გულდასმით გასინჯვა იყო საჭირო. ოთახი თანდათან მეზობლებით გაივსო, მაგრამ ფერშლის გარდა ყველა დავითხოვე.

ხის ტახტზე გაშლილ ლოგინში ოთხიოდე წლის ლოყებფუნჩულა, ქერაკულულებიანი ბაია იწვა. დიდრონ თვალებში ექიმის დანახვის თუ დახრჩობის შიში დავინახე. წითელი ტუჩები სიცხისგან დახეთქოდა. ხშირი და სუსტი მაჯისცემა ძვლივს დავთვალე, კანი გამკრთალებულიყო და ნაზი სხეული ფანჯრის შუქზე სანთლით ჩამოსხმულს ჰგავდა. სუნთქვის დროს მკერდი ისე იზნიქებოდა, თითქოს ეს-ესაა ჩატყდებო. ბავშვი უძრავად იწვა, დიდრონი თვალები რომ დახუჭოს, იფიქრებ აღსასრული უკვე მოვიდაო. ამისთვის მხოლოდ წუთებია საჭირო. ვღელავდი, ფიქრისთვის დრო აღარ მრჩებოდა.

ყელში ჩახედვის მეშინია, ვიცი, რასაც ვნახავ. დრო არ ითმენს. ჩაის კოვზი მოვიმარჯვე და ბავშვს

სახე ფანჯრისკენ მივაბრუნებინე. წინდის ჩხირი თუ გატარდება ყელში, იგი თეთრი ნადებითაა ამოვსებული. ბავშვი დავაწვინე. ფერშალი თვალებში შემცქერის. მხერა გაეუსწორე და ახლა შევნიშნე მისი დაღლილი, ალბათ, რამდენიმე დღის უძილო თვალები. უსიტყვოდ მიმიხვდა სათქმელს და მითხრა ის, რაც ასე მაშინებდა – ტრაქეოტომი არა მაქვსო, თან ხელში მოსწავლის კალმისტარს ატრიალებდა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ ბედავდა. კალმისტარს ერთ ბოლოზე ფანქარი, მეორეზე კალამი ჰქონდა ჩამოცმული. მიხვდი რასაც ფიქრობდა. კალმისტარი გამოვართვი, ფანქარი და კალამი მოვაშორე და სინათლეზე გავხედე.

– ივარგებს? – მკითხა ფერშალმა.

– გაფხიკე, შუაზე გადაჭერი, სპირტით გარეცხე და სკალპელთან ერთად გამოხარშე, – ვუთხარი.

ოპერაცია კარგად ჩატარდა. აქ ნამდვილად გამომაღვა სტუდენტობის დროს ქირურგიულ კაბინეტში სანიტრად და ფერშლად მუშაობის გამოცდილება.

ოცი წუთის შემდეგ ბაიას სტვენა აღარ ისმოდა. დროდადრო თუ დაახველებდა, მაგრამ იგი ყეფას უკვე აღარ ჰგავდა. ამაზე იტყვიან, სულზე მიუსწრესო. „ფოლადის ყელი“ უნდა გაგვეკეთებინა და თუნუქისა კი გამოგვივიდა, მაგრამ ღირდა კი ფიქრი? ბავშვი ჯერჯერობით გადარჩა, მკურნალობა კი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს საავადმყოფოში.

ოდნავ დავმშვიდდით. თანაშემწემ მეორე ოთახში გამიყვანა და ახლა მომიყვა:

– პირველი ავადმყოფი აქვე, მეზობლად ცხოვრობდა, მასთან ერთი კვირის წინ მიმიყვანეს, მაგრამ დავაგვიანეთ, აღარც შრატის გაკეთებამ უშველა. სულ რაღაც ათ წუთში ბავშვი გაღურჯდა და უჰაერობით დაიხრჩო. მიხვდი, რაშიც იყო საქმე და სხვა ბავშვებისაგან განვაცალკევე,

გავუკეთე შრავი, მაგრამ, როგორც ხედავთ, შედეგი არც თუ ისე კარგია.

მეორე ოთახში უფრო პატარა, სამიოდე წლის პაციენტი დაგვხვდა. ყელიდან ნადები გამქრალიყო, ბავშვი შედარებით თავისუფლად, მაგრამ ხშირად და ზერელედ სუნთქავდა, სისხლის წნევა დაცემულიყო, გულის მწვერვალზე შუილი მოვისმინე, ეს იმას ნიშნავდა, რომ სენმა ერთ კვირაზე მეტია, რაც შეიპყრო პატარა...

– რა გქვია შენ? – აღერსიანად ვეკითხები. მელურჯებული ტუჩები ოდნავ შეირხა.

– ნია, – მესმის სუსტი ჩურჩული.

აშკარაა, რომ ნიას მძიმე გართულება ელის – მიოკარდიტი. საჭიროა აქტიური მკურნალობა, სახლში ამის საშუალება არ არის. ასეთ პირობებში ბავშვის დატოვება ძალიან საშიშია. ერთადერთი იმედი სასნეულოში გადაყვანაა, თუმცა ამ მანძილზე, ასეთ ამინდში ესეც სარისკოა, მაგრამ სახლში დატოვებაც არ შეიძლება, – ვამბობ და ყელი მიშრება, ლაპარაკი მიჭირს.

ბავშვის დედა ჯორჯოზე ზის, იდაყვებით მუხლებს ეყრდნობა, სახე ორივე ხელით დაუფარავს და ჩუმად ტირის. ჩემს ზურგს უკან მამა დგას, იგი ხმას არ იღებს, მაგრამ ვგრძნობ, რაც ხდება მის გულში. მოულოდნელად მისკენ მივტრიალდი, ავხედე, თვალიდან მსხვილი კურცხლები ჩამოუგორდა. ალბათ შერცხვა, ცრემლი თითით მოიწმინდა, ბრვე ტანიც თითქოს გამართა.

– ჩვენს მეზობელს რაც მოუვიდა, ისიც გვეყოფა, ექიმო. თუ საჭიროა, ახლავე წავიდეთ, – ამბობს თაყა, – აბა, მოვემზადოთ, – მიუბრუნდა ცოლს. – მანამ ექიმს საჭმელი მიართვით.

ხელი დავიბანეთ, ცოტა დავნაყრდით და სახლიდან გამოვედით.

* * *

თაყამ ავადმყოფების გადაყვანის საოცარი ხერხი მოიფიქრა. ბავშვები კარგად ჩაფუთნა და ხურჯინში აქეთ-იქით ჩასვა, ხურჯინის სარქველებს დახურვასაც აპირებდა.

– ბავშვებს ჰაერი არ მოაკლდეთ, – გავაფრთხილე.

თაყამ ხელში დიდი ქოლგა დაიჭირა, ბავშვები თოვლს რომ არ შეეწუსებინა.

მე და თაყა უნდა წავიდეთ. ბავშვების დედას ცოტა მოგვიანებით ჩამოიყვანენ მეზობლები. თითქოს ცამ პირი გახსნაო, ხელის გულისოდენა ფანტელები წამოვიდა.

– თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე საათში გზა ჩაიკეტება, ფეხით სიარული გაჭირდება, – უკანმოუხედავად მეუბნება თაყა.

– ვიჩქაროთ!

– ხომ არ გიჭირს თოვლში სიარული?

– მე სოფლელი ვარ, ასეთ თოვლში ფეხშიშველასაც მივლია და მთიდან ციგით შეშაც ჩამომიტანია, – ვეუბნები.

თაყა წინ მიდის, გზას მიიკვლევს, თოვლი თითქმის მუხლამდე სწვდება. თანდათან უჩქარებს ნაბიჯს. თოვა მატულობს, სოფელს გავცდით. თაყა ოდნავ დამშორდა. ირგვლივ ყველაფერი თეთრია, მუქად მხოლოდ თაყას ბრგე ტანი და მირათის ხევი, დაბლა, სადღაც გადასაკარგავში წვრილი, გველივით დაკლაკნილი მდინარე ჩანს.

დროდადრო ნაბიჯს ვაჩქარებ, თაყას ვუახლოვდები, ქოლგის ქვეშ ხურჯინში ჩაყუჟულ ბავშვებს ჩაეხედავ; ბაიას ჩაეძინა, ნიას ტუჩები უფრო ღურჯი მეჩვენება. მშობელს ვერაფერს ვეუბნები, არც თვითონ მეკითხება, შეუჩერებლად მიაბიჯებს.

გზის პირას ვეებერთელა ნაძვი დგას, ტოტები თოვლით დახუნძლულა და მიწამდე დაშვებულა. ტოტებქვეშ მიწა მშრალია. თაყა შეჩერდა, ერთი ტოტიდან თოვლი ჩამობერტყა

და ხის ძირას ხურჯინი ფრთხილად დადო. ჩამოფეკქით. საოცარი სითბო ვიგრძენი, თითქოს გარეთ თოვლი კი არა, პაპანაქება სიცხე იყოს. ბაიას კვლავ სძინავს, სუნთქვა ხრიალს ჰგავს. ნიას წავხედე, თვალები მოუღუღლავს, მაგრამ არ სძინავს. ხელი დავიზილდე, გავითბე და ყელს ქვემოთ ჩავაცურე. ხელის შეხებაზე ბავშვი შეკრთა, მაგრამ არ უტირია. გულისცემა კიდევ უფრო აჩქარებულა, ფარულად ვღელავ, არ მინდა თაყამ გამიგოს. „ნუთუ საავადმყოფომდე ვერ ჩავიყვანთ?“ – საზარელი ფიქრი მიპყრობს. ჯიბიდან სტერილურ შპრიცს ვიღებ, ბავშვი ხურჯინიდან ამომყავს, ტანზე უფრო მოხერხებულ ადგილს ვეძებ ინექციისთვის. ბეჭს ქვემოთ სხეულს ვაშიშვლებ და მხარზე კარდიამინი შემყავს. ნია ოდნავ შეკრთა და წამოიკენესა.

– გადარჩება, ექიმო? – ვეღარ შეიკავა თავი თაყამ.

– როგორ ვითხრა, ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ და ველოდოთ. მოსალოდნელია ბედნიერებაც და ფათერაკიც. ცუდზე ვიფიქროთ, რომ მოულოდნელი არ იყოს, ვაი-ვიში საქმეს ვერ უშველის, – ვამბობ და ჩემი სიტყვების თვითონ არ მჯერა.

თაყას მშობლის წინათგრძნობა კარნახობს, რომ საქმე ცუდადაა. ასეთი სიტყვებით მისი გამხსნევება ადვილი არაა. სჯობს სხვა თემაზე ვისაუბროთ, იქნებ ოდნავ მაინც დაივიწყოს მოსალოდნელი უბედურება.

ნაძვს ტოტები ირგვლივ ქოლგასავით აქვს ჩამოფარებული. ერთგან, სადაც თაყამ ჩამოფერთხა, ტოტი აწეულია და ბუნებრივი ფანჯარაა წარმოქმნილი. აქედან შეგიძლია ცასაც ახედო და მდინარის გაღმა სოფლებიც დაინახო. წამით მავიწყდება ყველაფერი და ბუნების სილამაზე მიპყრობს. ციდან მილიონი ფანტელი მოდის და უჩუმრად ეცემა ძირს. ირგვლივ დამატრობელი სიჩუმეა, ხეები თოვლით დაყურსულან. მართლაც, რა ლამაზია აქ ზამთარი, თბილი, უქარო, წყნარი. სურვილი მიპყრობს,

ასე, ხის ძირას ვიჯდე, ბუნებას ყურს ვუგდებდე და ვოცნებობდე. გაღმა სოფელია, სახლებიდან კვამლი ამოდის, ისე ვერ გაიგებ ცხოვრების ნიშან-წყალს, ყველაფერი გადათეთრებულია. მას მე ვხედავ ალბათ, თაყას პატარების ხიხინი ესმის მხოლოდ. მისი ერთადერთი საფიქრალი ესაა. ცოტა უნდა გავუნელო დარდი, მისი ფიქრი სხვა საგანზე გადავიტანო.

გამახსენდა, სადღაც გაღმა ერთი ვაკის სახელი თამართან არის დაკავშირებული. ისიც ვიცი, თაყა ისტორიას რომ ასწავლის საშუალო სკოლაში.

– აი, იმ ადგილის სახელი თუ გახსოვს, თაყა? – ვაკისკენ გავიშვირე ხელი.

თაყამ ჯერ მე შემომხედა, მერე ვაკეს გადაავლო თვალი, ისევე ჩემსკენ მობრუნდა. მგონი გუჟანით ხვდებოდა ჩემს გულისთქმას. მწარედაც არ გალიძებია. ოდნავ ლოყა აუთრთოლდა.

– ამ ადგილას, – დინჯად დაიწყო, – ძველად ტბაც ყოფილა. ცელის ტბას ეძახდნენ, თურმე. ამბობენ, თამარ დედოფალი ზამთრობით სხვაგან იყო, ზაფხულობით კი აქ ჩამოდიოდაო. რაჭის ერისთავებმა, კახაბერიძეებმა, ღალატით ორი ძმა ჭყონდიდელი რომ დახოცეს, თამარი იმ დროს აქ ყოფილა, ხუთივე ძმა კახაბერიძეები აქ ჩამოუყვანია, გაუსამართლებია და კავიანის ციხეში ჩაუსვამს, შემდეგ კი საბერძნეთში გაუძევებია. ეს მამაჩემს მისმა ას წელს გადაცილებულმა ბაბუამ უამბო. ამაში დავრწმუნდი, როცა „ქართლის ცხოვრება“ წავიკითხე და იქ ვნახე თამარის „ჭალასა დგომა“. ახლა ამ ვაკეს თამარჭალა ჰქვია.

თაყას მშვიდმა საუბარმა განმაცვიფრა, თვითონაც იგრძნო, რომ კვლავ სიამოვნებით მოვუსმენდი, მაგრამ ბაიას ხველამ შეგვახსენა, რომ დრო არ ითმენდა.

დიდი დავა დამჭირდა, ერთი ბავშვი ჩემთვის გადმოეცა. როგორც იქნა დავიყოლიე, უფრო მსუბუქი და პატარა

ნია შემხვდა. თაყამ პიჯაკი გაიხადა, შეფუთულ ნიას შემოვახვიეთ, თავიც დავუფარეთ და ავიკიდე. მაღე ზურგზე ვიგრძენი, რაღაც ზეადამიანური სითბო, ბავშვის სითბო. თაყა კვლავ წინ მიდის, ახლა უფრო მსუბუქად მიაბიჯებს.

თოვა არ წყდება, ოდნავ კიდევ ქრის. რაც უფრო ქვემოთ ვეშვებით, ქარი ძლიერდება, სამაგიეროდ, თოვლის სიმაღლე მცირდება. ხეებიდან თოვლი ცვივა, ამიტომ თაყა ცდილობს ხის ქვეშ არ გაიაროს. წყაროს მივადექით. წყალი გზაზე დაფენილიყო და თოვლი ვედარ იმაგრებდა თავს, დნებოდა. ამდენ ხანს თოვლში ნავალს, მიწაზე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა რაღაც მემსუბუქა. ჩამოვჯექით, წყარო თბილი მეჩვენა, ამჯერად ბავშვები ზურგიდან არ ჩამოგვისვამს, ბაიას გადავხედე, „თუნუქის ყელი“ კვლავ უსიამოვნოდ, მაგრამ ზომიერად და რითმულად ხროტინებდა. ნიას მხოლოდ ცხვირი და ტუჩები უჩანს, მოღურჯო ტუჩები. ვაკვირდები, ხშირად ზერელედ სუნთქავს. ვგრძნობ ჩემს უმწეობას, ალბათ სახეზეც მემჩნევა წუხილი. ახლა თაყასაც ვეცოდები, ალბათ.

– ესეც ჩემი ბედისწერა იქნება, – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, – იცი, ექიმო, – გააგრძელა მცირე დუმილის შემდეგ დაბალი ხმით, – აქ ათასზე მეტი ბავშვი და ქალი დაიდუბა ერთ დღეს. თურმე ამ ხვეით უმოგზაურია მონგოლთ ხანის მოქიშპე ნოინს – თეგუდარს. იგი ჯერ ხანს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და ჯინალის მთას შეეხიზნა. მღევარი წამოეწია. თეგუდარი უკუიქცა, მაგრამ უბედურება ამით არ დამთავრებულა. ამ ხეობაში ლტოლვილი თეგუდარის ლაშქარი და მათი ოჯახი დედაბუდიანად ზვავმა მდინარეში ჩაჩუქრა.

თაყას მადლობა ვუთხარი, მივხვდი ჩემს დასამშვიდებლად რომ გაიხსენა ეს ძველი ამბავი. წამოვდექი, თვალი ხევს გავაყოლე და გავიფიქრე: „პეი შენ,

მირათის ხევი, რამდენ მტერსა და მოყვარეს უვლია შენს კალთებზე, რამდენი ამბის მომსწრე ხარ!”

ქარი ძლიერდება. ვატყობ ხელები მეთოშება, ახლავა გამახსენდა, რომ ხელთათმანები დამვიწყებია; მარცხენა ხელი პალტოს ჯიბეში ჩავიდე, მარჯვენით კი ნია მიჭირავს. გზას ვაგრძელებთ, თოვლი საგრძნობლად შეთხელდა, მაგრამ სუსხიანი ქარი სახეში გვცემს. ნია ზურგს მითბობს. ალბათ მეც ვათბობ მის ციციქნა სხეულს. მარჯვენა ხელი მეყინება. იგი ნიას ფეხზე მაქვს შემოჭდობილი. ბავშვს დაზღის მაღალყელიანი წინდა აცვია, ხელი წინდის ქვეშ ჩავაცურე, ნია შეკრთა ცივი ხელის მიკარებაზე, უხმოდ ბოდიშს ვუხდი და ვეფერები. ფაფუკი ფეხი ცხელია, მაღე ხელიც გათბა, ახლა მე ვედარ ვგრძნობ ფეხის სიცხელეს, ალბათ ნიასაც აღარ აწუხებს ხელის სიცივე.

გზას გავეყურებთ, ცოტაც და „ვეშაპს“ მივადგებით. გზას კიდევ მომატებია ტალახისა და ღორღის მდინარე. გაგვიძნელდა, მაგრამ როგორც იქნა, გადავედით, წელამდე ტალახში ამოსვრიდნი. გავივაკეთ, გზაზე თოვლი თითქმის აღარ არის, შვება ვიგრძენით, მაგრამ ჩემი ტვირთი რაღაც მემძიმა. ნიას მივუხედე, ტუჩები მოკუმული და გამკრთალებულია. შევჩერდი, გამახსენდა, ხელი დაზღის წინდის ქვეშ რომ მქონდა. ელდა მეცა, თბილ ხელში ნიას ფაფუკი, მაგრამ გაყინული ცივი ფეხი მეჭირა.

* * *

„ერთხელ დაბადებული ერთხელ მოკვდებისო“, – უთქვამთ ბრძენკაცებს. „ექიმი იმდენჯერ კვდება, რამდენი ავადმყოფიც მოუკვდებაო“, – ესეც ხომ გაგიგონიათ. დიახ, იმ დღეს ჩემში ერთი უხილავი ძარღვი გაწყდა და სიცოცხლე შემიმცირა. აკი ექიმები სხვებზე ათი წლით ნაკლებს ცოცხლობენ, მაგრამ თუკი ეს პროფესია აირჩიე,

საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვებს გაუხანგრძლივე სიცოცხლე; „დაიწვი, რათა სხვებს უნათებდე“, – თქვა ვანტიულპმა.

* * *

მეგობარმა ვაჟის ქორწილში დამპატიჟა, როცა ყველა სტუმარი მიუსხდა სუფრას, მასპინძელმა დიდი ყანწი აიღო, ყველა მათგანს მადლობა გადაუხადა მობრძანებისა და ოჯახის ბედნიერებაში მონაწილეობისთვის და თამადად დამასახელა.

ამას არ მოველოდი. თამალობა, ისიც ქორწილში, სახუმარო საქმე არაა, მაგრამ უარის თქმა აღარ შეიძლება. წამოვდექი, მეგობარს მადლობა გადავუხადე და ახალგაბედნიერებულებს მივუახლოვდი. დედოფალმა თვალი გამისწორა. გული შემიქანდა.

– შენ ის ბაია ხარ?

პასუხის ნაცვლად მან თეთრი, ქათქათა კაბის მაღალი საყელო ოდნავ ჩამოიწია, ლამაზ ყელზე პატარა ნაწიბური აჩნდა. თავი უხერხულად ვიგრძენი: „აი თურმე რატომ ამირჩიეს თამადად“, – გავიფიქრე.

– ნეფემ იცის? – გახუმრება მოვახერხე.

– ვიცი – დამიდასტურა ნეფემაც და ორივემ ისეთი ბედნიერი თვალებით შემომხედეს, რომ უხერხულობა გაქრა. წყვილს ვეამბორე და მიჩნეული ადგილისკენ გავემართე.

1972

შეხვედრა

– უჰ, რა თბილია წყალი! – ზღვაში ფეხების ჩაყოფისთანავე წამოიძახა ტანსრულმა მოხუცმა, რომელსაც გალიფეს ბოლოები მუხლებამდე აეკეცა, ჩექმები და ხალათი კი იქვე სრეშზე დაელაგებინა.

– შენ მაი ნიკოლოზის დროს გენახა, რა თბილი იყო, – უპასუხა დონკისოტივით ტანხმელმა და გრძელუღვაშა ბერიკაცმა. მის დანაოჭებულ სახეს მელასავით ეშმაკი და ცელქი თვალები თავისებურ ცხოველმყოფელობას მატებენ. ამას წელზევით უკვე გაეხადა ყველაფერი, ახლა კოჭებთან ნიფხვის ზონრებს იხსნიდა და თან ეშმაკურად იღიმებოდა.

– როგორ, ძამიკო, ზღვაც შეიცვალა? – ქვედა ყბა ჩამოუშვა მოსაუბრემ.

– მარტო ზღვა კი არა, მიწაც, წყალიც, სიმიწიცი, პურიც, – არ ცხრებოდა გამხდარი მოხუცი, – არ გახსოვს პური რანაირი იყო, როგორი სუნი ჰქონდა?

– აბა, კაცო, – დაემოწმა მეგობარი.

– კი შეიცვალა, ბიძიებო, პური და მჭადი. სწორია. მაშინ რომ მოდიოდა, ახლა ორი იმდენი მოდის. აბა რაფერ გინდათ, მჭამელები სამჯერ მეტი გვყავს, – შეეხმიანა შუახნის კაცი, რომელსაც შავი საბანაო კოსტიუმში ეცვა, სრეშზე გაწოლილიყო და ტანი მზისთვის მიეცხუნებინა. ერთ დროს მხარზე სვირინგი ჰქონია, შემდეგ კანი ამოუჭრია, მაგრამ „რამინი“ მაინც იკითხება.

– შენ პურის გემო მითხარი, ბიძიკო, რავა, ისეთივე გემრიელია ახლა?

– კია, ბიძია, კი. ახლა ბევრი გვაქვს, სხვა საჭმელიც გვაქვს და ასე იმიტომ გვეჩვენება. აბა ერთი მაშინდულად მოგშივდეს და ნახავ რა გემრიელი გახდება ეს შენი უგემური პური, – თქვა რამინმა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

– ახლა რას იტყვი, – მიუბრუნდა ტანსრული მოხუცი მეგობარს, რომელსაც ნიფხავი წვრილი წვივებიდან მუხლებამდე აეწია და ახლა ზევით, ბარდაყებისკენ ექაჩებოდა.

– აპა, პა, პა, პა, მაგას ვერავინ დამაჯერებს. კაი, ბატონო, გემო შეიძლება იგივეა, მარა სუნს რა ვუყოთ, აგერ მიღმა მაღაზიაში, სულ ახალი, ცხელ-ცხელი პური რომ მოაქვთ და სუნი არ გცემს, რაშია საქმე? – არ ცხრებოდა მოხუცი.

რამინი მთელი ტანით გადმობრუნდა, ახლა მზეს გულ-მუცელი მიუშვირა, ორივე ხელი იდაყვებში მოხარა და თვალები მოიხრდილა.

ერთხანს სამივე ღუმდა.

მერე რამინმა მკლავები ხრემზე დააწყო და მოხუცებს გადმოხედა.

– აბა სუნიც შეიცვალა, ბიძია? – იკითხა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო გააგრძელა, – მომისმინეთ და მაგ პურის სუნზე მოგიყვებით.

* * *

მამა რომ გადაასახლეს, ხუთი შვილი, ერთიმეორეზე პატარები დედის, წერა-კითხვის მცირედ მცოდნე ქალის ამარა დარჩა. ისიც, როგორც იტყვიან, წელზე ფეხს იდგამდა და ცდილობდა შვილებისთვის ლუკმა გაეჩინა. პირველ ხანებში ძალიან გაუძნელდა, მაგრამ, როცა უფროსი გოგო-ბიჭი წამოეზარდა, ისინი დედას მხარში ამოუდგნენ და ცოტა შეიმსუბუქა ცხოვრება. მეზობელ-ნათესავებიც ეხმარებოდნენ. ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ კმაყოფილი იყო. უფროსმა ბიჭმა სამსახური დაიწყო. უცებ სტუმარი რომ მოსვლოდა, როგორც იტყვიან, ქალი ხელს არ მოიჭამდა, შვილებიც პატიოსნად

იზრდებოდნენ, ისეთ სწორ გზას ასწავლიდა, სიბერემდე რომ გაჰყოლოდათ.

ცხოვრების, სიცოცხლის შიში დედას მაინც არ განელებია, იცოდა, რომ საკმარისი იყო ერთი ცხოვრებისეული ბიძგი და ყველაფერი დაინგრეოდა – ასეთი რწმენა ჰქონდა რატომღაც. ბედმა ესეც გამოაცდევინა, ომი გაჩაღდა, ახლა ყველას უჭირდა, დახმარების იმედი აღარავისგან იყო და სხვისი ბაწრით ჭაში აღარ ჩაისვლებოდა. რა გაეწყობოდა, საკუთარი სიმინდი და ლობიო, რძე და კარტოფილი უნდა იკმარონ მთელი წელი. დიახ, სამასსამოცდახუთ დღეზე უნდა განაწილდეს მთელი მოსავალი, შემდეგ ყოველდღიური ულუფა ექვსად უნდა დაიყოს და ის მეექვსედი უნდა იყოფინონ დედამაც და შვილებმაც. მეექვსედი ნაწილი კი იცით რა იყო? სამი ლუკმა მჭადი, ან ერთი ცალი კარტოფილი, ან ერთი ნაჭერი მოხარშული ხაპი, ან ხუთი-ექვსი კოვზისპირი მარაგიანი ფხალი.

დედა ექვსად ისე დაანაწილებდა ულუფას, სასწორით შეიარაღებულ აფთიაქარსაც შემწურდებოდა. აბა რომელი შვილი შეიძლება მოიძულო, ყველაზე უმცროსი მაინც მეტად ებრალებოდა და სხვებისგან ფარულად თავისი ულუფიდან ცოტას იმას დაუმატებდა, ბავშვებს ეს არასოდეს დაუნახავთ, მაგრამ გუმანით ხვდებოდნენ და ზოგჯერ თვითონაც უწილადებდნენ პატარას თითო ლუკმას.



ეთერი

ერთ დღეს საოცარი ამბავი მოხდა, უმცროსი და ეთერი ავად გახდა. ისეთი ცხელება ჰქონდა,

რომ გონებაც დაებინდა. ჰოდა, ამ დროს და-ძმებისგან შეუმჩნევლად, პატარა ბიჭი ავადმყოფ დასთან შეპარულა და მჭადის ციციქნა ნატეხი მის თავთან დაუდვია, თვითონ მთელი დღე მშვიერი დარჩენილა.

* * *

„ზოგი ჭირი მარგებელია“. ამ ჭირმა ახალგაზრდები ერთმანეთისთვის თავდადებულ, გამტან და კაცთმოყვარე ადამიანებად დააყენა. ეს ჭირი ვინც გამოსცადა და ბოლომდე გაუძლო, იმისგან მხოლოდ კარგს უნდა ელოდე. თუმცა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ იმ შიმშილის დაღვიწყება ერთობ ძნელია.

პურიც ცხვებოდა, განა არა. სასოფლო საბჭოს ცენტრში იყო ერთადერთი ფურნე, იქ აცხოვდნენ და ტალონებით ურიგებდნენ მუშა-მოსამსახურეებს, ვისაც მიწის ნაკვეთი არ გააჩნდა. უმცროსი ბიჭი ჩამოსულა აქ, რაიონიდან მოტანილი ფოსტის წასაღებად. ფოსტას შეაგვიანდა და ბიჭებიც, იქვე, ეზოში ლაზღანდარობდნენ. ფეხზე არც ერთს არ ეცვა და ადვილად შენიშნავდა ადამიანი, ყველას ტერფის ზურგი დახეთქილი რომ ჰქონდა, ტანზე შემოხეულ-დაკერებული შარვლები და პერანგები ეცვათ, ამდენ ბავშვში ერთსაც ვერ ნახავდით ტანსრულსა და მსუქანს, ყველა ზომაზე მეტად გამხდარი, მზისგან შერუჯული, მაგრამ რაღაცნაირად ფერმიხდილი იყო.

უცებ საიდანღაც საოცრად საამო პურის სუნი მოვარდა. ბავშვები ადგილზე გაქვავდნენ, თითქოსდა, ახლა გაახსენდათ შიმშილი. შეწყდა ურიაშული და... ჯერ ერთი ბავშვი წაღასლასდა, მას მალე მეორე მიჰყვა, მეორეს – მესამე და ორიოდ წუთში აქ მხოლოდ ფოსტალიონი ბიჭი იდგა. იგი უმალ შეცვლილიყო და აჩრდილს დამსგავსებოდა. საშინელი დაღლილობა და თავის

ტკივილი იგრძნო, მუცელში თითქოს რაღაც ჩაწყდა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო. სული ეხუთებოდა, ტანშიც შეაქრჟოლა, თავბრუ დაესხა და თვალები მილულა. კიდევ კარგი, რომ დიდხანს არ გაგრძელდა ეს ტანჯვა, როგორღაც ძალა მოეცა, წელში გაიმართა და ანგარიშშიმუცემლად ისიც ბავშვებისკენ წავიდა.

* * *

მადახიაში უჩვეულო ფუსფუსი და მოძრაობაა. გარეთ გამოსულებს ხელში შუაგატრილი, ან მთელი, ან კიდევ ორი ცალი ახლად გამომცხვარი პური ეჭირათ. ბიჭები მადახიაში შესულან და ერთ კედელთან დამწკრივებულან. პატარა ფოსტალიონი მარტოდმარტო გარეთ კარებთან ატუზულა. იგი უფრო მეტად იქცევეს ხალხის ყურადღებას.

– შენ ვისი ხარ, ბიძიკო, – შუა ხნის მაღალი კაცი წელში მოიხარა და ბიჭს ხმადაბლა შეეკითხა. ბიჭმა მამის სახელი უთხრა.

კაცი წამით ბიჭს დააკვირდა, შემდეგ მადახიაში შევიდა, ხალხში გაერია.

იმის აღწერა შეუძლებელი იყო, შიმშილით როგორ იყვნენ გათანგულნი კედელზე მიყრდნობილი ბიჭები. პურის ნაჭრით ხელში ვინმე დახლს რომ მოსცილდებოდა და კარებისკენ წავიდოდა, მათი ფართო თვალები ისე შეთანხმებულად აცილებდნენ მას, თითქოს საინტერესო სპორტული შეჯიბრება მიმდინარეობს და ბურთს ადვენებენ თვალსო.

ამასობაში ის მაღალი კაციც მოშორდა დახლს, ხელში თავსახურიანი კალათი ეჭირა, იგი გარეთ გამოვიდა, პირდაპირ ფოსტალიონთან გაჩერდა და კალათიდან ერთი პური ამოიღო.

– აი, ეს წაიღე სახლში, ბიძიკო, – უთხრა ბიჭს და ცხელი პური მიაწოდა.

ბავშვს სახე წამოუწითლდა, კედელს მთელი ტანით კიდევ უფრო მიეკრა, მკლავები ზურგს უკან დამალა, თითქოს ეშინოდა ხელში ძალით არ ჩაეჩარათ სულისშემძვრელი სურნელის მქონე ეს მიწის მადლი. უარის თქმა დააპირა, მაგრამ პირიც ისე გაუშრა, ენა ვედარ მოაბრუნა.

– აიღე, ბიძიკო, – გაუმეორა ღვთისსიერმა კაცმა და პური უფრო ახლოს მიუტანა.

ბიჭს მზერა პურისკენ გაექცა და შენიშნა, რომ კაცს საჩვენებელი თითის წვერი მოჭრილი ჰქონდა.

– არ მინდა, ბიძია, – ძლივს გასაგონად თქვა და ძღვენს თვალები მოარიდა.

კაცმა კალათი ძირს დადგა და ბავშვს თავზე დაადო ხელი.

– წაიღე ბიძიკო, მე სხვა არა ვარ, – კვლავ უთხრა და ახლა მკლავზე მოკიდა ხელი.

– არ მინდა, ბიძია, არა, – აიღეწა ბიჭი, მკლავი ხელიდან გამოსტაცა, ტუჩები აუთრთოლდა, თვალები აუწყლიანდა და უხმოდ ატირდა.

კაცმა პური კალათის სახურავზე დადო და იქვე ქვაზე ჩამოჯდა. ბავშვს თვალს ვედარ აშორებდა. ისიც თითქოს კედელზე მიღურსმულიაო, ადგილიდან ვერ იძროდა, თავი დაეხარა და სახე აღარ უჩანდა, მკლავით თვალებიც დაეფარა და სახელმოდცვეთილ პერანგს ცრემლებით ასველებდა.

„შენი ცოდვა იმას, ვინც უმამოდ დაგტოვა. სამართალი თუ არსებობს, ღმერთმა პურიც უნდა ანატროს და შეილიც, ასეთ დღეში რომ ჩაგვიყარა ბავშვები. შიმშილით როგორ არიან დაოსებული, ლანდებს დამსგავსებულან, მაგრამ როგორ აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი სიამაყე და თავმოყვარეობა,“ – ფიქრობდა კეთილი კაცი.

წამოდგა და კვლავ ბიჭთან მივიდა, თავისი გვარ-სახელი უთხრა. მკლავი გვერდზე გააწვევინა და პური იდღიაში ამოუღო. ბავშვიც აღარ გასძაღლიანებია.

ბიჭები სახლისკენ ბრუნდებოდნენ. ხუთთაგან მხოლოდ ერთს ეჭირა ხელში პური. შუა გზაზე იგი გაჩერდა, ერთ თანმხლებს ჯაყვა გამოართვა, პური შუაზე გადაჭრა, ნახევარი ზურგჩანთაში გაზეთებთან ჩადო, ნახევარი ოთხ ნაწილად დაჭრა და ბიჭებს დაურიგა. და იცით რა მოხდა? შიმშილით ძალაგამოლეულთაგან პურზე არც ერთს პირი არ დაუკარებია. ზოგმა ჯიბეში ჩაიტენა, ზოგმა შქერის ფოთლებში შეახვია და შინ წაიღო.

* * *

ფოსტალიონი სახლში შევიდა, ზურგჩანთა მოიხსნა, იქიდან პური ამოიღო და თაროზე შემოღო. დედამ ნარცხით სავსე ქვაბი ჯაჭვიდან ჩამოიღო, ძირს დადგა და თვალი თაროს ჰკიდა.

– რაა, ბიჭო, მაგი! – ჰკითხა შვილს.



ბათუმელ ბავშვებთან. 1966 წ.

- პურია, დედა...
- ვხედავ რომ პურია, ვინ მოგცა, სად გქონდა ტალონი, ფული, ახლავე უკან წაიღე, - გაუწყრა ბიჭს.
- არა დედა, მე ერთმა კაცმა...
- რაო, - გადაირია ქალი, - მათხოვრობა დაიწყე? ახლავე დაუბრუნე!
- დედა, მისმინე, - ამშვიდებდა ბიჭი, - მამაშენის ძმობილი ვარო, - კაცის გვარი დაუსახელა.
- ქალს ხელეები ჩამოუცვივდა, ჯორკოზე ჩამოჯდა და ამოიოხრა.
- მაინც არ უნდა წამოგეღო, შვილო, ყველას თავისი სარჩენი ჰყავს. თუმცა შენი რა ბრალია, - თქვა და საქმე გააგრძელა.

* * *

მოხუცებს თავი ჩაეკინდრათ. რამინმა პაექრობა მოგებულად ჩათვალა და გვერდზე გადაბრუნდა. გამხდარ მოხუცს თავი მაღლა აეწია. სახე ეშმაკურად აღარ უღიმოდა. გამოხედვაც თითქოს უფრო მშვიდი და სვედიანი ჰქონდა.

- გეთანხმები, ბიძიკო, - დაარღვია დუმილი მან, - რაც თქვი, ყველაფერი სწორია, მაგრამ მაშინ უაზოტო პური და მჭადი გვქონდა. ამაში მაინც ხომ ვარ მართალი, - თქვა და გაიღიმა.

გვერდით მჯდომ მოხუცს თავზე ხელი შემოუდგამს. ფიქრებში ჩაძირულა. რამინმა გადმოსხედა. ახლად შენიშნა, რომ მოხუცს საჩვენებელი თითის ბოლო ფალანგი მოკვეთილი ჰქონდა. ის მამამისის ძმობილი და მისი ძველი ნაცნობი ყოფილა.

1987

მორალი

საავადმყოფოს შესასვლელთან მძღოლმა შავი „ვოლგა“ თოხარიკ ცხენივით მიაგდო. მანქანიდან სამი, ზორბა მამაკაცი გადმოვიდა. ერთერთი მათგანი სარკმელთან მივიდა, რაფაზე ტორები დათვივით დააწყო და მორიგეს რიხიანად გადასძახა:

– გაგვიღე კარი!

სარკმელში მოხუცი კაცის სახე გამოჩნდა.

– რა დროის კარის გაღებაა, შვილო, თორმეტი სრულდება, – უპასუხა სტუმარს.

– ავადმყოფმა თერთმეტი და თორმეტი არ იცის, გაგვიღე კარი, ბავშვს ვნახავთ და წავალთ, – ხმას აუმაღლა კაცმა და ავადმყოფის გვარი დაუსახელა.

– ვერ გაგიშვებთ, – კვლავ მშვიდად უპასუხა მოხუცმა, – ავადმყოფებს სძინავთ, თქვენ მესხიშვილის ნახვა გსურთ, იმ პალატაში კი ოთხი სხვა ავადმყოფია.

– ფული რომ მოგცე, ხომ გაგვიშვებ! – მიახალა მორიგეს მეორე კაცმა.

– რაო, რაო? – შეკრთა მოხუცი და სარკმელს ოდნავ მოშორდა, თეთრი ხალათის ქვეშ, პიჯაკზე ჯილდოების ნიშნები გამოუჩნდა, – რა მკადრეთ, ბიჭებო! – ხმა აუთრთოლდა მოხუცს და თვალები აუწყლიანდა.

– რა გკადრე და რაც საჭიროა. – უკან არ იხევდა დათვისტორება, – აჰა, აიღე და გაგვიშვი ავადმყოფთან! – თუმნიანი სარკმელში შეაგდო.

მოხუცი მოცველილივით ჩაეშვა სკამზე, ერთხანს ხმა არ ამოუღია, შემდეგ გონს მოეგო, თუმნიანს დასწვდა, ზიზღით შეხედა, მერე აკანკალებულ ხელში მომუტა და სარკმელში მოისროლა, სახელურს მისწვდა, სარკმელი მოხურა და ჩაკეტა.

გარეთ ზორბა ბიჭების ხორხოცი ისმოდა. ისინი არ შორდებოდნენ საავადმყოფოს შესასვლელს. მორიგემ თავზე ორივე ხელი შემოიკრა და ფიქრებს მიეცა.

„შეხედავ, კაცებს გვანან, ნუთუ არ ესმით, რომ ყველა დაწესებულებას თავისი წესი და კანონი აქვს. ფულით შეიძლება კანონიც იყიდო? ფულის ხათრით ოთხი მძინარე ბავშვი დააფრთხო? როგორ გამიბედეს უცნობ კაცს ასეთი შეურაცხყოფა. ნუთუ ამისათვის ვიბრძოდი ამ აბედიტ ოთხ წელს, ამას უნდა ვიმკიდე? მაგრამ იქნებ ვინმე მართლაც არღვევს წესებს ფულისთვის. ასე რომ არ იყოს, ამ ხნის კაცს ამას ვერ გამიბედავდნენ“.

ყველაფერი მიწყნარდა. მოხუცს ეგონა წელანდელი მნახველები წავიდნენო, მაგრამ ისინი კვლავ ალაპარაკდნენ.

– რა ფეხზე ვართ დღეს გამოსული?

– შავ ფეხზე. – მოკლედ მოუჭრა ამფსონმა. – ჯერ იყო და უფროსმა ახლოსაც არ გაგვიკარა.

– აბა კაცო, კაბინეტში რომ მივედეთ, შეიძლება ცოტა მოგვერჯულებინა.

– რის კაბინეტი, რა კაბინეტი, აგერ ჩაჩანაკი მოხუცისთვის ვერ მოგივლია, – გაცხარდა მესამე, – ავადმყოფთან რომ შევსულიყავით, ცოლს ვეტყოდით ორ სიტყვას.

უეცრად საავადმყოფოს ეზოში სირენის ხმა გაისმა, ამას თეთრხალათიანი თანამშრომლების ფუსფუსი და ჩოჩქოლი მოჰყვა. ასეთი რამ აქ ჩვეულებრივია, და მოხუცმაც დინჯად გააღო ჭიშკარი, ათიოდე წუთში იგივე სირენის ხმა ქუჩიდან მოისმა. ავტომანქანა ახლა ეზოში შემოვიდა, მაგრამ თეთრხალათიანთა ფაციფუცმა კიდევ უფრო იმატა.

მოულოდნელად ადგილობრივი რადიო ახრიალდა და მიკროფონში გაისმა დიქტორის ხმა: „ყურადღება, ყურადღება! მძიმე ავადმყოფის, ოთხი წლის მესხიშვილის

სიცოცხლე საფრთხეშია, სასწრაფოდ საჭიროა მეოთხე ჯგუფის სისხლი. დონორობის მსურველს ვთხოვთ გამოცხადდეს მიმღებ განყოფილებაში. ვიმეორებ...“ და დიქტორმა რამდენჯერმე გამოაცხადა ის, რაც ჩვეულებრივ ყველა წესიერ კაცს აღუძრავს ადამიანის გადარჩენაში მონაწილეობის სურვილს.

მოხუცმა სარკმელი გამოაღო და თვალი ეზოს მიმოავლო. წელანდელი სტუმრები გულდასმით ისმენდნენ ადგილობრივი რადიოს განცხადებას. შემდეგ დარაჯმა კარიც გააღო, ზღურბლზე გადააბიჯა და დაინახა თითო-თითოდ როგორ შელაგდნენ მკლავმსხვილი და ბეჭებგანიერი ვაჟკაცები შავ „ვოლგაში“, ძრავა ჩართეს და საბურავების ღრჭიალით იქაურობას სწრაფად გაეცალნენ.

დიქტორი კვლავ და კვლავ უხმობდა დონორს, მაგრამ ჯერჯერობით მსურველი არ ჩანდა. „აი თურმე როგორი ჭირისუფლები ყოფილან, გეგონება, პარხალს გადააბრუნებენო და როგორ დედღურად გაიპარნენ, ამათგან რა უნდა გეწყინოს.“ – გაიფიქრა მორიგემ და კარები უნდა მოეხურა, მაგრამ მაღალი, ჭადარაულვაშა კაცი მიუახლოვდა და შესვლა ითხოვა.

– მეოთხე ჯგუფის სისხლი მაქვს, ვთხოვთ ამიღოთ. – მიმართა იქვე მდგომ მედიცინის დას.

– მობრძანდით, ბატონო, – ხელი მოკიდა გოგონამ, – აი, ამ ოთახში შემობრძანდით, – მიუთითა იმ კარებზე, რომელსაც „სისხლის გადასხმის განყოფილება“ ეწერა.

* * *

მეორე დღეს, დილის ხუთწუთიან შეკრებაზე მორიგე ექიმი დამსწრეთ მოახსენებს:

– მორიგეობის დასაწყისში ჩავიბარე 60 ავადმყოფი, ამათგან ერთი, ოთხი წლის მესხიშვილი მძიმედ იყო. დამის თერთმეტ საათზე მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ავადმყოფს განუვითარდა მწვავე ანემიის აშკარა ნიშნები. აუცილებელი იყო თბილი მეოთხე ჯგუფის სისხლი. თანამშრომლებს შორის ასეთი არავის აღმოაჩნდა. შემთხვევით ეზოში მყოფმა ხარაძემ მოგვცა ორასი გრამი.

– ხარაძეს რა ჰქვია? – სწრაფად შეაწყვეტინა სიტყვა მთავარმა ექიმმა.

მორიგე ექიმმა ჟურნალი გადაშალა და ფურცელს თვალი მოავლო.

– ალექსანდრე. – იყო პასუხი.

მთავარი ექიმი წამოდგა. სახე გაუფითრდა და კვლავ სავარძელში ჩაეშვა.

– ეს რა გიქნიათ, ალექსანდრე ხარაძეს სისხლი როგორ აუღეთ, იმას ხომ სისხლის წნევა დაბალი აქვს. ასეთი შეცდომა როგორ მოგივიდათ, როგორ?!

მორიგე ექიმს ხმა ჩაუწყდა.

– ჩვენ ჩვეულებრივი ანამნეზი შევკრიბეთ, ბატონო ვახტანგ, რამდენჯერმე გავუმეორე დაესახელებინა გადატანილი ან ამჟამად არსებული დაავადებები, ყველაფერზე უარყოფითი პასუხი მოგვცა, სრულიად ჯანმრთელი ვარო.

– მერე საკმარისია, წნევა არ უნდა გაგეზომათ? – ვერ დაწყნარდა მთავარი ექიმი.

უსერხულმა სიჩუმემ დაისადგურა.

– ეს ისეთი კაცია, ბატონო, არ შეიძლება არ ენდო, – ცოტა ხანს იყუჩა მორიგემ, – ბევრი მოფიქრების დროც არ იყო, ბავშვი გვეღუპებოდა, – იმართლა თავი.

– ახლა როგორ არის ბავშვი? – ოდნავ დაცხრა ვახტანგი.

– სისხლის გადასხმისთანავე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ბავშვს მთელი დამე ეძინა, დილით ასაუზმეს, ახლა კი ლოვინში სათამაშოებიც მოითხოვა.

ტელეფონის ზარი გაისმა.

– გისმენთ! რაო, როდის? ახლავე მოვდივარ.

– ყურმილი დადო და სწრაფად წამოდგა.

– ბატონო აკაკი, – მიმართა განყოფილების გამგეს, – წავედი, რეანიმაციის განყოფილებაში აღექსანდრე ხარაძე მოიყვანეს, – თქვა და ჩქარი ნაბიჯებით კარებისკენ გაემართა.

1987

ნახტომი ტიბაშუა

ბიჭმა ორფეხა გოდორი ზურგიდან მოიხსნა, ძირს ჩამოდგა, თივის ბულულთან მიაჩონა და გადმოაპირქვავა. ცოტა სული მოითქვა, თივის ფანტელები ფეხით მისწი-მოსწია და გოდორთან მიჯდა.

– ნანუნა, აუ, ნანუნა! – ზემოდან გაისმა გოგონას ხმა.

ბიჭს ბულულები ეფარებოდა. სანამ უპასუხებდა, გოგომ ხმას მოუმატა.

– ნანუნა, სადა ხარ, ბიჭო!

– აქა ვარ, საქინე, რა იყო, რა გაკივლებს.

ნანუნა წამოდგა და აივანს ახედა. მოაჯირზე გოგო ისე ანცად გადმოკიდებულყო, იფიქრებდი, სადაცაა გადმოვარდებო.

– დედამ თქვა, თივას თავი დაანებოსო. ნიაზი და სირმა ბათუმში წასულან, გაღმა გავიდეს და ამაღამ ბავშვთან დარჩესო.

– მერე ამდენ ბალახს სახლში ვინ ამოზიდავს, ნიაზ-ბიძასთან შენ წადი, მე ამას მივხედავ, – ურჩია ნანუნამ.

– დედამ რაც გითხრა, ის გააკეთე! – ბრძანებასავით ესროლა საქინემ, მოაჯირს მოშორდა და სახლში შევარდა.

ნანუნა კვლავ ჩამოჯდა და არემარეს გახედა. მზის მეწამული სფერო ზღვის სარკისებრ ზედაპირზე იჯდა და ნაპირისკენ ცეცხლის ისრებს გზავნიდა. ბიჭი წამოდგა, გოდორი ბულულთან მიაგლო და ქვემოთ დაეშვა.

აქ მდინარე ტიბაშია, მორაკრაკე ნაკადული. მიუახლოვდა თუ არა, ადგილიდან მოსხლტა და წყალს ნახტომით ზემოდან გადაეველო, მერე წუთით უკან მოიხედა, თითქოს თვალებით ზომავდა რამოდენაზე გადავხტო. ეს ნახტომი პირველი არ იყო, ბიჭმა აღმართი შეირბინა და ლახური სახლის ეზოს ჭიშკარი შეადო.

* * *

გუშინდელი დადღილობისგან ღრმად ჩაძინებული ნანუხა კარის ჭრიალმა გამოადვიდა. ლოგინში წამოჯდა, ცოტა გაიზმორა, ძიქვა შარვალში ორივე ფეხი ერთდროულად გაუყარა და სხარტად წამოდგა. ღია კარებში სირმა და ნიაზი გამოჩნდნენ, ბათუმიდან დაბრუნებულიყვნენ. იმათ ეგონათ ბიჭს სძინავსო და ფრთხილობდნენ. ამასობაში ნანუხამ ფეხსაცმელიც ჩაიცვა და ახლა პერანგის ღილებს იკრავდა.

– წავედი ბიცოლა! – თქვა და ისე სწრაფად გავარდა, რაიმეს კითხვაც ვერ მოასწრეს.

– ბიჭო, ხევის მაინც გეჭამა, – მიაძახა სირმამ, მაგრამ ნანუხა ამ დროს ფორთოხლის ბაღს ჩაცილებული იყო.

სინჯარის გამო ბიჭმა ველარ შენიშნა, ტიბაში ცხვირწინ რომ იყო. შეჩერდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და გარბენისთვის მოემზადა. ის-ის იყო მიწას მოწყდა, მაგრამ ვიღაცის მძლავრმა ხელმა ადგილზე გააქევა.

– Куда ты бежишь – შეეკითხა უცნობი.

ნანუხამ მისი ხელი მკვეთრი მოძრაობით მოიშორა და ახედა. სამხედრო მოსამსახურე იყო. თავზე მომწვანო, წინაფრიანი ქუდი ეხურა. თეთრი გიმნასტურა ეცვა, სახელოზე პატარა, მოგრძო მწვანე ფერის ხავერდის ნაჭერი ჰქონდა მიკერებული. წელზე ბრტყელი ქამარი ერტყა, რომელზეც მარჯვნივ ნაგანის ბუდე ეკიდა, ლურჯ გალიფეს მუხლებქვემოთ კრიალა შავი ჩექმები ფარავდა.

ნანუხა მდინარისკენ გაიწია, მაგრამ იარაღასხმულმა კაცმა ახლა მკლავი მოიგდო ხელთ და უკან მოქანა.

– Туда нельзя, – უთხრა გაკვირვებისა და შიშისაგან გაოგნებულ ყმაწვილს.

ნანუხას სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდა, ერთხანს იფიქრა, მდინარეზე გადახტომას მიშლისო, მაგრამ მიხვდა, რომ იქით საერთოდ არ უშვებდნენ.

– მე სახლში მინდა წავიდე, – ამის თქმადა მოახერხა, სცადა ხელი გაეთავისუფლებინა, მაგრამ იგი უცნობ ძიას ისე ეჭირა, თითქოს მარწუსებში მოექცაო.

– Возвращайся обратно! – ახლა უფრო მკაცრად უთხრა სამხედრომ, ხელი უშვა და ბიჭს მთელი ტანით წინ გადაუდგა, თითქოს ყმაწვილს საკუთარ სახლზე თვალის შევლების უფლებაც აღარ ჰქონდა.

– რა გინდათ ჩემგან, ბიძია. მე გაღმა ვცხოვრობ, ჩემს სახლში მივიღივარ, ჩემ დედასთან, – ბიჭის ხმაში შეწუსებაც და მუდარაც იგრძნობოდა.

– Нет, нельзя, – ცივად უთხრა კაცმა. ორივე ბეჭზე ხელი მოკიდა და ზურგისკენ მიაბრუნა, – Вон туда иди! ხელით ნიახის სახლზე ანიშნა.

ნანუჩას თვალები აუწყელიანდა და ფეხების თრევით ბიძამისის სახლისაკენ მიმავალ გზას აუყვია.

ბიჭი სამზადეოში შევიდა და უსიტყვოდ ბუხართან მიჯდა.

ნიახს ტანზე გამოეცვალა, ახლა კედელზე დაკიდულ კალენდარს ფურცლავდა. რაღაც წაიკითხა, მერე ერთი ფურცელი მოხია და ბუხარში ისროლა. ფურცელი აფრიალდა და ნანუჩას ფეხებთან დაეცა. ბიჭმა აიღო:

1937 წლის 15 თებერვალი – მსხვილი ასოებით ეწერა.

* * *

კაცი ტკეჩით მოქსოვილ სავარძელში ზის, აივნის მოაჯირზე ხელი მოუვლია და სავარძელს აკვანივით არწევს.

ქვემოდან მუეძინის გაბმული ეზანი გაისმა. იგი მორწმუნეებს შუადღის ღოცვაზე მოუხმობდა. კაცი მოაჯირს მოეჭიდა, ოღნავ წამოიწია და მინარეთს გადახედა. მრგვალ აივანზე, მინარეთს ქამარივით რომ ერტყა წელზე,

უწინ შეუძინიც გამოდიოდა. ახლა სადღაც მაგნიტოფონის ლენტი ბრუნავს და არემარესაც მისი ხმა ედება. კაცმა თვალი ქვემოთ ჩააყოლა. ზღვის პირას მინდორში, მდინარის ორივე მხარეს, ახლად აშენებული სახლების წინ, გაღმა-გამოღმიდან ჯერ თითო-ოროლა კაცი მოვიდა, მერე სხვადასხვა ფერისა და მარკის მსუბუქი მანქანები გაჩერდა, ცოტა ხანში ავტობუსის მთელი კოლონა შემოვიდა და იქაურობა ხალხით გაივსო.

– ჯონი! – შვილს გასძახა კაცმა ისე, რომ ხალხის ჯგუფებისთვის თვალი არ მოუშორებია.

აივანზე ოციოდე წლის ახალგაზრდა გამოვიდა.

– დაბლა ჩამიყვანეთ! – უთხრა მამამ.

– დაბლა? – გაიკვირვა ახალგაზრდამ.

– კო, დაბლა! – ისევ გაიმეორა კაცმა.

ბიჭმა ჯერ მამა შეათვალიერა, მერე ქვემოთ გადაიხედა, მზერა კვლავ მამისკენ მიმართა. ორმოც წელზე მეტი გავიდა, ომი რომ დამთავრდა და ქვემოთ კი არა, ეზოშიც იშვიათად გადიოდა. რახანია ყავარჯნები გადაყარა, პროთეზები გაიკეთა, მაგრამ სიარული ვერ შეძლო, იმის ჭრაჭუნსაც ვერა და ვერ შეეჩვია.

რამდენჯერ გადადგამს ფეხს, იმდენჯერ თავიდან ახსენდება ყუმბარების გრიალი და ისევ ასტკივდება დაკარგული ფეხები.

– ტანზე გამომიცვალეთ! – უთხრა შვილს.

ბიჭმა დედა შემოიყვანა, ახალი კოსტიუმი და ფეხსაცმელი ჩააცვეს და ეზოში გაიყვანეს. შემდეგ მეზობლის ბიჭებმა სავარძლიანად ხელში აიტაცეს და ქვემოთ დაეშვნენ.

* * *

ტიბაშზე ფართო ხიდი აუგიათ, გაღმა-გამოდმა ხალხის ტევა აღარაა, ხეებზეც კი ასულან. ქალაქიდან მოსული ჟურნალისტები მესაზღვრეთა სათვალთვალთ კოშკიდან იმზირებოდნენ. იქიდან ხელისგულივით მოჩანს ყველაფერი.

ხიდის აქეთა მხარეს მწვანეკუდიანი სამხედროები ჩამწკრივებულან.

ბიჭებმა მესაზღვრე ოფიცრის წინ შეაჩერეს სავარძელი, ნაომარმა კაცმა ცივად ახედა თავზე წამომდგარ ლეიტენანტს და თვალებით შეეკითხა, ახლა რას მეტყვიო.

– Пожалуйста, проходите, – მოკრძალებით თქვა სამხედრომ და დასახმარებლად სავარძელს ხელი მოავლო.

მწკრივი გაიშალა, ხალხის ჯგუფიც გაიწ-გამოიწია. ბიჭებმა ამ შეხვედრის უჩვეულო მონაწილე მოაჯირთან დასვეს.

ამ დროს მის წინ, სულ ოთხოდე მეტრის დაშორებით, შუა ხიდზე ლენტი გააბეს და მიკროფონი დადგეს. მალე ამ ადგილს ორივე მხრიდან დარბაისელი მამაკაცები მიუახლოვდნენ. ესენი ორი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მათ ჯერ ლენტი გაჭრეს, შემდეგ მიკროფონში რიგრიგობით გაისმა მისასალმებელი სიტყვები და იმის აღიარება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხიდის გახსნას.

ორივე მხრიდან ტაში გაისმა.

თითქოს ამას ელოდნენ, გაღმა-გამოდმელები ადგილიდან ზღვასავით დაიძრნენ, ხალხი აირია.

ჟურნალისტებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, კოშკის კიბეები სწრაფად ჩაირბინეს და ხალხის აბობოქრებულ ჯგუფს შეუერთდნენ. შემდეგ თანდათანობით გაიკვლიეს გზა და ხიდს მიუახლოვდნენ.

რაც აუწერელი რამ ხდებოდა: ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა ერთმანეთს ეხვევა, ზოგი აღფრთოვანებულია, ზოგი ტირის, ზოგიც ჩუმად იცრემლება.

– რით გამოი, ჭო! – ეკითხება ერთი დამხვედური თავისიანს.

ის ჯერ დაფიქრდა და გაუბედავად უპასუხა:

– ისინი არაბაით წამოვდენ, მე ციდან ჩამოვდი.

მოსაუბრე მიუხედა, ეს ხუმრობა რომ არ იყო და გადაეხვია.

– ჰაეროპლანით დავჯექით, – დააზუსტა სტუმარმა.

ყველამ ნახა თავისიანი და შეხვედრის პირველი განცდებიც თითქოს ერთგვარად დაცხრა.

– ნანუჩაა! – გაისმა ამ დროს... გაღმა სარფიდან შავკაბიანი ქალი მორბოდა. იგი ხილთან მოიჭრა და სავარძელში მჯდომ ძმას გადაეხვია.

– აქა ვარ, საქინე, რა გაკივლებს, გოგო, – აქვითინდა კაცი და წყლიანი თვალებით მიაშტერდა თმაგაჭაღარავებულ დას.

– შენ გეგონა ვერ გხედავდი? იქაც გხედავდი აივანზე, ბიჭებმა ეს შენი სკამი რომ წამოიღეს, მეც გამოვიქეცი.

– ამას თუ მოვესწრებოდი აღარ მეგონა.

– ხომ ხედავ, მოვესწარით, მარა რაღაი... – საქინეს მზერა შორს გაექცა, ერთხანს იყუჩა, – ჩვენებსაც მოსწრებოდათ აი დღე, რა იქნებოდა, თვალები უძებნიდენ შენს თავს...

1988 წლის 31 აგვისტო იღვა...

3060

ბავშვობაში მშიშარა ვიყავი და ამას თავისი ახსნა ჰქონდა. ოთხი წლის ასაკში მამა „ხალხის მტრად“ შერაცხეს და დააპატიმრეს. მას შემდეგ მთელი დრო ოჯახმა შიშსა და ციმბირში გადასახლების მოლოდინში გაატარა. დიდი ამბების (რომლის ბევრი არაფერი გამეგებოდა) შიში ბავშვის შეგრძნებაში ალბათ პატარა შიშებშიც გადაიზარდა. დედა სულ ჩამჩინებდა:

– ბიჭი ხარ, გაიზრდები, დავაუკაცდები, ბავშვობაში მშიშარა რომ იყავი, შეგრცხვება, არაფრის არ შეგეშინდესო.

არ ვიცი, დედას სჯეროდა თუ არა თავისი ნათქვამისა, მაგრამ აშკარაა, ჩემს გამხნეებასა და გულად ბიჭად გაზრდაზე ოცნებობდა. დარიგება თავდებოდა სიტყვებით: ყოველთვის ფრთხილად იყავიო. დედას სურდა უშიშარი და მამაცი, მაგრამ საზრიანი ბიჭი ჰყოლოდა. ერთხელ შემეკითხა:

– ყველაზე მეტად რისი გეშინია?
– ფუტკრისა და ბზიკის, – ვუთხარი.
– ფუტკარი და ბზიკი, თუ არ გააბრაზებ, ან ხელს არ აუქნევ, არაფერს დაგიშავებს. კიდევ, კიდევ რისი გეშინია?
– ჩამეძია დედა.

– კიდევ... – დავფიქრდი – ყურბელისა. მიწაზე არ ვწვიები.

– რატომ, დედა?
– ბევრი ფეხები აქვს, ყურში რომ შემიძვრეს?
– არა, დედი, მაგას ისე ამბობენ, თორემ არაა საშიში. ყურში ყველას ჩექა, წუმწეუბა გვაქვს და ყურბელას იმის სუნის ეშინია. თუ მაინც დააპირებს და აგაცოცდება, გაიგებ და ხელით მოიშორებ.

– მართლა? – გამიხარდა, – მაშინ მიწაზეც წამოვწვიები.

– კი, დაწევი, მაგრამ თუ ცივა, ან მიწა სველია, საშიშია, სენს აიკიდებ. თანაც ფრთხილად იყავი სხვა მწერები არ შეგესიონ.

შიშთან ერთად ალბათ გადაჭარბებული შეცოდების გრძნობაც გამოიმძეავდა. ეზოში ქათამს თავი რომ წააცალეს და მოლზე დააგდეს, სისხლმა იფეთქა; მაინც აფრინდა და დაეცა, ისევ ააფრიალა ფრთები, იწვალა და იჯახხირა, მთელი ეზო სისხლით მოირწყო. მას შემდეგ, სანამ დაგკაცდებოდი, ამ თავსაკვეთს ვერ იდებოდი. აღარაფერს ვამბობ ცხვრის ან ხარის დაკვლაზე. ეს ჩემში საშინელ განცდას იწვევდა.

ნამდვილი ველურობა იყო პირუტყვის დაკოდვა, სანამ ფეხებს შეუბორკავდნენ, რაოდენ იტანჯებოდა. შემდეგ რაღაც ბლაგვი დანით გაჭრიდნენ და ამოგლეჯდნენ კვერცხებს...

ერთ დღეს ფერმაში ათეულობით ასეთი უმოწყალო ოპერაცია ჩაატარეს, ჯერ ხარები დაკოდეს, შემდეგ ვაცებზე გადავიდნენ, დიდსა და პატარას არ არჩევდნენ.

ერთი ულამაზესი თმაქონორა მამრი ბეკეკა ერია ჯოგში. ბავშვებს ის განსაკუთრებით გვიყვარდა და ვეფერებოდით. მარილს და ნორჩ ყლორტებს ვაჭმევდით. ისიც მოგვეჩვია და დანახვისთანავე ჩვენსკენ მოისწრაფოდა.

იმ დღეს პირუტყვი საგანგებოდ შემოდლობილ ჩიხში შეემწყვდიათ. დაკოდილები გომურში გადაჰყავდათ. ჩიხში მათი რიცხვის შემცირებამ ჩვენ შეგვაშფოთა. მალე ქონორასაც მისი უფროსების ბედი ელოდა.

მეზობლის ბიჭმა ყურში ჩამწურჩულა:

– წამო, ქონორა გამოვიყვანოთ.

ჩიხს მეორე მხრიდან მოვექეცით და მესრებს შორის ყველაზე დიდი ღია ადგილი შევარჩიეთ. ბიჭმა ჯიბიდან მარილი ამოიღო, პეშვი ღობეში შეჰყო და დაუძახა:

– ქონორა, ქონორა!

არ ვიცი იმ ორომტრიალში ჩვენი ფრთხილი ხმა როგორ გაიგონა, მაგრამ ფიცხლად შემობრუნდა და ჩვენსკენ გამოიქცა. ბიჭმა მარილი აჩვენა, ისიც მესერში ნახევრად გამოძვრა, დანარჩენი ჩვენ უნდა გვექნა. ქოჩორა ხელში ავიტაცეთ და დაღმართზე დავეშვიოთ, შემდეგ სოფლის დეღე გადავკვეთეთ და სიმინდის ყანების გავლით უახლოეს ტყეს შევეფარეთ.

აქედან კარგად ჩანდნენ პირუტყვის ჩიხიც და იქ მოფუსფუსე ხელებდაკაპიწებული ბეთლებიც. სანამ ისინი თავის საქმეს არ მოათავებდნენ, რამდენიმე საათს ველოდით. ჩიხი დაცარიელდა, შებინდდა კიდევ და ჩვენ იმავე მალული გზით ქოჩორა ჩვენს ბოსელში გადავმალეთ, ბალახ-ბულახით და მარილით მოვამარაგეთ.

ამასობაში დამკოდავი ფერშლებიც სოფლიდან წავიდნენ. ახლა ჩვენს მეგობარს აღარაფერი ემუქრებოდა. ვაცებში გავუშვიოთ და აღარც ვინმეს შეუმჩნევია, რომ ჩვენს ქოჩორას ყველაფერი თავის ადგილას ჰქონდა. თანდათან იგი კიდევ უფრო დამშვენდა, რქებიც წამოეზარდა, მალე არვემიც გაერია და „გოგოებსაც“ ეტანებოდა.

ფერმის გამგეს უკვირდა, როგორ გადამირჩა ეს ერთადერთი ვაცი მაშინდელ სისხლისდვრასო, მაგრამ დიდად არ სწყენია. პირიქით, როცა საჯიშედ ვაცის მოყვანა შესთავაზეს, აღარ მჭირდება, ჩემნაირი ვაცი მთელს ხეობაში არავის ჰყავსო, უთხრა.

ქოჩორა დიდხანს იყო ჩვენი სოფლის არვეს მრავალცოლიანი ბელადი, იალაღებზე წასულ ნახირსაც წინ რქებგადაგრეხილი ჩვენი მეგობარი ამაყად მიუძღოდა.

* * *

ქოჩორაზე გრძელი თხრობის შემდეგ ისევ შეცოდების გრძნობას ვუბრუნდები. სოფელში მოღზე სიარულის დროს სულ იმას ვფიქრობდი, რომელიმე სულდგმულს

ფეხი ხომ არ დავადგი-მეთქი. არადა ხშირ ბალახებში ყველაფერი დალოღავდა: ჭიაყელები, ჭიანჭველები, ხოჭოები და ვინ იცის რა.

მწყემსობაც მიხდებოდა და მაშინ უფრო გულმოდგინედ ვაკვირდებოდი ნამცეცა არსებებს. ნახირი სოფლის თავში, ღორექედის გაშლილ ველებზე გაგეყავდა საბალახოდ. მწყემსობა ბევრად არც სჭირდებოდათ, ამიტომ თამაშით ვერთობოდით, ან როცა მოგებეზრდებოდა, ბალახზე წამოვწვებოდით და ჩვენს იარაღს, წკეპლას გვერდზე მოვიდებდით.

ეს უბრალო წკეპლა არ გეგონოთ. იგი ნეკერჩხლისაა, ზამბარასავით მოქნილი და ბევრნაირად გამოსადეგი. ვხმარობდი ჯოგის გასარეკად, ხის ტოტიდან ნაყოფის ჩამოსაგდებად. ზოგჯერ წვეროს პატარა ჩანთას მივაბამდი, შიგ კენჭს ჩავდებდი, მოვხრიდი, ნაყოფს დავუმიზნებდი და გავისროდი. წკეპლას სახელურთან ნახვრეტი ჰქონდა, მკვრივი ბაწრის რგოლით. ამ რგოლით ხმალივით მეკიდა წელზე.

მოღზე მწოლიარეს, თუ ყური მიწას ეხება, თითქოს მთელი დედამიწის ხმა გესმის, რაღაც ყრუ სიღრმიდან ამომავალი, ეს კი მგონი არაფერია, უბრალოდ სიჩუმე გესმის.

მინდორში ეულად მდგომი პანტა მსხლის ძირას, ხშირ ბალახებში წამოწოლილს იშვიათად ხარის ბუღრაგ-ბღავილი მიფრთხობდა რულს, ერთხანს ძროხების ძოვის ხმა მესმოდა, თანაბარხმოვანი, პატარა ნამგლით ბალახის ჭრას მიაგავდა ეს ხმა. დიდხანს ვუგდე ყური, ჩამთვლიმა. ახლა ყურთან ახლოს რაღაც ძალზე ჩუმი ფაჩუნი მომესმა. წამოვიწიე, ძროხები ჩემგან შორს იყვნენ. რა მომესმა? ბალახები გადავწი-გადმოვწიე და მოძრავი სხეული დავინახე, წაგრძელებული ტანით ხოჭოს წააგავდა. დავაკვირდი, ექვსი ფეხი დავითვაღე. ერთ

ფეხს, დანარჩენისგან განსხვავებით, ტანიდან უჩვეულოდ განზე მიათრევედა, ალბათ ტკიოდა, ხშირად ჩერდებოდა და ადვილად გასასვლელ გზას ეძებდა, მაგრამ სად მიდიოდა? მისი ფეხის მორჩენა ვის შეეძლო?

თვალს არ ვაშორებდი. ერთ მხარეს წასული ისევ მობრუნდებოდა და ახლა სხვა მხარეს აგრძელებდა გზას. უნდომი ფეხი სულ ერთ პოზაში ჰქონდა. დავრწმუნდი, ჩემი მოულოდნელი სტუმარი კოჭლი ხოჭოა.

რამდენჯერმე წკეპლის წვერით გზას რომ გადავუღობავდი, შეჩერდებოდა, ჩემს „ღობეს“ თავს აარიდებდა და ახლა სხვა გზით იწყებდა ცოცვას, მაგრამ მაღე ისევ მობრუნდებოდა და კვლავ წკეპლის წვერს მიადგებოდა. ამჯერად შეჩერდა, ადგილიდანაც აღარ იძვროდა. თითქოს ჩაეძინაო. დიდხანს შევცქეროდი და მომეჩვენა, რომ მტკივანი ფეხი უთრთოდა. კიდევ უფრო კარგად დავაკვირდი. ხოჭოა ჩვეულებრივი, ლამაზი აგებულების პატარა რუხი ფრთებით. თავზე ორი ნემსის მაგვარი რქები წამოზრდია.

– ფეხი გტკივა? – ვეკითხები.

არ იძვრის. ერთი რქა გვერდზე გადასწია, მგონი ისიც მიცქერს.

– აბა ახლა აქეთ წამოდი – ხმას მოვუმატე.

ოდნავ ფრთები შეარხია და შემობრუნდა ისე, რომ ერთხანს ფეხი ადგილიდან არ მოუცვლია. მერე ცოტა გაიარა კიდევ, მაგრამ ისევ შემობრუნდა და წკეპლის წვერთან შეჩერდა.

თავი გამარჯვებულად მივიჩინე, დავიჯერე, რომ მას ჩემი ესმის. ახლა მის თავს უფრო კარგად დავაკვირდი. ორი მბრწყინავი წერტილი შემომცქეროდა, წამოდგომა დავაპირე, ისე, რომ მასზე მზერა არ მომიშორებია.

– წავიდე? – ვეკითხები.

თითქოს მის თვალებს ბრწყინვა მოაკლდა, მოიწყინა.

– კარგი, არ წავალ – ვუთხარი მე და ისევ იდაყვს დავეყრდენი.

ჩვენი შეგრძნებები ერთმანეთს შეერწყა. მგონი იგიც მიმიხვდა, რომ მასთან დამეგობრება მსურდა. თანდათან ერთმანეთს გავეუგეთ, ოდნავ ხელის შეხებაც გავბედე. ამ დროს მისი რქები ერთმანეთს უახლოვდებოდა და ზოგჯერ გადაეხვეოდნენ კიდევ, თითქოს სიამოვნებდა ჩემი შეხება.

დღეში ორ-სამჯერ ვნახულობდი. ვგრძნობდი, რომ უხაროდა ჩემი მისვლა. სულ იმაზე ვფიქრობდი, აქ რატომ შემოაფარა თავი, ამ ბალახებში განსაკუთრებული არაფერი იყო, როგორ ძღვებდა მარტო, რას ჭამდა. ერთხანს მჭადის ფუნჩხის მიწოდება მინდოდა, მაგრამ შევშინდი, იქნებ აწყინოს – მეთქი და ამ განზრახვაზე ხელი ავიდე.

თვალეებში კვლავ წელანდელი ციმციმი დავინახე.

შებინდებამდე ორჯერ ვნახე და სულ ვუცქეროდით ერთმანეთს, მაგრამ დადგა დრო, როცა ჩემი ნახირისთვის უნდა მიმეხედა.

– არ მოიწყინო, მე ისევ მოვალ. ხვალ გნახავ, აქვე დამხვდი – ვუთხარი და კვლავ მის თვალებს მივატეხე მზერა. თუმცა ციმციმი ვეღარ შევნიშნე, ეტყობა ეწყინა ჩემი წასვლა. აღბათ შებნელებამაც თავისი ჰქნა... მაგრამ ეს რაა? თავი მიწამდე დაეუშვი და მისი გულ-მუცლიდან ნათება შევნიშნე.

ციცინათელა არ ყოფილა?

ერთხანს გაშტერებული ვუცქეროდი ამ უცნაურ არსებას. წასვლა მინდა, მაგრამ მეშინია არ დამეკარგოს. ჩემი წკეპლა აღარც შემირხევია, სახვალიო ნიშნად იქვე დავტოვე. აქ უნდა მოვიდე და ჩემი ახალი ნაცნობი მოვიკითხო.

* * *

- დედა, ბაღასებში ციცინათელა ვნახე - მივახარე.
- ციცინათელას ბაღასებში რა უნდა, ბიჭო - გაიკვირვა დედამ.
- ფეხი ტკიოდა და ძელივს დალოდავდა.
- ციცინათელა ხომ გინახავს, შვილო, დამდამობით ფრენს, ხიდან ხეზე გადადის, მაგრამ თუ რამე დაუზიანდა, ალბათ ფრენაც უჭირს და ხეზე ასვლაც.
- ფეხი მოურჩება? - მე ჩემი საზრუნავი მაწუხებდა.
- რა ვიცი, შეიძლება მოურჩეს კიდევ. თუ გაინტერესებს მერის კითხე - მის წიგნებში იქნება.



მერი

შუათანა დას მერის ზოლოგია ნასწავლი ჰქონდა, მაგრამ ზეპირად ვეღარ გაიხსენა და ჩემი თხოვნით თავიდან ბოლომდე გადაიკითხა მწერების ბიოლოგია. მისი წაკითხულიდან დავიმახსოვრე:

- ციცინათელები მთელ ქვეყნიერებაზე ცოცხლობენ, მაგრამ ისინი სხვდასხვა ზომის და აგებულებისანი არიან. მამრს დიდი თავი და მძლავრი ფრთები აქვს, მდედრს კი პატარა ფრთები. თურმე უცხო ქვეყნებში

ციცინათელებით გავსებული ლამპარით ოთახსაც კი ანათებენ, ინდოელები ციცინათელას ფეხის ცერზე მიიბამენ და სიბნელეში ამით იკვლევენ გზას. მექსიკაში ქალები თმებში და ტანსაცმელზე იმაგრებენ და ისინი დამე ისე ციმციმებენ, რომ ძვირფასი თვალისგან ვერ გაარჩევ. მეგობარი მდედრი და მამრი ხიდან ხეზე გადადიან და

ერთმანეთს ნათებით ნახულობენ, ისინი მცირე ხმებსაც გამოსცემენ, რომელსაც თავზე წაზრდილი რქებით იჭერენ.

მათი ნათება ნამდვილი ზეიმია და ხეებზე რამდენიმე დღეს გრძელდება. ამ დროს მათ არ ეშინიათ ქარისა და წვიმისა. ციციანთელების შვილები ზამთრობით ქვაქვეშ ან ხის ფესვებში ცხოვრობენ და ლოკოკინებს ჭამენ. გაზაფხულდება და ისინიც შეუერთდებიან მშობლების ნადიმს.

ჩემს ციცი (ასე შევარქვი) პატარა ფრთები აქვს, ის დედაა და ახლა ფეხი სტკივა, ვერც ხეზე ავა და ვერც იფრენს. რა უნდა ვიღონო? ჩემი დის ნათქვამში ფეხის მორჩენაზე არაფერი სწერია. ვინ იცის მას შვილები ჰყავს და აი იმ პანტა მსხლის ფესვებში ბინადრობენ, მისი მეუღლე კი სადღაც დაფრინავს, ანათებს, ეძახის და ეძებს ციცის.

* * *

აღიონზე ჩვეულებრივზე ადრე გავრეკე ჩემი ნახირი, მეზობელ ბიჭებსაც კი არ დავუცადე. მეჩქარებოდა ჩემი ფეხმტკივანი ნაცნობის ნახვა.

წკეპლა გაუნძრევლად ეგდო პანტის ძირას, გამეხარდა, არავის წაუღია. დავიხარე, ბალახები გადავწიე. ადგილი მეცნო, მაგრამ ციცი იქ აღარ დამხვდა. გული დამწყდა. ნუთუ წავიდა და არ მობრუნდება, ან იქნებ რომელიმე მტაცებელმა ჩაყლაპა? ტირილს ბევრი აღარ მაკლდა. ცოტა ხანს იქვე ვიბორიადე. ნიშანი მის ადილას დავტოვე და ჩემი თხა-ცხვრისკენ გავწიე, მაგრამ სული პანტა მსხლის ძირთან მეწეოდა. მალე მოვბრუნდი და იმ ადგილს მივაშტერდი, სადაც ჩემი ნაცნობი მეგულებოდა.

თვალეებს არ ვუჯერებდი. თითქოს მელოდებოდა. ბალახის ძირებიდან გამოცოცდა და ჩვეულ ადგილას

შეჩერდა. მე მისკენ დავიხარე, მომეჩვენა რომ გაბრწყინებული თვალებით მიცქეროდა – მასაც უხაროდა? ფრთებს არხევდა, თითქოს აფრენას აპირებო.

– როგორ გაათენე ღამე, ფეხი ისევ გტკივა? – ვეკითხები.

მისი ერთი რქა შეირხა, მაგრამ მე არ ვიცი ეს რას ნიშნავს.

– ფეხი გტკივა? – გაეუშეორე.

რქა ისევ შეირხა – „მტკივალ“, ალბათ მითხრა.

მეორე დღეს ასევე ვისაუბრეთ, მაგრამ მისი მტკივანი ფეხი ისე აღარ იყო გარეთ გამოწეული. ეტყობა, საქმე კარგად მიდიოდა. მჯეროდა, რომ ჩემი ციცი მალე მორჩებოდა.

* * *

შორიდან ყრუ ქუხილის ხმა მოისმა. ცას ავხედე, დრუბლებიც იქუფრებოდა. შემდეგ ციციც მივუბრუნდი. ისიც მოღუშული მეჩვენა. რქებიც ჩამოეშვა და ფრთები უთრთოდა.

– რომ გაწვიმდეს, რა ეშველება? რაღაც უნდა ვიღონო.

ერთხანს მსხლის ფოთლებით სახურავის გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ არ გამომივიდა. უფრო სქელი და მკვრივი ფოთოლი გვჭირდებოდა. შქერის ფოთოლი გამახსენდა, ბებია ცომს კეცში რომ ჩააკრავდა და ჯვარს დაუსვამდა, ზემოდან შქერის ფოთლებს დააფარებდა – უფრო გემრიელი მჭადი გამოვალ. ფოთლებს რომ ახსნიდა, ისეთივე მკვრივი, მაგრამ ოდნავ ფერშეცვლილი იყო.

შქერის ბუჩქი საძოვრების ბოლოშია. მეც ქვემოთ დავეშვი, გზად რაღაც ფეხის ქვეშ გამიგორდა. კინაღამ დავეცი. კენჭი მეგონა და კარგა მოზრდილი კაკალი აღმოჩნდა. ავიღე. ჩემს ფეხს იგი გაეზარა... გაგტეხე და ნიგოზთან ერთად ორი ცარიელი ხეჭეპო შემრჩა

ხელში... „სახურავი“ – წამოვიძახე გახარებულმა. ამაზე მკვრივსა და მაგარს რას ვინატრებდი. ჩქარი ნაბიჯით ჩემი ციციანათელასკენ გამოვიქეცი.

– მელოდი? აი მეც მოვედი.

ამჯერად მან ორივე რქა შეარხია.

– გაგიხარდა?

კვლავ აუთრთოლა რქები. „გამეხარდაო“ - მეუბნება.

ჩვენ ოდნავ დამრეც მინდორში ვართ, ამიტომ წვიმის წყალი ზემოდან ქვემოთ წამოვა და შესაძლოა ჩემი მეგობარიც თან წაიღოს. ჯერ ხეჭეპო დავათვალიერე გარედან და შიგნიდანაც. შიგნითა კედელზე და ლებანის ძვიდუზე ხელი არ მიხლია. ხეჭეპო ციცი „სახლის“ ზემოთ მიწაში ჩავამაგრე, ქვემო ნაწილი, საიდანაც წყალი ვერ შევიდოდა, ოდნავ წამოწეული, ღიად დავტოვე. მისი შიგნითა ძვიდუები საწოლის მოვალეობას შეასრულებდა.

– თუ წვიმამ შეგაწუხოს, ნარზე აცოცდი და დაწეკი – ჩავძახე მეგობარს.

ახლა მას მე ვერ ვხედავდი და არ ვიცოდი რა „მიპასუხა“.

სახურავი ზედა მხრიდან პატარა არხებით შემოვრკალე წყლისგან დასაცავად.

იმ დამეს წვიმა მართლაც წამოვიდა. ერთი სული მქონდა მენახა როგორ დაიცვა ციცი ჩემმა ციხე-სიმაგრემ.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ვინახულე „სახლში“ ციცი. პირველი სტუმრობისას მისი სახლის სახურავი – კაკლის ჯავშანი ოდნავ წამოვწიე, რათა დამენახა რა ხდებოდა.

– როგორ ხარ?

მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა.

მისი მტკივანი ფეხი ახლა ოდნავ განსხვავებული მეჩვენა. უკან სვლაც სცადა და ამით „კარგად ვარო“ – მითხრა.

მეორეჯერაც „სახლში“ დამხვდა. ჩემს შეკითხვაზე კარებიდან სწრაფად გაირბინა და ბაღასებში გაუჩინარდა.

– ჩემი მოსვლა გეწვინა?

უმაღლე უკან მობრუნდა და მის დარბაზში, რამდენიმე წრე გააკეთა. „მე ფეხი უკვე მომირჩაო“, – მაგრძნობინა.

იმ დღეს გახარებული დაგბრუნდი სახლში, ერთი ფიქრი კი ნამდვილად მაწუხებდა: ახლა გაჯანსაღებული ციცი თავისი სახლიდან გამოვა, გაანათებს იქაურობას, ხეზეც აინაცვლებს, ტოლსწორსაც მონახავს და...

„მშვიდობით ჩემო კეთილო მეგობარო“ – მეტყვის.

მართალი ვყოფილვარ.

ამის შემდეგ ბევრჯერ ვეწვიე სახლში, მაგრამ არცერთხელ არ დამხვდა. ცარიელი სახლი ხელუხლებლად იდგა. ჩემი წკეპლაც ძველებურად ყარაულობდა მას.

გული დამწყდა, რომ გაჯანსაღებულს ვეღარ ვხედავდი, თანაც მიხაროდა: მოიშუშა ჭრილობები, ფეხი გამართა და თავის ოჯახს მიაშურა, კაკლის გარსის ქვეშ რაღა გააჩერებდა. მან უნდა ანათოს, ხეებზე იფრინოს და შვილები ამრავლოს!

* * *

ჩემი მწყემსობის დროც გათავდა, საქონელი იალაღზე გარეკეს, ხვნა-თესვა დაიწყო და მეც უღელში შებმულ ხარებს ვუძღვებოდი.

ციცის რა დამავიწყებდა. ალბათ ერთი თვე იქნებოდა გასული, დაგკარი ფეხი და საძოვრებზე სოფლის თავში მოვექეცი.

პანტა მსხლის მახლობლად ჯერ ჩემი წკეპლა მოვნახე, შემდეგ კი კაკლის ბაკანი. აკანკალებული ხელით წამოვწიე „სახლის“ სახურავი და იქ ციცი აღმოვაჩინე. მაგრამ ის ამჯერად მარტო არ იყო. მის გვერდით უფრო მოზრდილი მძლავრფრთებიანი მამრი იწვა. ციცი ხელით ოდნავ გადმოვაბრუნე და დავაკვირდი, სიცოცხლის ნიშანი

აღარ ჰქონდა. მამრსაც შეევეხე, ხელში მათი ფიტულები შემრჩა. თავი თავთან ისე ჰქონდათ მიდებული, როგორც ეს მოსიყვარულე მეუღლეებს შეჰფერით.

– მადლობა შენ, ციცი, რომ მცირე ამაგი დამიფასე და სხვაგან სიკვდილს ჩემს ნაჩუქარ სახლში აღსრულება არჩიე.

დიდხანს ვუცქეროდი ბუნების გასაოცარი შვილების უსულო ცხედრებს. შემდეგ მათ ხეჭეპო მჭიდროდ დავახურე, ზემოდან ფხვიერი მიწით დავფარე და ბალახის პატარა კორდიც დავადგი.... ჩემი წკეპლა შუაზე გადავტეხე და საფლავის თავსა და ბოლოში ღრმად დავარტე, როგორც ჩემი ნამცეცა მეგობრის ხსოვნას ეკადრებოდა.

ს. ჭალა, 24-31 დეკემბერი, 2011 წ.



ეული ხე.

მინაწერი: 1961 წლის ზაფხულში თბილისელ კურორტოლოგთა ჯგუფი გომარდულში ავიყვანე. მაშინ ჩაისახა აქ კურორტის გაშენების აზრი. გაღმა გავიხედე. მოფერდებაზე ჩემი ნაცნობი პანტა მსხალი დავლანდე და ციცი გამახსენდა. იმ დღეს ჩემმა ნათესავეებმა სახლში მიგვიწვიეს და გვარიანად გვიმასპინძლეს. შემოგვალამდა. ჩემი გონებიდან ციცი არ ამოდიოდა, ალბათ ნუნუამაც თავისი ქნა, შუა ქეიფის დროს თამადის ნებართვით გარეთ გავედი და ნაცნობი ადგილისკენ გავეშურე. ხის მიგნება არ გამჭირვებია. იგი ერთიანად ბრწყინავდა. ახლოს მივედი. პანტა მსხლის ტოტებზე იმდენი ციცინათელა ირეოდა, თვალები მომჭრა. დიდხანს ვერ მოვაცილე მზერა, მჯეროდა, რომ ისინი ჩემი ციცის ნამრავლი იყვნენ.

რ. ს.

რამაზ სურმანიძე



დაიბადა 1933 წლის 10 მაისს, შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში. დაამთავრა სოფლის 8-წლიანი სკოლა (1947 წ.), ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი (1950 წ.) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1956 წ.), არის მეცნიერებათა დოქტორი (1999 წ.), პროფესორი, 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. სამი დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

1983 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, ხოლო 1987 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი, ოთხი რომანისა და მოთხრობების რვა კრებულის, აგრეთვე 1000-მდე პუბლიცისტური და საბიოგრაფიო წერილის ავტორი.

რამაზ სურმანიძე ოთხგზის აირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს, ხოლო 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წ. 9 აპრილს). ამჟამად არის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. მინიჭებული აქვს აბუსერისძე ტბელის სამეცნიერო, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არის ქ. ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ს ა რ ჩ ე მ ე

წიგნისა „საგმაწვილო მოთხრობები“

რედაქტორისაგან.	3
ჩემო მკითხველო	5
თავისუფლების გზა.	8
ბორბოტი კაცი.	30
ცრემლი სიხარულისა.	42
ორმოცდაერთი.	49
ბათუმელი და ბავარიელი.	63
ცივწყარო.	70
სინანული.	81
სხვებს უნათებდე.	90
შეხვედრა.	105
მორალი.	113
ნახტომი ტიბაშზე.	118
ციცი.	124
რამაზ სურმანიძე.	137

რედაქტორი აკაკი ზოიძე
ოპერატორი ნანი გორგაძე
დამკაბადონებელი ანაილა ავეტისიანი
კორექტორი მარინა გოგუაძე
ფოტორეპროდუქციები ზურაბ სურმანიძისა

